მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80.

პარასკევი 23 აპრილი, 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 91 (1546)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— მილანში გამოფენაზე დიდი ზეიმით გაიხსნა საბჭოთა პავილიონი.
— გერმანიის მენშევიკური პარტია იხილავს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.
— დამასკის ქუჩებში სწარმოებს ბრძოლაა ფრანგებსა და აჯანყებულ დრუზებს შორის.
— პოლონეთის მთავრობის სათავეში ისევ სკშინსკის კაბინეტი რჩება.
— მოსკოვში გაიხსნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭოს პირველი პლენუმი.

დამახასიათებელი ნიშნები

რაც უფრო ღრმავდება ეკონომიური კრიზისი ევროპაში და მუშათა კლასის მდგომარეობა უარესდება, რაც უფრო მკაცრ შეტევას აწარმოებს ბურჟუაზია პროლეტარიატის წინააღმდეგ, მით უფრო სწრაფად ხდება უკანასკნელის გამემარცხენების პროცესი და იზრდება მისი რევოლიუციონური შეგნება და ნებისყოფა.

ყველაზე უფრო აშკარად სჩანს ეს მუშათა კლასის სტიქიურ ლტოლვაში თავისი რიგების გაერთიანებისაკენ. ლოზუნგს—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით—დღეს ენიჭება განსაკუთრებული ცხოველმყოფელობა. მუშათა კლასი რწმუნდება, რომ მხოლოდ თავის ძალების რევოლიუციონური მობილიზაციით მოახერხებს იგი გათავხედებული კაპიტალისტური რეაქციის ალაგმვას და ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის აცილებას, რისათვის იმპერიალისტები ემზადებიან.

მუშათა ერთიანი ფრონტი ხორციელდება როგორც ნაციონალური, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ბრწყინვალე კამპანია ყოფ. მეფის გვარეულობის ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ გერმანიაში, პროლეტარული სოლიდარობის განმტკიცება ინგლისში ქვანახშირის მრეწველობაში მოსალოდნელ ბრძოლასთან დაკავშირებით, სამთო-მადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის უკანასკნელი სესიის რეზოლიუცია ინგლისელ მემაღაროებისათვის აქტიურად მხარის დაჭერის შესახებ, ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის მოქმედება, კერძოდ ევროპის მუშების ლტოლვა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან დაახლოვებისაკენ და მათ მიერ თავის წარმომადგენლების გამოგზავნა ჩვენთან,—ყველაფერი ეს და მრავალი მსგავსი ფაქტები საუკეთესო მაჩვენებელია იმის, თუ როგორ ფართედ და ღრმად გაიდგა ფესვები მთლიანობის იდეამ საერთაშორისო პროლეტარიატში.

და ეს მიუხედავად „სოციალისტური“ პარტიების მედგარი წინააღმდეგობისა. პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი იქმნება აშკარა რევოლიუციონურ, კლასობრივ ნიადაგზე. მისი მიზანია შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიის მადის შეკვეცა დარაზმული ძალებით და საბოლოო ანგარიშით მისი ძალა-უფლების დამხობა. „სოციალისტური“ პარტიები კი ორივე ფეხით დგანან ბურჟუაზიასთან „თანამშრომლობის“ ნიადაგზე, მისი დაღუპვა მათ დაღუპვასაც მოასწავებს. ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ მუშათა ერთიანი ფრონტის განხორციელებას, ყოველ შემთხვევაში მთლიანობისათვის მოძრაობა მოაქციონ თავის გავლენაში, გამოაცალონ მას რევოლიუციონური შინაარსი და ამ მხრივ კომუნისტებს ხელიდან გამოგლიჯონ ხელმძღვანელი როლი.

მაგრამ მუშათა ფართე ფენებისათვის თანდათან უფრო ცხადი ხდება „სოციალისტების“ მოღალატეობა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში; აშკარა ხდება, რომ ისინი ზურგს უმაგრებენ ბურჟუაზიას და ხელს უწყობენ მის იმპერიალისტურ პოლიტიკას. ამიტომ ისინი კარგავენ მუშებში გავლენას და უკანასკნელნი სულ უფრო შორდებიან გამყიდველ ბელადებს და კომპარტიის გარშემო ირაზმებიან. ამ მხრივ სხვათა შორის, მეტად საგულისხმოა გერმანელ მუშის წერილი ბაქოს მუშებისადმი, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში. ამ წერილში საუცხოვოდაა გადმოცემული გერმანიის მუშათა მასსის სულიერი განწყობილება, მისი სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი, მისი უნდობლობის ზრდა სოციალ-დემოკრატიის მეთაურებისადმი. „უპარტიო მუშებს თანდათან თვალი ეხილებათ და ისინი ამჩნევენ, რომ ხელმძღვანელი-რეფორმისტები წარმოადგენენ მუშათა კლასის უმთავრეს გამცემლებს“, აი რას სწერს ერთ ადგილას გერმანელი მუშა.

მაგრამ უფრო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით „სოციალისტურ“ პარტიებში იზრდება უკმაყოფილება მათ მემარჯვენე ელემენტებისადმი. ეს ბუნებრივია. მუშათა კლასის რევოლიუციონური შეგნების ზრდა გავლენას ახდენს „სოციალისტურ“ პარტიების იმ ფენებზე, რომელთაც კიდევ არ გაუწყვეტიათ საბოლოოდ მასსებთან კავშირი, მათ ქვედა ფენებზე. რევოლიუციონურ-ოპოზიციონური ჯგუფები შემთანხმებელთა პარტიების შიგნით ძლიერდებიან. ამ მხრივ, სხვათა შორის, საყურადღებოა სულ ბოლო ხანების ზოგიერთი ფაქტი.

საფრანგეთის მემარცხენე სოციალისტებმა შექმნეს ფრაქციული „სოციალისტური რევოლიუციონური მოქმედების კომიტეტი“, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას ბურჟუაზიასთან სოციალისტების თანამშრომლობის წინააღმდეგ, სამხედრო და კოლონიალურ კრედიტებისათვის ხმის მიცემის წინააღმდეგ და სხ. კომიტეტი მხარს უჭერს საფრანგეთის ყველა პროლეტარულ პარტიების დაახლოვებას. თუმცა ეს კომიტეტი ფორმალურად იმოქმედებს პარტიის ფარგლებში, მაგრამ იგი უკვე აწარმოებს თავის თანამოაზრეების ცალკე აღრიცხვას და თავის გარშემო წევრების შემოსაკრებად ორგანიზაციულ მუშაობას. ეს უკვე ნამდვილი განხეთქილების დასაწყისია საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში.

დაახლოვებით ასეთივე მოვლენას ვამჩნევთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში. ჯერ ის გარემოება, რომ სოციალ - დემოკრატი მუშები, წინააღმდეგ თავის ლიდერების გადაწყვეტილებისა, გამოემგზავრენ საბჭოთა კავშირში, მოწმობს ამ პარტიის ქვედა ფენების აშკარა უკმაყოფილებას ხელმძღვანელ ორგანოებისადმი. გარდა ამისა, ამას წინად ცნობა იყო, რომ ლეიპციგის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი გადაჭრით ილაშქრებს გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ოფიციალური პოზიციის წინააღმდეგ ერთა ლიგის და განიარაღების საკითხში. საქსონიის სოციალ - დემოკრატების უმრავლესობა იცავს კომუნისტებთან თანამშრომლობის პოლიტიკას და რევოლიუციონურ გზას ადგება. ამ დღეებში საქსონიის სოციალ - დემოკრატიულ ორგანიზაციაში მოხდა განხეთქილება და მემარჯვენე ჯგუფი, ლანდტაგის 23 წევრი, გამორიცხეს პარტიიდან. ყველაფერი ეს მეტად საგულისხმოა.

უპარტიო მასა თავისუფლდება შემთანხმებლების გავლენისაგან, თვით „სოციალისტურ“ პარტიებში მწიფდება განხეთქილება, რომელიც ნაწილობრივ აქა იქ უკვე ფაქტად იქცა. ორივე ამ მიმართულებით დაწყებული პროცესი უეჭველად უფრო განვითარდება. „სოციალისტების“ სისტემატიური მოღალატეობა აქეთკენ მიაქანებს მასსებს. სოციალ - დემოკრატიის ზედა წრეების პოზიციების შერყევა კი მუშათა კლასში, მათი გარიყვა უმთავრესი პირობაა პროლეტარიატის რევოლიუციონური დარაზმვისა და მთლიანი ფრონტის განხორციელებისათვის.

* * *

სიტყვიდან საქმისაკენ

ეკონომიის რეჟიმი უკვე საკმაოთ პოპულიარულ ლოზუნგათ გადაიქცა. მაგრამ, როგორც ეს საზოგადოთ ხდება, ამ ლოზუნგზე ჯერ ხანათ უფრო მეტი დაიწერა და ითქვა, ვიდრე გაკეთდა.

პირველყოვლისა ეს იმითაც აიხსნება, რომ ეკონომიის რეჟიმი ბევრ შემთხვევაში არაა გაგებული სწორათ. მისი მნიშვნელობა შემოფარგლულია, როგორც მხოლოდ დაზოგვის და მომჭირნეობის საქმე და ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გასატარებლათ უებარ საშუალებათაა მიჩნეული დაშინების და რეპრესიების ღონისძიებანი.

თქმა არ უნდა, ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ამოცანის, რომელსაც ისახავს მიზნათ პარტია და ხელისუფლება ეკონომიის რეჟიმის განხორციელებით. ეს ლოზუნგი ჩვენ არ უნდა გავიგოთ, როგორც სადღეისო და ხან მოკლე ამოცანა, ის გულისხმობს ჩვენი ყოველდღიურ მუშაობის ხანგრძლივათ და სერიოზულათ გარკვეული, გეგმაშეზომილი გზით წარმართვას. ეკონომიის რეჟიმი არაა დაკვრითი ამოცანა.

ის ნიშნავს ჩვენი სამეურნეო, ადმინისტრატიულ და კულტურულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა ყოველგვარ მტკივნეულ მხარეების წინააღმდეგ ბრძოლას. ის ნიშნავს არა მარტო იმის დაზოგვას და გაფრთხილებას, რაც უკვე გვაქვს, არამედ ეკონომიის რეჟიმი გვავალებს ზრუნვას ახალი დოვლათის დაგროვებისათვის და ამრიგათ სოციალისტურ მშენებლობისათვის ეკონომიური საფუძვლის გაფართოებას.

რაკი საკითხი ასე სდგას, აქ ჩვენ მხოლოდ წვრილმანების შენიშვნა-გამოსწორებით და ყოველდღიურ მომჭირნეობით, რასაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, დასახულ ამოცანას სავსებით ვერ ვძლევთ. ჩვენში ჯერ-ჯერობით ეკონომიის რეჟიმის გატარების მხრივ ყველაზე მეტი მნიშვნელოვანი რეალური ნაბიჯები გადადგმულია, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მხრით. რაც შეეხება სხვა დაწესებულებებს თუ ორგანიზაციებს, აქ მათი ხმა იმდენათ არ ისმის.

ჩვენ ვიცით, რომ დაწესებულება-წარმოებების მუშაობის მოწესრიგებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საწარმოო თათბირებს. ეკონომიის რეჟიმის საქმეში მათ უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლიათ. მიუხედავათ ამისა, საწარმოო თათბირების მუშაობა ბოლო ხანებში მოდუნებულია მთელ რიგ მიზეზების გამო და მათ გაჯანსაღება-გამოცოცხლებისათვის სათანადო ორგანოების მიერ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გადადგმულია რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ასეთივე მდგომარეობაა ჩვენს პრესაშიც. გაზეთებმა უკვე შეასრულეს ნაწილობრივ თავისი მოვალეობა იმით რომ ეკონომიის რეჟიმი დასვეს საზოგადოებრივ ყურადღების ცენტრში, უძღვნეს ამ საკითხს მთელი რიგი პრინციპიალურ ხასიათის წერილები. მაგრამ ეს რასაკვირველია, არ კმარა საჭიროა საკითხის პრინციპიალურად განხილვისაგან მის პრაქტიკულად განხორციელების აღნუსხვა-შემოწმებაზე გადასვლა.

აქ ჩვენ უშუალოდ ვდგებით მუშა და გლეხ კორესპონდენტების მნიშვნელობის საკითხის წინაშე. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს პრესაში ბევრი რამე იყვეს გაკეთებული. მუშა და გლეხ კორესპონდენტების ყურადღება უნდა მიპყრობილ იქნას ეკონომიის რეჟიმის მნიშვნელობაზე, ჩვენი პრესის ფურცლებზე უნდა გამოტანილ იქნას ის ღონისძიებანი და მიღწევები ან ნაკლი, რომელნიც კი არსებობენ ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარების დროს დაწესებულება-ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში.

სამუშაო საათების გაცდენა, სამსახურში გამოუცხადებლობა, მფლანგველობა, ხელგაშლილობა, ლოთობა, უთადარიგო მუშაობა, ნედლი მასალის მიწოდების შეფერხება, პროდუქციის დაბალი ხარისხი, ფუფუნება, ბიუროკრატიზმი, რომელიც ახშობს მასის ინიციატივას მშენებლობის საქმეში და სხვა—აი ის იარები, რომელთა ამოსაკვეთად უნდა ამოძრავდენ მუშა და გლეხ კორესპონდენტების კალმები.

ამასთან ერთად ერთხელ კიდევ უნდა შევჩერდეთ საკონტროლო და სარევიზიო მუშაობისათვის სისტემის ხასიათის მიცემაზე. უნდა გაძლიერებულ იქნას პასუხისმგებლობა სარევიზიო-საკონტროლო ორგანოების მუშაობაში. ამ ორგანოებმა მიზნად უნდა დაისახონ ბოროტმოქმედების არა მხოლოდ მას შემდეგ აღმოჩენა, როცა ის ფაქტად იქცევა, არამედ ბოროტმოქმედების გამომწვევ მიზეზების წინასწარ გათვალისწინება და მათი თავიდან აცილებისათვის ბრძოლა. ამისათვის საჭიროა, რომ სარევიზიო და საკონტროლო ორგანოებმა თავის მუშაობას სისტემის ხასიათი მისცენ და მჭიდრო კავშირი დაიჭირონ დაწესებულება-ორგანიზაციის საქმიანობის მიმდინარეობასთან.

ამრიგათ, ეკონიმის რეჟიმზე საკმაოთ ბევრი ვწერეთ და ვილაპარაკეთ. დროა საქმეს მივყოთ ხელი და ეს ლოზუნგი პრაქტიკულ მუშაობათ გადავაქციოთ.

ვ. მ—ძე.

* * *

ჩან-ძო-ლინის რეაქციონური ჯარები პეკინში

პეკინში არ არსებობს არავითარი მთავრობა

უ-პეი-ფუ მოითხოვს სახალხო არმიის ძალების განადგურებას

რეაქციონერები გაერთიანდენ ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ

გომინდანის და კანტონის გავლენა დღითი-დღე იზრდება

პეკინი უმთავრობოდ

პეკინი, 21 აპრილი. დუან-ძი-ჟუი პეკინიდან ტიან-ძინში გაემგზავრა.

ჩინელთა წრეებში ფიქრობენ, რომ უ-პეი-ფუს და ჩან-ძო-ლინის შეთანხმების გამო დუან--ძი-ჟუი მთავრობის სათავეში ვერ დარჩება.

ამჟამად პეკინში არავითარი მთავრობა არ არსებობს.

სუნ-იატ-სენის მოწაფე

პეკინი, 21 აპრილი. სამხედრო სკოლის უფროსმა **ვამპუ ჩანკაიშიმ**, რომლის შესახებაც ამას წინად უცხოელთა პრესა იტყობინებოდა, თითქოს მას უთანხმოება ჰქონდეს კანტონის მთავრობასთან,—გომინდანს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში ვამპუ ჩანკაიში ლაპარაკობს, რომ რადგან ჩემს მუშაობას შემცდარად აშუქებენ, მე ვალდებულად ვრაცხ თავის თავს განუცხადო გომინდანის წევრებს, რომ მე სუნ-იატ-სენის ერთგული მოწაფე ვარ და ვიქნები მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. **მე მთელს ჩემს ენერგიას და სიცოცხლეს რევოლიუციის საქმეს შევსწირავ და განვდევნი ყველა იმათ, ვინც შეთქმულებას აწყობს კანტონის მთავრობის და რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ.**

მილიტარისტების მანევრები

პეკინი, 21 აპრილი. იმ დროს, როცა ყველა მოელოდა, რომ უ-პეი-ფუ დახმარებას გაუწევდა სახალხო არმიას, წერილი, რომელიც გაუგზავნა უ-პეი-ფუმ თავის წარმომადგენლებს ტიან-ძინში ჩან-ძო-ლინისათვის გადასაცემად, ააშკარავებს ჩინეთის მილიტარისტების რთულ მანევრებს უკანასკნელი კვირის განმავლობაში. ამ წერილში უ-პეი-ფუ ამბობს:

„ჩვენი მიზანია წითლების განადგურება, მაშასადამე სახალხო არმიის განადგურებაც. ფინ-იუ-სიანი მოღალატეა. მას კავშირი აქვს გაბმული რუსეთთან. ხმები, თითქო მე ვთანამშრომლობდე სახალხო არმიებთან, არ შეესაბამება სინამდვილეს“.

ამგვარად, უ-პეი-ფუს ერთის მხრივ სახალხო არმიის სარდლობის წრეებში უნდოდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ის დახმარებას გაუწევს მათ, ხოლო მეორეს მხრივ მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ჩან-ძო-ლინთან. მაგრამ საერთო აზრით, ჩან-ძო-ლინმა შესძლო უ-პეი-ფუს მოტყუება და ტიან-ძინში გამართულ მოლაპარაკებაში უპირატესობა მუკდენელების ხელში რჩება.

უ-პეი-ფუ თაღლითობს

პეკინი, 21 აპრილი. ჩინეთის გაზეთები ათავსებენ უ-პეი-ფუს დეპეშას, რომელშიაც ის მოითხოვს, რომ ჩან-ძო-ლინის ჯარებმა განაგრძონ ბრძოლა სახალხო არმიის წინააღმდეგ და შან-სის სამხედრო გუბერნატორი გამოვიდეს სახ. არმიის წინააღმდეგ ტაცუნის მიმართულებით, პეკინიდან 300 კილომეტრის მანძილზე.

როგორც იუწყებიან, ჩან-ძო-ლინმა უკვე მისცა ბრძანება თავის ჯარებს დაედევნონ უკან დახეულ სახალხო არმიას.

უ-პეი-ფუს სურვილს, რომ ჩან-ძო-ლინმა შეტევა აწარმოოს სახალხო არმიების წინააღმდეგ, ჩინეთის წრეებში ხსნიან იმით, რომ უ-პეი-ფუს სამხედრო ძალები ამჟამად სხვა ჯგუფებზე უფრო სუსტია და ამიტომ ის დაინტერესებულია უკანასკნელთა დასუსტებაში ურთი-ერთ ბრძოლის საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონოფილური გაზეთი „შუნ-ტინ-ში-ბაო“ ფიქრობს, რომ სახალხო არმიების წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობა არ არის მიზანშეწონილი. გაზეთის სიტყვით, ზედმეტია ლაპარაკი სახალხო არმიების სრულ განადგურებაზე. არც უ-პეი-ფუს და არც ჩან-ძოლინს არ გააჩნიათ საკმაო ძალა ამ მიზნის მისაღწევათ.

კანტონის გავლენა იზრდება

პეკინი, 21 აპრილი. **კანტონიდან მიღებული ცნობით, პროვინცია გუინაგოუს გუბერნატორმა იცნო კანტონის მთავრობა. ეს ცნობა და აგრეთვე ის, რომ აჯანყებული პროვინცია (დამახინჯებულია) ამ ცოტა ხნის წინად შეუერთდა კანტონს, მოწმობს იმას, რომ კანტონის მთავრობის გავლენა უკანასკნელ დროს შასამჩნევად გაიზარდა.**

ამხ. ეუმანოვი

ხარბინი, 21 აპრილი. **აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ახალი მმართველი ეუმანოვი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.**

ჩინელები გზის მმართველობის გამოცვლას თანაგრძნობით შეხვდენ. ივანოვი 26 აპრილს მოსკოვში გაემგზავრება.

დროებითი მმართველი

პეკინი, 21 აპრილი. **ტიან-ძინში გამგზავრებისას დუან-ძი-ჟუიმ დანიშნა საგარეო საქმეთა მინისტრი ხუ-ვეი-ტე მთავრობის მეთაურის მოვალეობათა დროებით აღმასრულებლად.**

უ-პეი-ფუს დეპეშა

პეკინი, 21 აპრილი. ჩინეთის სააგენტომ გამოაქვეყნა ახალი დეპეშა, რომელიც უ-პეი-ფუმ გაუგზავნა ჩან-ძო-ლინს. თავის დეპეშაში უ-პეი-ფუ აცხადებს, რომ ის არ ჩავა პეკინში, სანამ სახალხო არმია არ იქნება განიარაღებული. უ-პეი-ფუ დაჟინებით სთხოვს ჩან-ძო-ლინს განაგრძოს სახალხო არმიის დევნა და მოსპოს იგი, თუ სახალხო არმიის წინამძღოლები ჩჟან-ში-ძიანი და ლუ-ჩინ-ლინი არ დანებდებიან და არ მოახდენენ სახალხო არმიის ნაწილების რეორგანიზაციას. ფინ-იუი-სიანი უნდა იქნას დაპატიმრებული და მიცემული პასუხისგებაში ღალატისათვის.

ტელეგრაფი მუკდენელების ხელშია

პეკინი, 21 აპრილი. ცენტრალური ტელეგრაფის შენობა პეკინში დაკავებული აქვთ მუკდენელებს. **უ-პეი-ფუმ უბრძანა ერთ-ერთ თავის გენერალ ტინ-ვეი-ჩინს, რომლის ჯარები პეკინში იმყოფებიან, გამოჰყოს რაზმი ცენტრალურ ტელეგრაფის დასაკავებლად. მუკდენელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ამას,** მაგრამ საქმე შეტაკებამდე არ მისულა. ტინ-ვეი-ჩინის რაზმი დაბანაკდა ცენტრალურ ტელეგრაფის მახლობლად.

მუკდენელების ბონები

პეკინი, 21 აპრილი. პეკინის სავაჭრო პალატამ მოითხოვა, რათა მუკდენელების ჯარების სარდლობამ უზრუნველჰყოს მის მიერ გამოშვებული ბონები.

გონკონგი ჯიუტობს

პეკინი, 21 აპრილი. კანტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად გაფიცვის გარშემო გამართული მოლაპარაკება დროებით შესწყდა, რადგან გონკონგი ინგლისის მთავრობის წაქეზებით უარს ამბობს განიხილოს საკითხი იმ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ანაზღაურების შესახებ, რომელნიც უკან არ არიან მიღებული.

ფრანგები სირიაში

ლონდონი, 21 აპრილი. როგორც ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტები დამასკიდან იტყობინებიან, **ფრანგებმა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ბარიკადები აღმართეს, რომელთა გარშემო ყოველდღე ბრძოლა სწარმოებს.**

ამ დღეებში აჯანყებულების მოახლოების შესახებ ხმების გავრცელების გამო, ფრანგებმა ტყვიისმფრქვევლების სროლა ასტეხეს ქუჩებში. მოჰკლეს ბევრი შემთხვევითი გამვლელი.

* * *

საბჭოთა პავილიონი

რომი, 22 აპრილი. 20 აპრილს მილანის საერთაშორისო გამოფენაზე მოხდა საბჭოთა პავილიონის საზეიმო გახსნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის კერჟენცევის თანდასწრებით.

მილანი, 21 აპრილი. საბჭოთა პავილიონი მილანის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დიდ ინტერესს იწვევს თავისი მრავალფეროვანი ექსპონატებით, რომელნიც საბჭოთა მეურნეობის და ექსპორტის ნამდვილ სურათს იძლევა.

პავილიონს ყოველდღე დაახლოებით 40.000 კაცი ათვალიერებს.

* * *

კრიზისი პოლონეთში

ვარშავა, 21 აპრილი. პოლონეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე სკშინსკიმ განაცხადა, რომ რადგან მთავრობის კოალიცია ჩაიშალა და მთავრობას სეიმში არ ჰყავს მუდმივი უმრავლესობა, მას თავისი კაბინეტით განზრახული აქვს გადადგომა **სკშინსკის წინადადება მინისტრთა საბჭომ ერთხმად მიიღო.**

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტის შედგენა დაევალება სკშინსკის ან პოლონეთის სეიმის თავმჯდომარეს რატაის.

ბერლინი, 22 აპრილი. **პოლონეთის პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ არ მიიღო სკშინსკის განცხადება გადადგომის შესახებ. კაბინეტი ისევ რჩება ხელისუფლების სათავეში.**

* * *

საფრანგეთის ბიუჯეტი

შემოსავალ-გასავალი

პარიზი, 22 აპრილი. 1926 წლის ბიუჯეტი, რომელიც სენატმა მიიღო, ითვალისწინებს შემოსავალს—37.508.870.623 ფრანკის რაოდენობით, გასავალს—36.117.028.411 ფრანკის რაოდენობით, მაშასადამე შემოსავალი სჭარბობს 1.391.842.212 ფრანკით.

დეპუტატთა პალატამ განაახლა თავისი მუშაობა და მიიღო რამოდენიმე მუხლი კანონპროექტისა კომერციული საკუთრების შესახებ.

შეთანხმება ვალების შესახებ

პარიზი, 21 აპრილი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, საფრანგეთის ელჩმა ბერანჟემ ამერიკის მთავრობასთან მიაღწია შეთანხმებას ვალების საკითხში. შეთანხმების ძალით საფრანგეთი ვალდებულია იხადოს პირველი 5 წლის განმავლობაში 20 მილიონი დოლარი წლიურად. შემდეგ წლებში ყოველწლიურ გადასახადის ჯამი იზრდება და აღწევს 125 მილიონ დოლარამდე.

მუშათა ბრძოლა

გაფიცვა ფორტემასში

პარიზი, 21 აპრილი. საფეიქრო ფებრიკების **მუშების გაფიცვა ფორტემასში (საფრანგეთი) მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მუშებს 5 ფრანკი მოუმატეს დღეში.**

განსაკუთრებულ დეპეშაში საფრანგეთის ფეიქრები მადლობას უხდიან საბჭოთა კავშირის ფეიქრების ცეკას მატერიალური დახმარების გაწევისათვის გაფიცვის დროს.

ინგლისელ ამხანაგებისადმი

მოსკოვი, 22 აპრილი. **სამთა-მადნო მუშების ცენტრალურმა კომიტეტმა ინგლისის სამთა-მადნო მუშების ფედერაციას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც უსურვებს დაწყებული ბრძოლის წარმატებით დამთავრებას. სამთა-მადნო მუშების ცეკა იძლევა დაპირებას, რომ ყოველთვის მიაწვდის ძმურ დახმარებას ნახშირის მაღაროების მუშებს მათ მიერ წარმოებულ ბრძოლაში.**

დახმარება ინგლისის მუშებს

ბერლინი, 21 აპრილი. **ამსტერდამის ინტერნაციონალის სამდივნომ გამოაქვეყნა პასუხი პროფინტერნის წინადადებაზე გაერთიანებულ გამოსვლის შესახებ ინგლისის სამთა-მადნო მუშებისათვის დახმარების გასაწევათ.**

პასუხში ნათქვამია, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალმა უკვე განიხილა ინგლისის ნახშირის მრეწველობის კრიზისთან დაკავშირებული საკითხები ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოსთან ერთად, რომელიც წარმოადგენს ამსტერდამის ინტერნაციონალის მხარეზე მყოფ ერთ-ერთ ცენტრალურ ორგანიზაციას.

ინგლისის პროფკავშირებში

ლონდონი, 21 აპრილი. **ინგლისელ სამთა-მადნო მუშების პროფკავშირი იტყობინება, რომ ყველა რაიონებმა, იანკაშირის გამოკლებით მოიწონეს სამთა-მადნო მუშების სრულიად ინგლისის კონფერენციის გადაწყვეტილება.**

იანკაშირის რაიონი ამ დღეებში განიხილავს ამ საკითხს.

ლენინი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 22 აპრილი. „პრავდა“ მოწინავე წერილში ლენინის დაბადებიდან 56 წლის შესრულების გამო სწერს:

„ლენინი გახდა საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი. ლენინი გახდა უდიდესი მარქსისტი მარქსის შემდეგ. ლენინმა შორს წასწია წინ მარქსიზმი. ლენინის უკვდავი დამსახურება, რევოლიუციის ნამდვილი კოპერნიკის სახელის დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან მოგვცა სრულებით ახალი თვალსაზრისი პროლეტარიატის და გლეხობის ურთი-ერთობის საკითხში.

ლენინმა რევოლიუციონური პროლეტარიატის ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთისაკენ, რომელიც მხოლოდ გარეგნულად იმყოფება რაღაც უცნაური თვლემის მდგომარეობაში, ხოლო ნამდვილათ კი იღვიძებს და მზად არის გამოვიდეს საბრძოლველად იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

პროლეტარიატის ბელადები ლენინამდისაც დაუზოგავად ამხელდენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს. მაგრამ სახელდობრ ლენინმა გახსნა პროლეტარული რევოლიუციის ეპოქა. ლენინმა დაიწყო ის პრაქტიკულად, დაიწყო მასების მობილიზაცია რევოლიუციისათვის, ცხადჰყო მისი შემომქმედი ძალები, დასახა მისი კონკრეტიული გზები, შეიმუშავა მისი სტრატეგია.

სწორედ იმიტომ, რომ ლენინმა ასწავლა პროლეტარიატს არა მარტო ბრძოლა, არამედ გამარჯვების მოპოვებაც, ამიტომ ეჯავრებოდა ის საერთაშორისო ბურჟუაზიას. ცოფმორეული ესხმოდენ თავს ლენინს მეორე ინტერნაციონალის განათლებული ბელადები, საერთაშორისო იმპერიალიზმის ეს საზიზღარი დამქაშები.

ლენინს არასოდეს არ დაივიწყებს მშრომელი კაცობრიობა. ლენინის სახელი მათთვის მოწოდებაა ბრძოლისა და რევოლიუციისაკენ“.

საბჭოთა კავშირი და გერმანია

„ტანი“ შეშფოთებულია

პარიზი, 21 აპრილი. „ტანს“ გასაგებად მიაჩნია პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის მღელვარება გერმანია-საბჭოთა კავშირის მომავალ ხელშეკრულების დადების გამო; პოლონეთს და რუმინეთს უშუალოთ ემუქრება თავდასხმა საბჭოთა კავშირის მხრივ. არც ჩეხო - სლოვაკიას შეუძლია გულგრილად უცქიროს ამ ხელშეკრულების დადებას.

გაზეთის აზრით არავის არ შეუძლია უსაყვედუროს გერმანიას, რომ იგი კეთილ - მეზობლურ ურთიერთობას ამყარებს საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ყველას აშინებს ერთი გარემოება — შეიცავს თუ არა ხელშეკრულება მუხლს აბსოლუტურ ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

„ტანი“, შეუძლებლად სთვლის ისეთი ფორმულის გამონახვას, რომელიც შეათანხმებდა აბსოლუტურ ნეიტრალიტეტის დაცვას ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლში გათვალისწინებულ ვალდებულებებთან. გაზეთის აზრით უმჯობესია გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადება, ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შემდეგ.

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 21 აპრილი. პაციფისტური **„ველტამ მონტაგი“** რომელიც გამოდის ცნობილ პაციფისტის **გერლიახის** რედაქტორობით, სწერს:

„ლოკარნოს კონფერენციის დამთავრების შემდეგ ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვანდერველდემ გამოსთქვა იმედი, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დადებულ იქნებიან იმგვარივე ხელშეკრულებანი როგორც დასავლეთ ევროპაში. ვანდერველდეს აზრი გაიზიარეს ბალტიის სახელმწიფოებმა და როგორც ეხლა რეველიდან იუწყებიან, ესტონეთსა, ლატვიაში და ლიტვაში იხილავენ საკითხს განაპირა სახელმწიფოების საზღვრების დასაცავად საგარანტიო, ანუ საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადების შესახებ. გამოსთქვამენ სურვილს, რომ ინგლისმა ისეთივე როლი ითამაშოს ამ კომბინაციაში, როგორც გერმანია-საფრანგეთის და გერმანია - ბელგიის საზღვრების უზრუნველყოფის ხელშეკრულებაში.

მიღებული ცნობების თანახმად, ერთ - ერთი დაინტერესებული სახელმწიფო ბერლინში სინჯავდა ნიადაგს, მზადაა თუ არა გერმანია ხელი შეუწყოს ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ ამ საკითხში სიძნელე დიდია, რადგან გერმანიის დახმარება იქნებოდა დადასტურება მემელის ოლქის ანექსიისა ლიტვის მიერ. ასეთი დადასტურება გამოიწვევდა მემარჯვენე პარტიების ძლიერს ოპოზიციას, სწორედ ისე, როგორც ეს მოხდა პოლონეთთან დასადებ საარბიტრაჟო ხელშეკრულების პროექტის საკითხში. ეს უკანასკნელი უშუალოთ დაკავშირებული იყო რეინის ხელშეკრულებასთან, მაშინ როდესაც ბალტიის საზღვრების გარანტია არავითარ სარგებლობას არ აძლევს გერმანიას. უნდა დავუცადოთ იმას, თუ როგორ შეხედავს ამ პროექტს საბჭოთა კავშირი და სურს თუ არა ინგლისს მართლაც დაინტერესდეს ბალტიის სახელმწიფოების ტერიტორიალური საკითხებით.

ბენეშის მემორანდუმი

ბერლინი, 22 აპრილი. ბერლინის პრესა აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ **ბენეშმა** გერმანიის გამოკლებით, მემორანდუმი გაუგზავნა ყველა სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას. მემორანდუმში ბენეში ეკითხება სახელმწიფოებს, შეეძლო თუ არა გერმანიას საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება. გერმანიის პრესა ბენეშის მანევრს უცქერის, როგორც გერმანიის საქმეებში ჩარევას და ამბობს, რომ ბენეშის ნიბიჯი წარმოადგენს ცდას კანტროლი გაუწიოს გერმანიის საგარეო პოლიტიკას. პრესა აღნიშნავს, რომ ბენეშის მემორანდუმი წარმოადგენს არაჩვეულებრივ დიპლომატიურ მეთოდს და კურიოზულ პასუხს გერმანიის მთავრობის ლოიალობაზე. უკანასკნელმა ყველა სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ბოკარნოს ხელშეკრულებას, აცნობა საბჭოთა კავშირთან წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ.

ბენეშის მემორანდუმს პროტესტით შეხვდებიან, რადგან ბენეში აყენებს კითხვას, ვალდებულია თუ არა გერმანია მოსკოვს მიანდოს განსახილველად ყველა თავისი ხელშეკრულებანი. მემორანდუმში ნათქვამია, რომ გერმანია მზად არის მიჰყიდოს თავისი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირს.

გერმანიის მენშევიკების პოზიცია

ბერლინი, 21 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარის დროს გერმანიის მენშევიკურ პარტიის რეიხსტაგის ფრაქციის ლიდერმა ბრეიტშეიდმა გამოსთქვა მენშევიკების თვალსაზრისი გერმანია - საბჭოთა კავშირის მომავალ ხელშეკრულების საკითხზე და **განაცხადა, რომ თუ გერმანია - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება წარმოადგენს ლოკარნოს დამატებას, როგორც ეს შტრეზემანმა განაცხადა, მისი დადების წინააღმდეგ არაფერს გვეთქმის.** მაგრამ ხელშეკრულების დადება ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩიჩერინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ხელახლა აღნიშნა საბჭოთა კავშირის მტრული განწყობილება ინგლისისადმი. ბოლოს, სულ რამდენიმე დღის წინად იმ ნოტაში, რომელიც შეეხებოდა განიარაღების წინასწარ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე უარის თქმას, მან ერთხელ კიდევ აღნიშნა საბჭოთა მთავრობას უარყოფითი დამოკიდებულება ერთა ლიგასთან. ბოლოს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას, ანგარიშს არ გაუწევენ ამგვარ საშიშროებას, თუ კი გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს მათის მხრივ.

ბერლინი, 21 აპრილი. **რეიხსტაგის მენშევიკურმა ფრაქციამ მოითხოვა რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის მოწვევა გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხის განსახილველად.**

რეიხსტაგში

პარიზი, 22 აპრილი. **რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისია მომავალ ორშაბათს განიხილავს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.**

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 22 აპრილი. გერმანია - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ **ჩემბერლენმა** განაცხადა, რომ ის ფიქრობს, რომ ხელშეკრულება ჯერ არ არის დადებული. ხელშეკრულების ტექსტს ის არ იცნობს, მაგრამ გერმანიის მთავრობამ არწმუნა მას, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს ისეთ რამეს, რაც ეწინააღმდეგება ერთა ლიგის ან ლოკარნოს სტატუტს. იღებს რა მხედველობაში გერმანიის მთავრობის რწმუნებას და ფიქრობს რა, რომ ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი გაამართლებს ამ რწმუნებას, ჩემბერლენს ზედმეტად მიაჩნია რაიმე გამონაკლისი დაუშვას ამ ხელშეკრულებისადმი.

მასკარადი დამთავრდა

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი, 22 აპრილი. „იზვესტია“ მოწინავეში „მასკარადი დამთავრდა“ იმ განგაშის შესახებ, რომელიც ასტეხა ევროპის პრესამ გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გამო, სწერს:

„როცა გერმანელები მიდიოდენ ლოკარნოში და ჩვენ ვამბობდით, რომ ისინი შედიან ჩვენდამი მტრულად განწყობილ გამარჯვებულთა წრეში, იგივე ხალხი, რომელიც ეხლა აღშფოთებულია ჩვენი მოლაპარაკებით გერმანიასთან, გვარწმუნებდა, რომ საერთოდ არავის და არასოდეს არ უფიქრია რაიმე შეთანხმების დადება ჩვენს წინააღმდეგ.

მაგრამ სწორედ ჩვენი სურვილი—საბჭოთა კავშირის და გერმანიის ხალხთა სურვილი—არ გამოვიდეთ მტრულად ერთი მეორეს წინააღმდეგ და მივიღოთ მონაწილეობა ერთი ან მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ კომბინაციებში, სწორედ ეს იწვევს ევროპის პრესის პროტესტებს. გერმანია, რომელმაც ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულებას და მიიღო ერთა ლიგის წესდება, პირობას იძლევა მშვიდობიანი დამოკიდებულება იქონიოს ბოლშევიკებთან? მაშინ რაღა საჭირო იყო ამდენი თავის ტეხა?

ამ გულახდილობისათვის ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მადლობა გადაუხადოთ ევროპის პრესას. ჩვენს მოლაპარაკებას გერმანიასთან ის ვერაფერს ავნებს, ხოლო ლოკარნოს დიპლომატებს მან ნიღაბი ჩამოხადა, რაც დიდათ სასიამოვნოა. ეხლა არამც თუ ჩვენთან, არამედ გერმანიაში და სხვა ქვეყნებშიაც ყველა დარწმუნდება, რომ ლოკარნო—ეს არის ომის იარაღი, რომელიც მხოლოდ გერმანიის და ჩვენი შეერთებული ძალით შეიძლება საბოლოოდ დამტვრეულ და განადგურებულ იქნეს“.

გერმანელი მუშის წერილი

ბაქო, 22 აპრილი. გერმანიიდან მიღებულ ერთ-ერთ მანქანის გახსნის დროს, აღმოჩენილ იქნა ქვემოდ მოყვანილი წერილი:

„ჩვენს ბაქოელ ძმებს და დებს—მუშებს.

პატივცემულო ამხანაგებო. ნებას ვაძლევ ჩემს თავს ასეთი არაჩვეულებრივი გზით გადმოგცეთ ჩვენი ამხანაგების სახელით გულითადი და მხურვალე სალამი. არ ვიცი მიაღწევს თქვენამდის ეს წერილი, თუ ჩავარდება ჩვენ მოწინააღმდეგეთა ხელში, რომლებიც მას მიჩქმალავენ.

მე აქ—ერთად-ერთი ამხანაგი ვარ რომელიც ვმუშაობ მანქანების ჩალაგებაზე და აი სწორედ მანქანაში ვდებ წერილს.

ჩვენთან გერმანიაში ჯერ არ არის განხორციელებული ის, რაც არის თქვენში, სადაც მუშები მოქმედებენ, როგორც ძმები და დები. განსაკუთრებით არ არის განხორციელებული ეს ჩვენს მუშათა რაიონში, სადაც შემთანხმებელთა ციხე-სიმაგრე ჯერ კიდევ მტკიცეა, ჩვენს წარმოებაში, სადაც სოც.- დემოკრატებმა აქამდის შეინარჩუნეს გავლენა.

მაგრამ, უპარტიო მუშებისათვის თანდათანობით აშკარა ხდება, რომ ხელმძღვანელ რეფორმისტებს დიდი ზიანი მოაქვთ მუშათა კლასისათვის. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის პოზიცია, რომელიც დაიჭირეს ჩვენმა მოღალატეებმა ფეიქრების და საამშენებლო დარგის მუშების ეხლანდელ ბრძოლაში.

ჩვენს ქარხანაში მუშაობს 1500 კაცი, აქედან 30 გერმანიის კომპარტიის წევრია, 140-150 გერმანიის სოციალისტური პარტიის წევრი და 1.200 უპარტიო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ ვიმუშავებთ ინტენსიურად ჩვენ შევსძლებთ უკანასკნელთა გადმოყვანას ჩვენს მხარეზე და გავიმარჯვებთ კიდეც.

ჩვენი ცხოვრების შესახებ ბევრს ვერაფერს მოგწერთ, რადგან არ ვიცი მოაღწევს თქვენამდის ეს წერილი თუ სხვებს ჩაუვარდებათ ხელში. შეიძლება შემდეგ უფრო დაწვრილებით მოგწეროთ. ჩვენი დელეგაცია კვირას დაბრუნდა პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოდან და გააცნობს აქაურ მუშებს საბჭოთა კავშირის ნამდვილ მდგომარეობას.

პატივცემულო ამხანაგებო, სოციალ-დემოკრატები დელეგატების შესახებ სწერენ თავიანთ გაზეთებში, რომ ისინი, როგორც გაუნათლებელი ხალხი, ყოველ ნაბიჯზე შეეძლოთ მოეტყუებიათ რუსეთში, მაგრამ მუშები, რასაკვირველია, უფრო დაუჯერებენ თავიანთ დელეგატებს, ვინემ მუშების გამყიდველებს და აღარ გაებმიან ამ არამზადების ბადეში. დიახ, მხოლოდ ებერტს და ნოსკეს, თუმცა ასევე „გაუნათლებლათ“ შეეძლოთ 1918-21 წლებში გერმანიის რესპუბლიკის მიმართვა; მუშების დახვრეტისათვის ხელის შეწყობა.

ვათავებ ჩემს წერილს და დასასრულ ვიტყვი: „გაუმარჯოს მოსკოვს (დიდება მოსკოვს)“. იმედი მაქვს თუ ამ წერილმა მოაღწია თქვენამდის, თქვენც პასუხს მოიწერთ. კომუნისტურ სალამით. (ხელმოწერა). სექტემბერი 1925 წელი.

ძვირფასო ამხანაგებო, თუ თქვენ მოიწერთ, შეგიძლიათ თამამათ დასწეროთ რუსულათ, რადგან ჩვენ აქ გვყავს რუსული ენის მცოდნე ამხანაგი.

ძვირფასო ამხანაგებო, მუშები და მუშა-ქალებო. ჩვენ ვიბრძოლებთ ლენინიზმის გზით სრულ გამარჯვებამდე)“.

შენიშვნა: სავსებით გასაგებია ის მოსაზრებები, რომლითაც ხელმძღვანელობს რედაქცია, როდესაც არ აქვეყნებს რომელი წარმოებიდან და ვისგან არის გამოგზავნილი ეს წერილი.

ბელგიის ფინანსები

პარიზი, 21 აპრილ. ლონდონიდან დაბრუნებულმა ბელგიის ფინანსთა მინისტრმა **ჟანსენმა** ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მან მოახერხა იმ კრედიტების კონსოლიდაციის მიღწევა, რომელიც ინგლისის მთავრობამ მისცა ბელგიას და კონგოს (ბელგიის კოლონია ცენტრალურ აფრიკაში). ჟანსენმა აღნიშნა, რომ ბელგიამ, სანამ ის თავისი ფინანსების გაჯანსაღებას შეუდგებოდეს, თავისი საგარეო საქმეები უნდა მოაგვაროს. შემდეგ ჟანსენი შეეხო ინგლისის მიერ ბელგიისათვის ახალი სესხის მიცემის საკითხს და განაცხადა, რომ ამ საკითხის გარშემო მას ლონდონში მხოლოდ კერძო ხასიათის საუბარი ჰქონდა.

ჟანსენმა დასძინა, რომ ინგლისელი ბანკირები თანახმა არიან გადასინჯონ ბელგიისათვის ოცი წლის ვადით სესხის მიცემის საკითხი.

* * *

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

სამეცნიერო აკადემიის სხდომა

მოსკოვი, 22 აპრილი. საზეიმო სხდომა ამუნდსენის ექსპედიციის პატივსაცემად გაიხსნა 21 აპრილს დღის 3 საათზე.

სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა **სტეკლოვმა** შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის და ყველა მისი დაწესებულებების და აგრეთვე ლენინგრადის ყველა სამეცნიერო დაწესებულებების სახელით მივესალმები გაბედულ მოგზაურებს და ბუნების მკვლევართ.

კაცობრიობა ბედნიერია მით, რომ მილიარდ ადამიანებს შორის, რომელთა ცხოვრება წვრილმანი ინტერესების ირგვლივ ტრიალებს, გამოჩნდებიან, თუმცა იშვიათად, ისეთი პირები, რომლებიც მზად არიან ყველაფერი შესწირონ ახალის, უცნობის, ჩვეულებრივ მომაკვდავისათვის მიუწვდომელის აღმოჩენას.

თავისი გაბედულობით, ენერგიით და სულის სიმტკიცით ეს ხალხი გვაგონებს ძველ თქმულებათა გმირებს.

ძნელია იმის გამოთქმა, თუ როგორი ახალი ცნობებით და ახალი მეცნიერული ფაქტებით გაამდიდრებს ეს ექსპედიცია კაცობრიობას“.

სტეკლოვის სიტყვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს **გალპერშტეინმა**, კომაროვმა და პუზირიოვსკიმ.

სხვადასხვა

ერთხმად. შოტლანდიის სამთო-მადნო მუშების სადელეგატო კონფერენციამ ერთხმად მოიწონა სამთო-მადნო მუშების სრულიად ინგლისის ფედერაციის საქციელი.

უმუშევრები ინგლისში. გასულ კვირაში უმუშევართა რიცხვი ინგლისში შემცირდა 25.386 კაცით. ამჟამად უმუშევართა რიცხვი უდრის 1.024.424 კაცს.

ბიუჯეტი მიიღო სენატმა. საფრანგეთის სენატმა 278 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 12-ისა მიიღო 1926 წ. ბიუჯეტი.

შანდუნის გლეხები. შანდუნის (ჩინეთი) პროვინციის გლეხთა კონფერენციამ დაადგინა შეუერთდეს გლეხთა ინტერნაციონალს. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს შანდუნის გლეხთა პირველ ნაბიჯს განმანთავისუფლებელ ბრძოლის გზაზე.

კრიზისი ინგლისში. ინგლისის ბამბის მრეწველობის კრიზისის გამო მწარმოებლები იძლევიან წინადადებას შედგენილ იქნას მთავრობის სპეციალური კომისია მრეწველობის ამ დარგის გამოსარკვევად.

მაღაროების მეპატრონეები და ბალდუინი. გუშინ მაღაროების მეპატრონეებს თათბირი ჰქონდათ ბალდუინთან. თათბირს დაესწრენ შრომის მინისტრი და სამთამადნო უწყების მდივანი.

გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში არაფერი არ არის ნათქვამი თათბირის შედეგების შესახებ, მაგრამ აღნიშნულია, რომ მაღაროების მეპატრონეები სამთამადნო მუშების აღმასკომს ხვალ დილით შეხვდებიან.

ვილკინსის პოლიარული ექსპედიცია. ამერიკის პოლიარული ექსპედიცია, რომელსაც კაპიტანი ვილკინსი მეთაურობს, ამჟამად სურსათის საწყობს აგებს ბორის კონცხზე, ალიასკის ჩრდილოეთ ნაპირზე, რომელიც გაფრენის ბაზად არის არჩეული ჩრდილოეთში.

საკავშირო ცაკის მეორე სესია

ამხ. ფ. მახარაძის და ალანიას სიტყვა

ამხ. მახარაძის სიტყვა

მოსკოვი, 22 აპრილი. ბრიუხანოვის მოხსენების გამო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემის შეცვლის შესახებ საქართველოს წარმომადგენელმა ამხ. მახარაძემ სთქვა:

„ჩვენ უნდა ავიღოთ გლეხის შემოსავალში ის, რაც მთავარია. თუ გლეხი ფრინველის მოშენებას ეწევა, რატომ არ უნდა დავბეგროთ ის, როგორც საჭიროა, ან თუ ის ეწევა მეღორეობას არა თავის მოთხოვნილებისათვის, არამედ ბაზრისათვის, რატომ არ უნდა დავბეგროთ ის. ეს ასეც უნდა მოხდეს და ამ მხრივ ნაბიჯებიცაა გადადგმული. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საჭიროა ერთად-ერთი ცხენის, ღორის ან გლეხ-ქალის ქათმის შემოსავლის გამოანგარიშება. ეს არ იქნება სწორი მიდგომა, რადგან ქმნის უხერხულ მდგომარეობას. ამიტომ მე ვამბობ, რომ ეს ნაკლი წარმოდგენილი პროექტით არა თუ არ სწორდება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო რთულდება.

ეხლა იბეგრება შემოსავლის სულ ახალი წყაროები—არა სამიწათ-მოქმედო შემოსავალი. რაც შეეხება მეღორეობას, ფრინველის მოშენებას და სხ. ეს ამიერ-კავკასიისათვის ახალი ამბავი არ არის. ამიერ-კავკასიაში იბეგრებოდა მებამბეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა. უნდა ავიღოთ ის, რაც მთავარია და ამაზე ავაშენოთ გადასახადი და არ ვეცადოთ, რაც შეიძლება ფართოდ დავტვირთოთ გლეხთა მევენახეობა და მეფუტკრეობა.

ვამტკიცებთ, რომ ჩვენ მცირეოდნადაც არ გაგვიმარტივებია სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ხოლო სწორედ ეს იყო საჭირო ამ საკითხის სწორად გადასაჭრელად. რას ნიშნავს გამარტივება? უნდა ავიღოთ შემოსავლის ნაკრები რიცხვი, უნდა ავიღოთ ყველაზე მთავარი შემოსავალი და ამაზე ავაშენოთ გადასახადი და არ შევეცადოთ რაც შეიძლება ფართოდ შევეხოთ მთელ გლეხურ მეურნეობას, გამოვიანგარიშოთ ყველაფერი, თვითეული ფრინველი და სხ. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ბრიუხანოვმა სთქვა: „97 ცხრილის ნაცვლად ჩვენ წელს დავაწესეთ სამი"-ო. არ შეიძლება ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა. 97 ცხრილი—ძალიან ბევრია, მაგრამ მეორეს მხრივ 3 ცხრილი რომელიც გათვალისწინებულია ამ პროექტში, მეორე უკიდურესობას წარმოადგენს.

ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ჩვენ გვაქვს მრავალფეროვანი რაიონები. ამიერ-კავკასიაში მოიპოვება მრავალფეროვანი რაიონები; ცხადია, რომ ყველაფრის ერთ ან ორ ცხრილში მოთავსება შეუძლებელია.

მე არ შემიძლია მუხლობრივად განვიხილო პროექტი და ვფიქრობ, რომ ეს მუშაობა შესრულებული იქნება კომისიაში. აქ საჭიროა პროექტი საერთოდ იქნას დახასიათებული და უნდა გავითვალისწინოთ მთავარი მომენტები. ვიმეორებ, რომ ჩვენ ვერ მივუახლოვდით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრობლემის სწორ გადაჭრას.

აღვნიშნავ კიდევ ერთ გარემოებას. ბრიუხანოვმა სთქვა, რომ გადასახადის 67½% ხმარდება ადგილობრივ საჭიროებებს. ამით თითქოს წინასწარ სწყდება საკითხი მომავალში ბიუჯეტის შესახებ. რამდენადაც საქმე გვაქვს პროექტთან და არა კანონთან, ამ საკითხის წინასწარი გადაჭრა შეუძლებელია. ჩვენ წინასწარ ვსაზღვრავთ პროცენტს.

ამიტომ, საჭიროა ეს 67% ამოიშალოს პროექტიდან. მე წავიკითხე ზოგიერთი პროექტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ გადასახადი მთელი 100%-ით ხმარდება ადგილებს. ამ საქმის ორგანიზაცია ბევრ უსიამოვნებას გვაყენებს ჩვენ და აქვს დიდი ნაკლი, ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მთელი ეს გადასახადი მოხმარდეს ადგილობრივ საჭიროებებს და თვით გლეხობის მოთხოვნილებებს. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. განა ეს ერთი და იგივე არ იქნება,—ცენტრი ხომ მაინც იძლევა თანხებს ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად? განა უკეთესი არ იქნება მთელი გადასახადის მიცემა ადგილებისათვის? ასეთი წინადადება არსებობს".

თუ ეს ასე უნდა იყოს, მაშინ ისე უნდა იყოს ნათქვამი, რომ ჩვენ არავითარი ილიუზიები არ ავაშენოთ ჩვენი რესპუბლიკების უფლებების შესახებ, რადგან ამ ილიუზიებს შეუძლია ცუდი შედეგები გამოიწვიოს.

ბოლოს მე ხაზი უნდა გაუსვა ერთ გარემოებას. სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს ჩვენ ვლაპარაკობდით, თუ როგორ უნუგეშო მდგომარეობაშია ადგილობრივი ბიუჯეტი. ამაზე ჩვენ ვილაპარაკებთ ადგილობრივ ბიუჯეტის განხილვის დროს.

ჩამორჩენილ რესპუბლიკებში, სადაც არავითარი ადგილობრივი მრეწველობა არ არსებობს, ადგილობრივ ბიუჯეტების მდგომარეობა უიმედოა. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა მთელი გადასახადი დაგვეტოვებია ადგილობრივ. გლეხებისათვის ეს მოსაგები იქნება. გარდა ამისა, ამას ექნება საგიტაციო მნიშვნელობაც".

ამხ. ალანიას სიტყვა

აფხაზეთის წარმომადგენელი **ალანია** ეხება შემოსავლიანობის ნორმას და აღნიშნავს, რომ ბრიუხანოვის სიტყვით, ეს პროექტი დიდ თავისუფლებას აძლევს ადგილებს გადასახადის განაწილება შეუფარდონ ადგილობრივ პირობებს. მაგრამ სამწუხაროდ, შემოსავლიანობის ნორმების გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ადგილობრივი პირობები. ყოველ შემთხვევაში ის, რაც ცხრილშია, არ შეეფერება იმას, რაც უნდა იყოს.

მე ვეხები შემოსავლიანობის ნორმების ცხრილებს. ამიერ-კავკასიაში ერთ დესეტინა ნათესი მიწის შემოსავლის ნორმა უდრის 45 მანეთს, სწორედ ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებში. ეს არ არის სწორი. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში მისდევენ უმთავრესად სიმინდის თესვას. თუ გამოვიანგარიშებთ გაწეულ ხარჯებს და მიღებულ შემოსავალს, დავინახავთ, რომ სიმინდი იძლევა დაახლოებით 19 მანეთის დეფიციტს. მისი ფასი ძალიან დაბალია. ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია მისი შედარება ხორბალთან ან ჭვავთან.

აქ ყველა რესპუბლიკებისათვის, სადაც ხორბალი მოჰყავთ—აღნიშნულია 45 მანეთი; ამიერ-კავკასიისათვისაც—45 მანეთი. ეს არ არის სწორი. შემდეგ, შემოსავალი ცხენიდან აღნიშნულია 15 მანეთი. ჩვენს პირობებში ცხენი დეფიციტიანი ცხოველია. იგი არავითარ შემოსავალს არ იძლევა. საჭიროა ამ ციფრის გადასინჯვაც. ხარებზედაც იგივე ითქმის.

საერთოდ, მე მგონია, რომ გადასახადი სამუშაო საქონელზე, უნდა იქნას შემცირებული, შესაძლოა სრულიად უარი ვსთქვათ მასზე, იმიტომ რომ სამუშაო საქონელი არის საწარმოო იარაღი. ხარებით მხოლოდ ხნავენ და რაკი სახნავ მიწას ჩვენ ვბეგრავთ—საჭირო აღარ არის მისი ხელმეორედ დაბეგვრა. მართალია, აქ ერთი ამხანაგი გვირჩევდა ტრაქტორის დაბეგვრასაც. ჩემის აზრით, არც ეს არის სწორი. გამოდის რაღაც ორმაგი ბუხგალტერია.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა აგრეთვე ბაღების და ვენახების შესახებ. ჩვენს პირობებში არ შეიძლება ვენახების დაბეგვრა მოედნობით, იმიტომ რომ ჩვენი ვენახები განსაზღვრული გეგმით არ იზრდებიან; ერთი ვენახი აქ არის, მეორე იქ და სხ.

ეხლა, ერთი ფაქტიური შენიშვნა. დებულებაში ყრილობის შესახებ ნათქვამია, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებს საშუალება ეძლევათ გადასინჯონ შემოსავლიანობის ნორმები, ვადები და სხ. ამასთანავე აღნიშნულია —„ავტონომიური რესპუბლიკები"—საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი. მე ვფიქრობ, რომ აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. საქართველოს, აზერბეიჯანს და სომხეთს ჩვენ არა ვსთვლით ავტონომიურ რესპუბლიკებათ: ისინი არიან ფედერატიული საკავშირო რესპუბლიკები ამიერ-კავკასიის შემადგენლობაში. მეორეს მხრივ მთელ დებულებაში არაფერი არ არის ნათქვამი ავტონომიურ რესპუბლიკებზე ამიერ-კავკასიაში. მაგალითად საქართველოს შემადგენლობაში შედის 3 რესპუბლიკა: აფხაზეთი, აჭარისტანი და სამხრეთ-ოსეთი; მათ შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი და მათი უფლებები უფრო ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა რუსეთის ოლქების და გუბერნიების უფლებები.

ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში **ბრიუხანოვმა** სთქვა, რომ საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე გამართულ კამათის დროს ცაკის წევრებს არ გაულაშქრიათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმის წინააღმდეგ. მხოლოდ ცაკის ერთმა წევრმა საკავშირო საბჭოს სხდომაზე მოითხოვა რეფორმის გადადება და კანონ-პროექტის არქივში შენახვა. ეს ამხანაგი, რომელიც მოითხოვდა მეორე ხარისხოვან კულტურების, მესაქონლეობის და არა სამიწათ-მოქმედო შემოსავლის განთავისუფლებას გადასახადისაგან, ილაშქრებდა სახ. კომისართა საბჭოს ძირითად წინადადებების წინააღმდეგ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმის დარგში.

არა სამიწათ-მოქმედო შემოსავლის დაბეგვრის შესახებ ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ კამათში მონაწილე ამხანაგებმა საერთოდ მოიწონეს სახ. კომისართა საბჭოს მიერ გათვალისწინებული რეფორმა.

„ჩვენ—ამბობს მომხსენებელი—ვაახლოვებთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს საშემოსავლო გადასახადთან. ვცდილობთ რაც შეიძლება ძლიერ დაიბეგროს კულაკური მეურნეობანი და შევუმსუბუქოთ საგადასახადო ტვირთი ღარიბ გლეხთა მეურნეობას."

სახნავი და დათესილი მიწების დაბეგვრის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენ თანდათან უნდა გადავიდეთ დათესილ მიწების დაბეგვრაზე და უარი ვსთქვათ სახნავ მიწის დაბეგვრაზე.

ამჟამად ძნელია მთელ კავშირში დათესილ მიწების დაბეგვრის გატარება და ამიტომ ადგილებს უტოვებთ უფლებას გაატარონ დაბეგვრა ადგილობრივ კონკრეტიულ პირობების მიხედვით.

პროექტში გათვალისწინებულ შემოსავლიანობის ნორმების შესახებ ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ ცაკის ზოგიერთი წევრები აღნიშნავდენ, რომ სწორად არ არის გამოანგარიშებული ეს ნორმები. ზოგიერთები აღნიშნავდენ, რომ ამ ნორმების დაწესებით ჩვენ ზედმეტად დავბეგრავთ გლეხურ მეურნეობას.

„ეს ამხანაგები—ამბობს ბრიუხანოვი—ივიწყებენ, რომ აღნიშნული ნორმები არის საორიენტაციო, საშუალო ნორმები და ამიტომ ეს ნორმები შეიძლება შეიცვალოს როგორც გადიდების, ისე შემცირების მხრივ. ადგილობრივ საგადასახადო კომისიებს შეუძლიათ თავისუფლად შესცვალონ საორიენტაციო ნორმები ადგილობრივ კონკრეტიულ პირობების მიხედვით.

ეხება რა გადასახადის განაკვეთების ცხრილებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახ. კომისართა საბჭო, როდესაც აწესებდა განაკვეთის ერთ ცხრილს მთელი კავშირისათვის—ხელმძღვანელობდა იმ მოტივებით, რომ თანასწორად დაიბეგრონ გლეხთა მეურნეობანი მათი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

უკანასკნელი ცნობები

ფუნტიკოვის გასამართლება

ბაქო, 22 აპრილი. გრძელდება მოწმეების დაკითხვა, მოწმე გორბაჩოვი, ყოფილი რკინისგზელი, რომელიც თან ახლდა კრასნოვოდსკში 26 კომისრის ჩამოსაყვანათ გაგზავნილ სასწრაფო მატარებელს საყურადღებო ცნობებს აწვდის სასამართლოს კომისრების წაყვანის შესახებ.

მემანქანე შჩეგოლიუტინის შემოსვლა, რომელსაც დასახვრეტად გამზადებულ კომისარების მატარებელი მიჰყავდა, აღელვებას იწვევს დარბაზში.

შჩეგოლიუტინი ძლივს გასაგონათ ლაპარაკობს. მისი ჩვენება აბნეულია. მოწმე ფუნტიკოვის ამხანაგია და უკანასკნელის განცხადებით თანაუგრძნობდა სოციალისტ რევოლიუციონერების პარტიას. ის უყვება სასამართლოს მატარებლის გაჩერების ამბავს ორას მეშვიდე ვერსზე. კომისარები გამოიყვანეს ორ ჯგუფად და დახვრიტეს პატარა გორაკებს იქით. შჩეგოლიუტინისა და გორბაჩოვის ჩვენებებს შორის არის ზოგიერთი წინააღმდეგობა.

გორბაჩოვისა და შჩეგოლიუტინის დაკითხვის შემდეგ, გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი ქავთარაძე, რომელმაც შჩეგოლიუტინს წაუყენა ბრალდება კონტრ-რევოლიუციონერობაში და აგრეთვე იმაში, რომ მან მონაწილეობა მიიღო 26 კომისარის დახვრეტაში. სასამართლოს გამოაქვს დადგენილება შჩეგოლიუტინის დაპატიმრების შესახებ, როგორც ბრალდებულის. ბრალდებული შჩეგოლიუტინი დაპატიმრებულ იქნა დაუყოვნებლივ.

შემდეგ ხელმეორედ იქნა დაკითხული სურენ შაუმიანი, რომელიც ახლდა თავის მამას და სხვა კომუნისტებს კრასნოვოდსკში მგზავრობის დროს. სურენ შაუმიანი აცხადებს, რომ 26 კომისარის წამოსაყვანად კრასნოვოდსკის ციხეში გიულიხანდოვი და კურილიოვი ცნობილი სოციალისტ-რევოლიუციონერები იყვნენ. კომისარები დახვრიტა სოციალისტ-რევოლიუციონერების დრუჟინამ.

მეექვსე სხდომა დამთავრდა მოწმე მუდრისა და კუზნეცოვის დაკითხვით.

ავარესკუს მოგზაურობა

ვენა, 21 აპრილი. რუმინეთის ახალი პრემიერი ავარესკუ აპირებს ბესარაბიაში გამგზავრებას, „ბესარაბიის მმართველობის რეორგანიზაციის და მოსახლეობისაგან საჩივრების შეკრების" მიზნით.

პრესა, მთავრობის წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, იუწყება, რომ ავარესკუს მოგზაურობის მიზანია რუმინეთისათვის ხელსაყრელი განწყობილება შექმნას ბესარაბიის ზოგიერთ, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ოლქებში, რომლებიც ჯერაც არ შერიგებიან რუმინეთის მმართველობას.

ამ მიზნით რუმინეთის მთავრობას განზრახვა აქვს ამ ოლქების, განსაკუთრებით [illegible] მოსახლეობას მიანიჭოს საგადასახადო მორატორიუმი და მისცეს აგრეთვე სხვა „შეღავათებიც".

საავტომობილო კონვენცია

პარიზი, 21 აპრილი. გაიხსნა საავტომობილო კონვენციის გადასასინჯათ მოწვეული საერთაშორისო კონვენცია. საბჭოთა კავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. დავთიანმა გაილაშქრა კონვენციაში ერთა ლიგის წარმომადგენელთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

მთავრობის კრიზისი გრძელდება

ვარშავა, 21 აპრილი. პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ არ მიიღო მთავრობის გადადგომა.

პირველი მაისის ეშინიათ

ვარშავა, 21 აპრილი. პირველი მაისის მოახლოების გამო, პოლიციამ მასიურ დაპატიმრებებს მიჰყო ხელი.

საბჭოთა კავშირი და ავღანისტანი

ტაშკენტი, 22 აპრილი. დაიწყო მუშაობა საბჭოთა კავშირისა და ავღანისტანის შერეულმა კომისიამ, იმ კონფლიქტის მოსაგვარებლათ, რომელსაც ადგილი ჰქონდა კუნძულ ურტა-ტუგაის რაიონში საზღვარის გარშემო.

მაღაროს მუშებს დახმარებას აღმოუჩენენ

ლონდონი, 21 აპრილი. ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობის ადმასკომმა წინადადება მისცა პროფინტერნს მოიწვიოს მასში შემავალ ორგანიზაციების კონფერენცია ინგლისის მაღაროს მუშების ბრძოლისათვის მხრის დასაჭერად იმ შემთხვევაში, თუ ამსტერდამის ინტერნაციონალი არ მიიღებს პროფინტერნის წინადადებას გაერთიანებულ კონფერენციის მოწვევის შესახებ ამ საკითხის განსახილველად.

ჩემბერლენის „ზრდილობიანი" განმარტება

ლონდონი, 21 აპრილი. უპასუხა რა თემთა პალატაში შეკითხვებზე განიარაღების კონფერენციის შესახებ, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა უარი სთქვა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციის მუშაობაში თუ კი ის შვეიცარიის ტერიტორიაზე შესდგება.

ეს უარი არ არის ჩამოყალიბებული მაინც და მაინც ზრდილობიან ფორმებში.

ერთა ლიგას არ მიაჩნია შესაძლებლად გადაიტანოს თავისი მუშაობა შვეიცარიიდან სხვა ქვეყანაში, რომელიმე შვეიცარიასთან უთანხმოებაში მყოფ სახელმწიფოს მოთხოვნით.

მემარცხენე ფრაქციის დაარსება

პარიზი, 21 აპრილი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში წარმოშობილ მემარცხენე ფრაქციის ორგანიზატორებათ ითვლებიან პარტიის ცაკას წევრები: ფრანსუა, მორენი, ჟერომსკი და აგრეთვე ფოგელი და გაზ. „ესტენსელ"-ია გარშემო შემოკრებილი სხვა პირები.

„ნივთიერად დაინტერესებული" გენერლები

ვარშავა, 21 აპრილი. პილსუდსკისთან ახლო მდგომი გაზეთი „კურიერ პორანნი" ამ უკანასკნელ ხნის განმავლობაში აწარმოებს კამპანიას გენერალ გალლერისა და რაზვადოვსკის წინააღმდეგ, რადგან ეს გენერლები დაინტერესებულნი იყვნენ ნივთიერათ იმ წარმოებებით, რომლებიც ჯარისთვის მუშაობენ. სამხედრო მინისტრმა ჟელიგოვსკიმ დაარსა კომისია, რომელმაც საქმის გამოკვლევის შემდეგ, საჭიროთ სცნო რაზვადოვსკის გადაყენება სამსახურო თანამდებობიდან და გალლერის დისციპლინარული წესით დასჯა.

კომისიაში მოითხოვდენ ჟელიგოვსკის გადადგომას. ეს კონფლიქტი არმიაში არსებულ ჯგუფების ბრძოლას გამოხატავს, შესაძლებელია მას პოლიტიკური შედეგებიც მოჰყვეს.

საბჭოთა კავშირში

შმოს საბჭოს პირველი პლენუმი

მოსკოვი, 22 აპრილი. გაიხსნა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის საბჭოს პირველი პლენუმი.

რაციონალიზატორული მუშაობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ მოხსენება წაიკითხა კუიბიშევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რაციონალიზატორულ მოძრაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ თვით წარმოების მონაწილენი. დასასრულს კუიბიშევი შეეხო გამომკვლევ ინსტიტუტების მუშაობას და აღნიშნა, რომ ეს ინსტიტუტები არიან შმოს პრინციპების გამავრცელებელი ცენტრები.

ტეხნიკური მოწყობილობის შემოტანა

მოსკოვი, 22 აპრილი. **ცენტროკავშირმა გერმანიის კრედიტის ხარჯზე დაუკვეთა 5 მილიონი მანეთის საიმპორტო ტეხნიკური მოწყობილობა. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინასწარი გადაწყვეტილებით ეს დაკვეთა დაკმაყოფილებულია მხოლოდ 250.000 მან. რაოდენობით.**

ამის გამო ცენტროკავშირი შუამდგომლობს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინაშე სამომხმარებლო კოოპერაციისათვის, საჭირო საიმპორტო საქონლის შესაძენათ, 2.500.000 მანეთის გადაცემის შესახებ.

კვალიფიკაციის აწევა

მოსკოვი, 22 აპრილი. **საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მის უწყებაში მყოფ წარმოებებს და სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ზომები მრეწველობაში ახლად ჩაბმულ მუშების კვალიფიკაციის ასაწევად.**

ამ მიზნით სამეურნეო ორგანოებმა უნდა გააუმჯობესონ მეცადინეობის სისტემა კურსებზე, როგორც ახლად მიღებულ მუშებისათვის, ისე უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანისათვის.

პარტიული ცხოვრება

პარტგანმანათლებელი მუშაობა გორის მაზრაში

ზამთრის პერიოდში მაზრაში არსებობდა 5 მოძრავი პოლიტსკოლა, მუშურ რაიონში ხაშურში მეცადინეობა მიმდინარეობდა ნორმალურად, მსმენელები თითქმის უკლებლივ ესწრებოდენ მეცადინეობას.

დანარჩენ მოძრავ სკოლებში რომელნიც მოქმედებდენ თემებში, სწავლება ვერ მიმდინარეობდა ნაყოფიერად, ვინაიდან გლეხობა ამ უკანასკნელ ხანებში გავიდა სასოფლო-სამუშაოებზე—და სკოლებში მეცადინეობას ველარ ესწრებოდა. მეცადინეობა დამთავრდა 10 აპრილს. გარდა მოძრავ პოლიტსკოლებისა, არსებობს სტაციონალური სკოლები ხაშურში, გორში და ბორჯომში. ხაშურის სკოლაში მეცადინეობა შესწყდა ხელმძღვანელ ძალების ნაკლებობის გამო.

დაარსებულია ლენინიზმის შემსწავლელი წრე, გამონახულია სათანადო ბინა რომელიც მოწყობილი იქნება შესაფერისად; ამ მოკლე ხანში უკვე შეუდგებიან მეცადინეობას.

ჩამოყალიბებულია აგრეთვე პროპაგანდისტთა წრეები გორში, ბორჯომში და ხაშურში პროპაგანდის წრეები ამუშავებენ დღის წესრიგისათვის თეზისებს. ამუშავებენ მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციებს ფართო გლეხთა მასებში და სხვა.

ქალაქების კომუჯრედებს აღებული აქვთ კულტშეფობა სხვადასხვა სოფლებზე.

ახლო ხანში მოწვეული იქნება საშეფო კომისიების კონფერენცია, სადაც იქნება გამომუშავებული საშეფო მუშაობის გეგმა.

ჯ.

თემკომმა მუშაობა გააცხოველა

(ლაილაში, ლეჩხუმის მაზრა)

გასული წლის ნოემბერში ლაილაში რაიკომის ნაცვლად დაარსდა თემკომი, თემკომში ორი უჯრედი შედის, რომლებშიაც გაერთიანებულია პარტიის 39 წევრი და კანდიდატი. თემკომის დაარსებამ დიდათ შეუწყო ხელი მუშაობის გაცხოველებას. სისტემატიურად იმართება კრებები, რომელსაც უჯრედის ყველა წევრები ესწრებიან. უჯრედის სხდომები არ ჰგავს წინანდელს: ირჩევა განსაკუთრებით ადგილობრივი ხასიათის საკითხები, სწარმოებს გაცხოველებული კამათი, რომელშიაც ამხანაგების უმრავლესობა იღებს მონაწილეობას, გამოაქვთ საქმიანი დადგენილებები და სხვა.

ერთი სიტყვით, უნდა აღინიშნოს, რომ თემკომის დაარსებამ დიდათ შეუწყო ხელი პარტმუშაობის გაცხოველებას.

ვ. ხეცურიანი.

მესამე უჯრედში

(თბილ. საქონლის სადგური).

ჩვენი უჯრედის ბიუროს ხელ-ახალი არჩევნები 9 აპრილს მოხდა. ეს უჯრედი საკმაოთ მრავალრიცხოვანია.—მასში 100 წევრი და კანდიდატი ირიცხება. უჯრედმა მოისმინა პასუხისმგებელ მდივნის მოხსენება ბიუროს 6 თვის მუშაობაზე.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუროს მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში დამაკმაყოფილებელი იყო.

კრების დასასრულ არჩეულ იქნა კომისია რომელსაც დაევალა რეზოლიუციის შემუშავება.

მეორე დღეს კრებამ მიიღო ვრცელი რეზოლიუცია, რომელშიაც გათვალისწინებულია ბიუროს მომავალი მუშაობის პრაქტიკული საკითხები.

დასასრულ მოხდა ახალი ბიუროს არჩევნები, რომელშიაც არჩეულ იქნა 7 წევრი და 3 კანდიდატი.

ს. ლ—ძე.

არჩევნები ჩამატარეთ

(სართიჭალა).

2 აპრილს შესდგა სართიჭალის უჯრედის სხდომა. ამ სხდომაზე უჯრედმა მოისმინა ბიუროს ანგარიში. მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც უჯრედის თითქმის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა. მიღებულ რეზოლიუციაში კრებამ შესაფერისი დირექტივები მისცა უჯრედის ახალ ბიუროს.

დასასრულ მოხდა არჩევნები. ახალ ბიუროში არჩეულ იქნენ ძველი ბიუროს წევრებიც.

დამსწრე.

ქალთა შორის

ქალთა შორის მუშაობა ლანჩხუთში

ქალთა ორგანიზაციაში, რომელშიაც გაერთიანებულია 50-მდე დელეგატი-ქალი, მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად; მორიგი კრებები იმართება სისტემატიურად თვეში ორხელ. კრებას ესწრებიან თითქმის ყველა დელეგატი-ქალები.

მეცადინეობა წესიერად სწარმოებს. იანვრიდან დაწყებული დღემდე, მოვისმინეთ ახსნა-განმარტება ლექციების და კითხვა-პასუხის სახით დაახლოებით შემდეგ საგნებზე: 1) სოფლის კორესპონდენტები და მშრომელი ქალები, 2) საბჭოთა აღმშენებლობა, 3) ამხ. ლენინი და მისი მოღვაწეობა და სხვა.

თამარა.

მუშაობა დამაკმაყოფილებელია

(ალპანა, ლეჩხუმის მაზრა)

გასული წლის ნოემბერში ლაილაში რაი თემში ქალთა ორგანიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ალპანაში ქალთა შორის მუშაობა მანამდის არასდროს არ წარმოებულა. ამიტომ ვფიქრობდით, რომ პირველ ხანებში გაგვიძნელდებოდა მუშაობის შესაფერის დონეზე დაყენება. ეს შიში გაბათილდა. ადგილობრივ თემკომის დახმარებით ქალთა შორის მუშაობა თემში გაცხოველებით მიმდინარეობს. ქალთა ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს აგრეთვე ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ქალიც. ჩამოყალიბებულია ქალთა სადელეგატო კრება, სისტემატიურად ეწყობა კრებები და სწარმოებს მეცადინეობა.

მაგნიტი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ახ. ლ. კომკავშირის მუშაობა ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის ახ. ლ. კომკავშირის სამაზრო ორგანიზაციაში ამ ჟამად ირიცხება 2.315 წევრი და კანდიდატი, მათ შორის: ვაჟები—1954, ქალები—361, სოც. მდგომარეობის მიხედვით: ღარიბი გლეხები—1792, საშუალო გლეხები—311, მოჯამაგირე 12, მუშა—12, მოსამსახურე—107, ხელოსანი—9 და სხვა—72.

უპარტიო ახალგაზრდობაში კომკავშირის ორგანიზაცია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რის დამამტკიცებელია უპარტიო ახალგაზრდობის დიდი ლტოლვა კავშირისაკენ და მათი დასწრება ღია კრებებზე.

თემკომების დაარსების შემდეგ მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, იზრდება გლეხაქტივისტთა კადრი.

თემკომი სათანადო ყურადღებას აქცევს უჯრედებს, თვეში ერთხელ იწვევს ბიუროს წევრთა თათბირს, სადაც ირჩევა სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხები.

კავშირში მყოფი ქალთა შემადგენლობა უმთავრესად არის გლეხობა. პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის სამაზრო ორგანიზაციაზე დამაკმაყოფილებელია. კომკავშირის უჯრედებზე სამუშაოდ მიმაგრებულია კომუჯრედების მიერ გამოყოფილი ამხანაგები. უკანასკნელი ხნის განმავლობაში პარტიაში გადარიცხულ იქნა 300 კომკავშირელი, რომლებიც სოც. მდგომარეობის მიხედვით ყველანი გლეხები არიან. პარტიაში გადარიცხული ამხანაგები აწარმოებენ აქტიურ მუშაობას სამაზრკომის მიერ გაგზავნილი დირექტივების მიხედვით.

ქალაქის ორგანიზაციაში არის ჩამოყალიბებული 7 უჯრედი, კრებები თვეში იმართება ორჯერ, პოლიტმეცადინეობა თავის დონეზეა დაყენებული.

კომკავშირში დაცულია მტკიცე დისციპლინა.

სამაზრო კომიტეტი მთავარ ყურადღებას აქცევდა უპარტიო ახალგაზრდათა შორის მუშაობას; ყველა უჯრედებს შესაფერისი დირექტივა მიეცა.

კომკავშირი დიდ მონაწილეობას ღებულობს სოფლის მეურნეობის ღონისძიებების საქმეში, როგორც სამეურნეო პროპაგანდაში, ისე მიწად მოწყობაში. საბჭოების მუშაობაში კომკავშირელები ღებულობენ ცხოველ მონაწილეობას. აქტიურად მონაწილეობენ ისინი აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობაშიაც.

გლეხკომებში კომკავშირის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ზოგან გლეხკომების თავმჯდომარეებად არიან კომკავშირის წევრები, ავტორიტეტით სარგებლობენ უპარტიო მშრომელ მასაში, კომკავშირელები დახმარებას ეწევიან ქვრივ-ობლებს და ინვალიდებს, თავისუფალ საზოგადოებებში კავშირის წევრთა რიცხვი აღემატება 1000 კაცს. სამაზრკომი სათანადო მუშაობას აწარმოებს, რათა კავშირის წევრებმა უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ ამ საზოგადოებებში.

ქალაქად ჩამოყალიბებულია 2 პოლიტსკოლა, სოფლად კი 60 პოლიტ-კითხვის ჯგუფი. პოლიტსკოლების თვისებრივი შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია.

პიონერთა ორგანიზაციის ზრდა შესამჩნევია. პიონერორგანიზაციაში 2875 ბავშვი ირიცხება, კომკავშირის ხელმძღვანელობა პიონერორგანიზაციაზე დამაკმაყოფილებელია.

ზუგდიდელი.

პარტიული ქრონიკა

— **მისასალმებელი დეპეშა.** საქ. წითელი მილიციის ხუთი წლის თავის გამო, ცეკამ მიიღო ბორჩალოს მაზრის მილიციელთა საზეიმო სხდომის მიერ გამოგზავნილი მისასალმებელი დეპეშა.

— **მასალების დამუშავება.** ც. კ. ინფორმ. განყოფილება ამჟამად ამუშავებს საკითხს იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა მოიტანა თემკომების სისტემის შემოღებამ.

— **გურიის კომიტეტი.** გურიის სამაზრო კომიტეტმა დაგზავნა ცირკულიარული მიმართვა თემკომებისადმი, სადაც მიუთითებს მიწის კანონების დარღვევაზე და აძლევს დირექტივებს, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამის წინააღმდეგ.

— **ზემო სვანეთში.** უკანასკნელ თვეებში მაზრის 12 თემში დაარსებულ იქნა პოლიტწრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობს საგანგებოთ მიმაგრებული პარტიული ამხანაგები. თითოეულ წრეში მეცადინეობს საშუალოდ 40 კაცი. საერთო რიცხვი აღემატება 400 კაცს.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის საბითუმო ბაზარი აპრილის პირველ ნახევარში

თბილისის საბითუმო ბაზარი აპრილის პირველ ნახევარში არ იყო გაცხოველებული. ამას ხელს უწყობდა ერთის მხრივ კრედიტების საგრძნობი შემცირება და მეორე მხრივ [illegible] საქონლის ნაკლებობა ბაზარზე.

პურის ბაზარზე მართალია ამ უკანასკნელ ხანებში შემცირდა პურეულის დატვირთვა ჩრდ.-კავკასიაში, მაგრამ ამას ჩვენ ბაზარში გავლენა არ მოუხდენია, რადგან ჩვენში ამ პროდუქტის მარაგი საკმარისია და ბაზარიც დაკმაყოფილებულია სავსებით.

ყურადღებას იპყრობს არა დამაკმაყოფილებელი ხარისხი ფქვილისა, რომელიც შემოდის ჩვენს ბაზარზე ამ უკანასკნელ ხანებში. კერძო პირებს ფქვილი სრულიად არ შემოაქვთ. აღსანიშნავია ნაკლებობა ხორბლისა, რომელზედაც გაზრდილია მოთხოვნილება.

ლითონის და საამშენებლო მასალის ბაზარზე. რკინაზე მოთხოვ. შენელება ეტყობა მიუხედავათ ამისა ბაზარზე საქონლის ნაკლებობაა. განსაკუთრებით საგრძნობია ნაკლებობა დახარისხებული რკინისა; რაც შეეხება წიბოვან რკინას, იგი სრულიად არ მოიპოვება. მცირეა სახურავი რკინის რაოდენობაც.

საბითუმო და საგეგმო ფასები სახელმწიფო ორგანოებში უცვლელია, ხოლო კერძო ბაზარზე მერყეობა ემჩნევა.

წინანდებურად სავსებით კმაყოფილდება მოთხოვნილება ლურსმანზე. ცოტაა ხელსაწყობი და ვერ კმაყოფილდება მოთხოვნილება გამომწვარ და გათუთიავებულ მავთულზე.

ბაზარზე კალა განსაზღვრული რაოდენობით მოიპოვება. ასეთივეა მდგომარეობა თუთიისა და ტყვიის მხრივაც.

რაც შეეხება საამშენებლო მასალების ბაზარს, აქ აღსანიშნავია ნაკლებობა ფანჯრის მინისა. ცემენტზე მოთხოვნილება დიდია, მაგრამ მისაწოდებლად მხოლოდ ნოვოროსიის საქონელი მოიპოვება. საამშენებლო სეზონის დად. გამო დიდია მოთხოვნილება აგურზე. ცოტა არის ბაზარზე რუსული წებო, მაგრამ ადგილობრივი წარმოებიათაც კმაყოფილდებიან.

ფართლეულის ბაზარზე დღესასწაულობის მოახლოვების გამო გაიზარდა მოთხოვნილება. მოთხოვნილება სავსებით ვერ კმაყოფილდება.

განსაკუთრებით საგრძნობია ნაკლებობა თეთრეულის. არ არის საყოფად სელის ქსოვილებიც და თუ მისი შემოზიდვა არ გაიზარდა, სეზონის დადგომის გამო, შესაძლებელია ბაზარზე მდგომარეობის გართულება. წინანდებურად ნაკლებად მოიპოვება კამვოლის ქსოვილებიც.

კერძო ბაზარზედაც გაცხოველდა მოთხოვნილება საქონელზე და ფასებს ზრდა დაეტყოთ.

სინდიკატის თბილისის განყოფილებას აპრილში მიეცემა 1 1/2 ვაგონი ბამბეული.

საბაყლო ბაზარზე. შაქარი დიდძალი რაოდენობით მოიპოვება.

ბრინჯი განსაზღვრული რაოდენობითაა, სპარსეთიდან შემოზიდვის შემცირების გამო.

მზესუმზირას ზეთზე ფასებს ზრდა ეტყობა, რადგან საქონლის შემოტანა სუსტია.

ტყავის ბაზარზე. ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრ. საპაიო ამხანაგობამ გამოუშვა ბაზარზე პარტია საზღვარგარეთელი ტყავისა და რუსეთის ტყავიც რეგულიარულად შემოდის. ამის გამო ფასებს ეტყობათ დაკლება. კერძო ვაჭრებსაც ეძლევათ საქონელი, მაგრამ იმ პირობით, რომ ა.-კ.-დან მას არ გაიტანენ.

სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზარზე. მატყლზე წინასწარ ფასად 14 მანეთის დაწესების გამო, დაიწყო მისი გაცხოველებული დამზადება. ბირჟაზე გატარდა მსხვილი სასწრაფო გარიგებანი ქართულ მატყლზე. მატყლის გამყიდველებად გამოდიან კოოპერატიული ცენტრები, ხოლო მყიდველებად კი რუსეთის მრეწველობის წარმომადგენელნი.

ღვინოზე მოთხოვნილება გაიზარდა დღესასწაულის მოახლოვების გამო. სპირტის ბაზარზე სიწყნარეა. მცირეა მოთხოვნილება საკონიაკო სპირტზე.

კარაქზე მო[illegible]ება დიდია. ვოლოგის კარაქის შემოტანის შემცირების გამო დაწნეხილი კარაქი ბითუმად ვაჭრობაში 34—35 მანეთად ფასობს ფუთი. ასევე ფასობს ერბოც.

თვალსაჩინო მოთხოვნილებაა ნედლ ტყავზე შინა-მრეწველობის მხრივ, განსაკუთრებით ცხვრისა და თხის ტყავზე. ფასებს ეტყობა ზრდა. შემცირდა ცხვრის ტყავის შემოტანა, სპარსეთიდან, მცირე რაოდენობით შემოაქვთ იგი ოსმალეთიდან.

ხორცის ბაზარი

1-დან 15 აპრილამდე თბილისის საფონდო საქონლის ბირჟაში გატარდა 154 გარიგება მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზე. ამ გარიგებებით გაყიდულ იქნა 743 სული მსხვილფეხა საქონელი 110.193 მან. 71 კაპ. და 539 სული ცხვარი 11.445 მანეთად.

ამ ხნის განმავლობაში მორეკილ იქნა გასასყიდათ და დასაკლავად თბილისში: 915 ხარი, 102 ძროხა, 277 კამეჩი, 50 კამეჩი-ძროხა, 1.470 სული ცხვარი, 822 ბატკანი და 405 ღორი.

ჩრდილოეთ კავკასიაში საქონელი საშუალოზე მეტი სიმსუქნისა 10 აპრილამდე ფასობდა 7-8 მან. ფუთი. ამის შემდეგ საქონელი თბილისში იქიდან არ შემოურეკიათ. ხარი, ძროხა და ხბო საშუალოზე მეტი სიმსუქნისა 10 აპრილიდან იყიდებოდა 6 მან. 50 კაპეიკიდან—7მანეთამდე და 10 აპრილის შემდეგ გაძვირდა 9 მან. 10 კაპ-მდე ფუთი. ასეთივე სიმსუქნის კამეჩი ფასობს 5-6 მან. (ცოცხალი წონა).

საქონლის მორეკა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რისთვისაც ფასები იზრდება; საქონლის შემორეკვა შემცირდა ჩრდილო-კავკასიის ბაზარზე მაღალი ფასების გამო. სასოფლო-სამეურნეო მუშაობათა დაწყების გამო ყარსის და ახალქალაქის საქონლის მორეკვაც შემცირებულ იქნა.

აღნიშნულ პერიოდში დაკლულ იქნა 1.444 სული მსხვილფეხა საქონელი, რომელთაც მისცეს ბაზარს 18.164 ფ. 33 გირ. ხორცი. წვრილფეხა საქონლიდან დაკლულ იქნა 2/281 სული ცხვარი, რომელმაც მისცა ბაზარს 2.645 ფ. 20 გირ. ხორცი და 419 სული ღორი, რომელმაც მისცა 1.727 ფ. 26 გირ. ხორცი.

აღნიშნულ პერიოდში ფასებმა ხორცზე აიწია 42 პროცენტით. ბითუმად მსხვილფეხა საქონლის ხორცი დუქანში მიტანით ფუთი ფასობს 16-18 მან-მდე, ცხვრის 20 მანეთამდე და ბატკნის 24-28 მანეთამდე.

ეკონ ცხოვრება

ს. მ. უ. საბჭოში

ცემენტის ქარხანა

ამჟამად საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო იმუშავებს ცემენტის ქარხნის პროექტს. პროექტის მიხედვით უნდა მოეწყოს ქარხანა, რომლის ნაყოფიერება იქნება წელიწადში—7 მილიონი ფუთი. ქარხნის ასაგებად შერჩეულია ორი ადგილი—ტყიბული და კავთისხევი. უპირატესობა ეძლევა კავთისხევს, რომელიც რკინისგზის ხაზთან და სამრეწველო ადგილებთან უფრო ახლო მდებარეობს. სადგურის საამშენებლო მუშაობის დაწყება ნავარაუდევია მიმდინარე წლისათვის.

ტეხნიკური ლაბორატორიის მოწყობა

თბილისში ეწყობა ცენტრალური-ტეხნიკური ლაბორატორია. ლაბორატორიაში იწარმოებს ნედლეულის (მცენარეული და მინერალური) გამოკვლევა; აქვე გამომუშავებული იქნება სამრეწველო ნედლეულის ქიმიური გადამუშავების მეთოდები.

ცენტრალურ ამბულატორიას ექნება ორი განყოფილება — საანალიზო და ტეხნიკური.

საანალიზო განყოფილებაში იწარმოებს მადნების ანალიზი მათი შემდგენელი ნაწილების და მათში ლითონების (სპილენძის, ტყვიის, რკინის) რაოდენობის გამოსარკვევად.

ტეხნიკურ განყოფილებაში მოხდება ტრესტების პროდუქციის ანალიზი: გამოკვლეულ იქნება: მინერალურ სასმელების, ქსოვილების ღირსება და საღებავების, საპნების, სპირტეული სხვა.

საამშენებლო მასალის ქარხნები

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის ახალ დარგს წარმოადგენს საამშენებლო მასალის წარმოება-დამზადება. აგურის ქარხნები, რომლებიც ამჟამად საამშენებლო მასალის მწარმოებელ ქარხნების სამმართველოს უწყების ქვეშ იმყოფება, უკვე საკმაოდ დატვირთული არიან შეკვეთილი სამუშაოებით. სამმართველოს მიერ გამომუშავებული გეგმით, მიმდინარე საამშენებლო სეზონისათვის დამზადებულ უნდა იქნეს 15 მილიონი ცალი აგური.

მარტის შუა რიცხვებში ქარხნებმა უკვე მიიღეს 10 მილიონი აგურის შეკვეთა. შეკვეთა გრძელდება, ასე რომ მალე გადააჭარბებს გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. გადიდებულ მოთხოვნილების გამო, საამშენებლო მასალის მწარმოებელ ქარხნების სამმართველოს განზრახვა აქვს, აგურის ქარხნების ნაყოფიერება 20 მილიონამდე აიყვანოს.

საამშენებლო მასალის ტეხნიკური პირობების შეცვლის გამო, აგურის ქარხნები იწყებენ ახალ ზომის (გერმანულ) აგურის წარმოებას.

დღემდე სახლების კედლებს აშენებდენ ორნახევარ აგურით: ვინაიდან ზედმეტი აგური სახლს სითბოს არ მატებს, ხოლო სიმტკიცისათვის კი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ აგურის სიმკვრივეს, გადაწყვეტილია, სახლების შენება ერთნახევარი აგურით. ასეთი ზომის აგურით „ცენტრომშენმა" ააგო ორსართულიანი მუშათა სახლი ნაძალადევში.

აგურის ქარხნების მეტი ნაწილი შეკვეთის თანახმად იწყებს ახალი ზომის აგურის წარმოებას.

მიმდინარე საამშენებლო სეზონისათვის მუშა ხელის რაოდენობა აგურის ქარხნებში აყვანილ იქნება 500 კაცამდე. ახალი კოლექ. ხელშეკრულების მიხედვით მუშაობის პირობები აგურის ქარხნებში გაუმჯობესებულია: გადიდებულია ხელფასი, გაუმჯობესებულია სპეცტანისამოსი, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები და სხვა.

სოფლელი.

ა.-კ. შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში ა.-კ. შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

— ამიერ-კავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანების საკითხი, რასაკვირველია, დაკავშირებულია მოსკოვის ცენტრალურ ორგანოების გაერთიანებასთან. ეს გაერთიანება მეტად რთულ მუშაობას მოითხოვს და მისი გატარება უბრალო მექანიკური წესით შეუძლებელია. ცენტრში, საკითხის ხანგრძლივი და დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ, უკვე შემუშავებულია ერთგვარი საორგანიზაციო სქემა, რომელიც ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შეტანილია დასამტკიცებლათ შრომის და თავდაცვის საბჭოში.

ამ სქემაში აღნიშნულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობის წესი და სტრუქტურა საკავშირო რესპუბლიკებში. საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო ამ სქემას, ალბად, განსახილველად გადაიტანს საკავშირო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოში; ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შინა-ვაჭრობის კომისარიატთან ერთად უკვე ამზადებს სათანადო მასალებს და წინადადებებს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში წარსადგენათ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერ-კავკასიის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანების საკითხი მოგვარებულად იქნება უახ-

საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი

საუბარი ოსმალეთის მოსაზღვრე დივიზიის უფროსთან—ბ. ქიაზიმ-ფაშასთან

21 აპრილს, ყარსიდან თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის მოსაზღვრე დივიზიის უფროსი ბ. **ქიაზიმ-ფაშა**, რომელიც ბათომით მიემგზავრება სტამბოლში საქმიოდ.

ბ. ქიაზიმ-ფაშა ოსმალეთის ერთ-ერთი გამოჩენილი რევოლიუციონერი მოღვაწეა; ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოსმალეთის სულთანის საწინააღმდეგო მოძრაობაში. ამასთანავე ბ. ქიაზიმ-ფაშა ეკუთვნის ოსმალეთის იმ წრეებს, რომელთა მიზანია ახლო კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირთან.

ბ. ქიაზიმ-ფაშას თან ახლავს მისი მეუღლე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალების განსათავისუფლებლად დაწყებულ მოძრაობაში.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, ბ. ქიაზიმ-ფაშამ ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— თავდაპირველად მე მადლობა უნდა გამოვსთქვა იმ თბილი მიღებისათვის, რომლითაც მე შემხვდენ საზღვარზე და შემდეგ ლენინაკანში. თბილისში მე დიდხანს არ ვაპირებ დარჩენას. მე ტრანზიტით მივემგზავრები სტამბოლში, სადაც საქმიოდ გამოვიყენებ ერთი თვის შვებულებას, რომელიც მომცა ოსმალეთის ჯარების სარდლობამ.

ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ მე შემიძლია ვსთქვა, რომ ეს ურთიერთობა თანდათან მტკიცდება. საბჭოთა კავშირთან მეგობრული კავშირის განმტკიცებაში დაინტერესებულია არა მარტო ოსმალეთის მთავრობა, არამედ ხალხის ყველა ფენები, რომლებიც დიდ საბჭოთა კავშირში ხედავენ ერთად-ერთ მოკავშირეს აღმოსავლეთის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ ქურთების აჯანყების შედეგები. აჯანყება ჩაქრობილია სავსებით, ამჟამად ოსმალეთის მთავრობა ფხვრელად; ამ მიზნით ხდება ქურთფეოდაფხვრელად; ამ მიზნით ხდება ქურთ-ფეოდალების გადასახლება განაპირა კუთხეებიდან ქვეყნის შიგნით, ტარდება მიწათმოწყობა უმიწაწყლო ქურთების მიწებით დაკმაყოფილების მიზნით და სხვა.

ოსმალეთში ამჟამად ფართო მოძრაობაა დაწყებული ქალების განთავისუფლებლად. ოსმალეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს თანდათანობით გადმონერგოს ოსმალეთში ევროპიული კულტურა. ამ მიზნით ტარდება სხვადასხვა რეფორმები, რომლების წარმატებით ჩატარებაში დაინტერესებულია ხალხის ფართო მასები. ეს რეფორმები გამოხმაურებას ჰპოულობენ ოსმალეთის ყველა კუთხეებში.

დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ ქალთა შორის მუშაობის დარგში; ამის დამადასტურებს საბჭოთა კავშირის ელჩი ყარსში—როშალი, რომელსაც წლინახევრის წინად არც ერთი ქალი არ უნახავს ყარსში, რადგან ყველა ისინი ჩადრებში დადიოდენ, ეხლა კი მრავალმა ქალმა აიხადა პირბადე, რაც ჩვენი მოწინავე ქალების მუშაობის ნაყოფია.

დასასრულ მე მსურს აღვნიშნო ჩვენი მდგომარეობა. ოსმალეთის ჯარი საგრძნობლად განმტკიცდა, როგორც სამარი მომზადების მხრივ, ისე შეგნებითაც. ჯარში ფართოდ განვითარებულია კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა: იმართება ასკერების კონფერენციები, იკითხება ლექციები, მოხსენებები და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოსმალეთის ჯარში ამჟამად სრულებით არ არიან უცხოელი სპეციალისტები. ისინი შესცვალეს საკუთარმა სპეციალისტებმა, რომლებიც მრავლად იზრდებიან ჩვენს სასწავლებლებში.

ეს პრინციპი თანდათან ტარდება სამოქალაქო აღმშენებლობის დარგშიც. ოსმალოთ ახალგაზრდობა უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლის დამთავრების შემდეგ უბრუნდება თავის სამშობლოს და იქ განაგრძობს მუშაობას ახალგაზრდა რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

საგარეო ვაჭრობა

(1925—26 წლის პირველ ნახევარში)

ოქტომბრიდან პირველ მარტამდე ამ.-კავკ. სავაჭრო დაწესებულებებს საზღვარგარეთ შეუკვეთიათ 6 მილიონის სხვადასხვა საქონელი. გასავალი 6 თვის (1924—25 წ.) ამავე პერიოდში შეკვეთა უდრიდა—4.760 მანეთს. შეკვეთებს შორის თავის რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს საქონელს, რომელსაც ჩვენი მრეწველობა საჭიროებს. ეს საქონელი შეადგენს მთელი შეკვეთების 48 პროცენტს. მეორე ადგილი უკავია სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო საქონელს, რომელიც მთელი შეკვეთის 12 პროცენტს შეადგენს, ფაქტიურად სასოფლო მეურნეობისათვის შეკვეთილი საქონელი 20 პროცენტს აღწევს; (შეკვეთების დიდი ნაწილი მიცემული იყო საზღვარგარეთ ჯერ კიდევ 1924—25 წელს იმ მიზნით, რომ თავის დროზე ყოფილიყო მიღებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები).

საგარეო ვაჭრობის დაწესებულებების ერთს მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სასოფლო მეურნეობისათვის ტრაქტორების, გუთნების, შაბიამანის და სხვა საქონლის დროზე მიწოდება, რაც მათ შესძლეს მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებისა. ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ უზრუნველყო სასოფლო მეურნეობა წლევანდელი სეზონისათვის აუცილებელი საგნებით (შემოიტანა შაბიამანი—80.000 ფუთი, გუთნები—4.600 ცალი, ცელები—200.000, საცხველი—20 ცალი, ტრაქტორი—250).

ფაქტიური შემოტანა საანგარიშო პერიოდში უდრიდა—4.450.000 მანეთს (1924—25 წელში) იმავე პერიოდში კი—2.146.000 მანეთს.

აქაც პირველი ადგილი უჭირავს მრეწველობის საჭიროების დაკმაყოფილებას (დაახლოებით 2.500.000 მანეთს), შემდეგ სასოფლო მეურნეობას—(1.020.000 მანეთს). შეკვეთების მეტი წილი შემოტანილია გეგმით წესით ა.-კ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის ხარჯზე, მთლად 19 პროცენტი შეკვეთებისა წარმოადგენს სამეურნეო ორგანოების მიერ სპეციალურ შეკვეთებს.

საფეიქრო მრეწველობა

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები

ამ ორი კვირის წინად საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაეჩქარებია აბრეშუმის ძაფის ამომხვეველი ფაბრიკების მოწყობა თელავში, ხონსა და ოზურგეთში.

ქარხნების ამუშავების დაჩქარების მიზნით ეკონომიურმა საბჭომ შესაძლებლად სცნო უცხოეთიდან მოწვევა ერთი ინჟინერისა და ორი მანტიორისა (მანქანების ამწყობის).

გარდა ამისა, ს. მ. უ. ს. დავალებული აქვს აპრილის დამლევისათვის დაამუშაოს საკითხი ამ ქარხნების ექსპლოატაციის, ქარხნებისათვის საჭირო მუშა-ხელის რაოდენობის და კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების შესახებ.

ადგილებიდან მიღებული ცნობებით უკვე დაიწყო ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკის კორპუსის დატიხვა.

ამ ფაბრიკებისათვის გამოწერილი (იტალიიდან) მანქანები მიღებული იქნება მაისის შუა-რიცხვებში.

რაც შეეხება თელავის ფაბრიკას, მისი შენება უკვე დამთავრებულია. ამჟამად სწარმოებს მუშაობა იტალიიდან მიღებულ მანქანების დასადგმელად და ასაწყობად.

დამთავრებულია აგრეთვე ხონის ფაბრიკის შენებაც, სადაც ამჟამად სწარმოებს მანქანების დადგმა.

ქიმიურ მრეწველობის განვითარება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურმა განყოფილებამ დაამტკიცა საქართველოში ქიმიურ მრეწველობის განვითარების გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით საქართველოში უნდა მოეწყოს ცემენტის წარმოება.

განზრახულია აგრეთვე შექმნა მთლიანი ცენტრის, რომელიც სათავეში ჩაუდგება მინერალურ საღებავების და საერთოდ მინერალების დამუშავება-დამზადების საქმეს. გეგმის მიხედვით განზრახულია აგრეთვე საქართველოს ერთ-ერთ ცენტრში მოეწყოს ფოსფორის წარმოება. ამ მიზნით წინასწარ გამოკვლეული იქნება მთელ რესპუბლიკაში ისეთი ადგილები, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ აღნიშნულ მიზნისათვის შესაფერი თიხა საკმაო რაოდენობით.

შინამრეწველობა

შინა-მრეწველობა და ხელოსნობა საქართველოში

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით, მთელს საქართველოში ითვლება 49.000 კომლი ანუ დაახლოვებით 100.000 სული შინა-მრეწველი; მათი წლიური პროდუქცია კი უდრის 7.618.000 მანეთს.

ჩვენი შინა-მრეწველების მუშაობის ძირითადი დარგია მაუდის, აბრეშუმის და ხალიჩების ქსოვა, ხის დამუშავება, კერამიკული საქმე და სხვა. შინა-მრეწველებს გარდა ქალაქებში არიან კიდევ ხელოსნები, რომლებიც გაერთიანებული არიან თბილისში და სამაზრო ქალაქებში შინა-მრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოებაში.

შინა-მრეწველობისათვის ხელის შეწყობის მიზნით, დაარსებულია საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც უკვე მოახერხა რამოდენიმე არტელის მოწყობა: დაარსებულია მაუდის და აბრეშუმის მქსოველთა, კერამიკულ საქმეზე მომუშავეთა, პურის მცხობელთა, ტყავის დამმუშავებელთა და სხვა დარგის შინა-მრეწველების არტელები; ამას გარდა არის კიდევ რამოდენიმე არტელი, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ორგანიზაციულად და იურიდიულად. დასავლეთ საქართველოში არის ერთი საკრედიტო-საწარმოო ამხანაგობა.

კრედიტები ა/კ. შინა-მრეწველებს

ამიერ-კავკასიის შინა-მრეწველობისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ საჭიროთ სცნო მიმდინარე საოპერაციო წლის მეორე ნახევარში გამოთხოვილი იქნეს საერთო-საკავშირო თანხებიდან განსაკუთრებული კრედიტი.

საჭირო კრედიტის რაოდენობა უდრის 1.260.000 მანეთს, აქედან საქართველოსათვის საჭიროა—450.000 მანეთი, აზერბეიჯანისთვის 470.000 მან. და სომხეთისათვის—200.000 მანეთი. ამას გარდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სჭირდება კიდევ 140.000 მანეთი და ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ამიერკავკასიის შინა-მრეწველობის გამოსაკვლევად — 100.000 მანეთი.

რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებს წინადადება მიეცათ თავის დროზე წარმოადგინონ 1926—1927 წელში საჭირო კრედიტების ნუსხა.

შინამრეწველთა ახალი ამხანაგობანი

1923 წელს ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში აღრიცხულია 49 ათასი კომლი, ანუ 100 ათასი პირი, რომელიც მისდევს სასოფლო შინამრეწველობას. ყველა ამ შინამრეწველთა პროდუქციის ღირებულება წლიურად უდრის 7.618 მანეთს.

საქართველოს შინამრეწველთა ძირითად მოხელეობას წარმოადგენს—ფეიქრობა, (მაუდის, შალის, აბრეშუმის და ნოხ-ხალიჩების ქსოვა-წარმოება)—ხის დამუშავება, კერამიკული ხელობა და სხვა. გარდა ამისა, მუშაობს რამოდენიმე ათასი ქალაქელი ხელოსანი, რომელნიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა ამხანაგობებსა და არტელებში. ასეთი ამხანაგობები მოწყობილია როგორც თბილისში, ისე სამაზრო ქალაქებში.

შინამრეწველობის ხელის შეწყობის და განვითარების მიზნით რამოდენიმე თვის წინად დაარსდა შინასამრეწველო - სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო. ამ ორგანიზაციამ, მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, შესძლო რამოდენიმე არტელის მოწყობა. ეს არტელები არიან: შალ-მაუდის მქსოველთა, აბრეშუმის მქსოველთა, ქურქლეულობის მოხელეთა, საბავშო სათამაშოების ხელოსანთა და მეპურეთა არტელები. ეწყობა კიდევ რამდენიმე არტელი, რომელიც ამჟამად საორგანიზაციო და იურიდიულად ჩამოყალიბების პერიოდში იმყოფება. დასავლეთ საქართველოში მოწყობილია კიდევ ერთი საწარმოო ამხანაგობა.

არტელების რაოდენობის შედარებით ნელა ზრდა აიხსნება საორგანიზაციო ბიუროს ფრთხილი მიდგომით საქმისადმი, აგრეთვე ფულის ნაკლებობით, მასალების და შენობების უქონლობით.

ძირითადი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება შინამრეწველობის განვითარებას არის—ფინანსიური ხელმოკლეობა. მთავრობამ არტელებს აღუთქვა გრძელვადიანი სესხის მიცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

საგაზაფხულო თესვა.

ქუთაისი, 22 აპრილი. მთელს ქუთაისის მაზრაში დაიწყო მუშაობა მინდვრებში. ხთესენ სიმინდს და ლობიოს. დაიწყო აგრეთვე მუშაობა ბაღებში და ბოსტნებში.

ამინდი სავსებით ხელს უწყობს მუშაობას.

ნათესების სივრცე.

გორი, 22 აპრილი. წელს გორის მაზრაში ნათესების სივრცე 6.000 დესეტინას უდრის.

მაზრაში მოიპოვება 6 აგრონომიული პუნქტი და 10 აგრონომიული წრე, სადაც იკითხება ლექციები გლეხებისათვის.

საადგილ-მამულო განყოფილებას აქვს 7 გამქირავებელი პუნქტი, რომელთა საშუალებით გლეხები იძენენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ამას წინად საადგილ-მამულო განყოფილებამ შეიძინა სამი ფორდზონის სისტემის ტრაქტორი და 6 ტრიერის სისტემის გუთანი.

ახლო მომავალში კიდევ 12 ტრაქტორს მიიღებენ.

აჭარისტანი

დახმარება ინვალიდებს.

ბათომი, 22 აპრილი. აჭარისტანის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ცენტრმა 40.000 მანეთი მისცა ინვალიდებისათვის დახმარების დასარიგებლად.

ავადმყოფების გადაგზავნა კურორტებზე.

ბათომი, 22 აპრილი. 1 მაისიდან აჭარისტანის დამზღვევი სალარო დაიწყებს ავადმყოფების გზავნას კურორტებზე. პაციენტების პირველი პარტია 17 კაცის შემადგენლობით გაგრაში იგზავნება.

ბათომი—ბალტიის ზღვა.

ბათომი, 22 აპრილი. საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა მოაწყო მიმოსვლა ბათომის ნავთსადგურიდან შავი ზღვის და ბალტიის ზღვის ნავთსადგურამდე. რეგულიარულად ივლის ორი გემი.

აფხაზეთი

თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილება.

სოხუმი, 22 აპრილი. საბოლოოდ გადაწყდა თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილების გახსნა სოხუმში.

ბანკის განყოფილება 15 მაისიდან დაიწყებს მუშაობას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

სოხუმი, 22 აპრილი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელი 100 პროცენტით არის აკრეფილი.

გადასახადის აკრეფის დროს ადგილი ჰქონდა გაფლანგვის შემთხვევებს. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

კონტრაბანდის დაჭერა.

სოხუმი, 22 აპრილი. ბათომიდან მოსულ გემ „ლენინ"-ზე სოხუმის საბაჟოს თანამშრომლებმა დაიჭირეს 1000 მანეთის კონტრაბანდა.

კოოპერატივი კარგად მუშაობს

(თიანეთი)

6 აპრილს მოხდა თიანეთის კოოპერატივის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა როგორც გამგეობის, ისე სარევიზიო კომისიის მოხსენებები. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1925 წლის პირველი ოქტომბრიდან კოოპერატივის წევრთა რიცხვი თითქმის 100% გაზრდილა. შესაფერისად გაზრდილა კოოპერატივის ძირითადი თანხაც. ამჟამად ის ათას მანეთამდე აღწევს. გაუმჯობესებულა აგრეთვე კოოპერატივის ვაჭრობა და გაზრდილა მოგების თანხაც. კოოპერატივს აქვს განყოფილება ზემო-თიანეთის თემში. განზრახულია განყოფილების გახსნა არტნის თემშიც.

კრებამ დამაკმაყოფილებლად აღიარა გამგეობის მუშაობა.

ზ. ბადურაშვილი.

წერილებიდან

ჩხირაულის თემი (შორ. მაზრა).

გლეხი დაიჩაგრა. ამ თემში ცხოვრობს მასწავლებელი ვალიკო შუბლაძე. წინათ მას საკმაო მამული ჰქონდა. მისი მიწის ერთ ნაჭერზე 4 წლის წინ დასახლდა გლეხი ალექსანდრე შუბლაძე. ეხლა მასწავლებელმა შუბლაძემ გაჰყარა გლეხი და დაურღვია მას სახლი.

საჭიროა ამ საქმის გარჩევა, რადგან, როგორც ამბობენ, ვალიკო შუბლაძემ უჩივლა გლეხს, შეცდომაში შეიყვანა სასამართლო და მოიგო კიდეც საქმე. ამით თუ აიხსნება, ალბათ, ის რომ სახლის დარღვევაში მასწავლებელ შუბლაძეს მილიციაც უწევდა დახმარებას.

მეზობელი.

გამოჩინებულის თემი (ქუთ. მაზრა).

კოოპერატივი დაიკეტა. ჩვენს თემში გახსნილი იყო საჯავახოს კოოპერატივის განყოფილება. ეს განყოფილება ისე კარგად ვაჭრობდა, რომ მისი ბრუნვა საჯავახოს კოოპერატივის ბრუნვას უდრიდა. რაღაც მიზეზით ეს განყოფილება დაკეტეს. სოფელს ძალიან ესაჭიროება კოოპერატივი. აქ უსათუოდ უნდა დაარსდეს ან განყოფილება ან დამოუკიდებელი კოოპერატივი.

დ. მახილაძე.

ს. შილდა (თელავის მაზრა).

სამკითხველო იძარცვება. ჩვენი სამკითხველო ერთ დროს მდიდარი იყო წიგნებით. მას დღესაც მოსდის სხვადასხვა ლიტერატურა. მაგრამ ისეთი უთადარიგობა და უწესრიგობაა სამკითხველოში, რომ მას სახელის გარდა არაფერი შერჩენია. ლიტერატურა დაბნეული და დაკარგულია, წიგნების კატალოგი არ მოიპოვება. ამ მდგომარეობას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

ტაშინი.

ტაბახმელა (თბილ. მაზრა).

შეფმა დაგვივიწყა. ვყავდა საუკეთესო შეფი „ხლებოპროდუქტი", რომელიც ნივთიერადაც ბევრს ეხმარებოდა სოფელს და კულტურულადაც. [illegible] კარგა ხანმა გასტანა—შეფი აღარ გვწვევია. გლეხები გაიძახიან—შეფმა დაგვივიწყაო. ვფიქრობთ, რომ „ხლებოპროდუქტი" კარგად დაწყებულ საქმეს, კარგადვე განაგრძობს სოფლისა და ქალაქის დასაახლოვებლად.

ნაცნობი.

რცხილათი, (შორაპნის მაზრა)

ტყეები განადგურდა. ამ სოფელს გარშემო მშვენიერი ტყე ერტყა. უკანასკნელ წლებში გლეხები შეესიენ და ასჩეხეს ხეები. ტყის გაჩეხვა ეხლაც სწარმოებს. სამწუხარო ის არის, რომ ტყის მცველები თვით იღებენ ამგვარ ბოროტებაში ცოცხალ მონაწილეობას.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ასეთი ამბავი მოხდა: სოფელში ხმა დაჰყარეს, რომ მთავრობამ გლეხებს გადასცა ტყეები და რცხილათის ტყეც სხვადასხვა სოფლებზე განაწილდებაო. ღამით სამოცამდე კაცი შეესია ტყეს და გასჩეხეს თითქმის ათი დესეტინა. ტყეს არც ეს უბედურება აკმარეს. მას მცველად დაუნიშნეს ვინმე კოწია უფლისაშვილი, რომელიც მთლად ანადგურებს, რაც კი დარჩენილა დღემდის.

დროზეა საჭირო შველა, თორემ ტყე სავსებით განადგურდება.

გულშემატკივარი.

სუხჩი, (სენაკის მაზრა)

კინო გვეწვია. ამ სოფელში არასდროს არ უჩვენებიათ კინო სურათი. მრავალსოფლობას წარმოდგენაც არ ჰქონდა კინოზე. რამოდენიმე კვირის წინ, ჩვენს სოფელს ესტუმრა მოძრავი კინო და უჩვენა სურათები. ხალხი ბლომად დაესწრო და ძლიერ კმაყოფილი დარჩა. გლეხები მადლობას უძღვნიან მოძრავ კინოს მომწყობთ.

თელავი

ქუჩები ვეღარ გავარჩიეთ. თელავში ქუჩებს ზოგან სამ-სამი სახელი აქვს. არის მაგალითად ქუჩა, რომელსაც ქვია „სიმშვიდის" ქუჩა. ამავე დროს არის „13 მოციქულის" ქუჩა, მას აგრეთვე 26 კომუნარის ქუჩაც ქვია. საჩვენებელი ფირფიტები არის, მაგრამ წარწერები ჩამორეცხილია. ამ ნიადაგზე მრავალ გვარ გაუგებრობას აქვს ადგილი.

მ. ქ.

სოფლის ქრონიკა.

სიღნაღში არსდება საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა.

— **სოფ. ძეგვში** (გორის მაზრა) თემაღმასკომი აგებს სასოფლო სასკოლოს.

— **გორის მაზრაში** ახლო ხანში დაიწყება ლიკკოლებიდან მსმენელ გლეხების გამოშვება.

— **თელავის აღმასკომმა** დაადგინა გაუწიოს დახმარება ფულით თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს დაღუპულ მილიციელების ოჯახებს.

— **სოფ. ალის** საექიმო პუნქტს სათემო აღმასკომმა (გორის მაზრაში) გადასცა ერთი ცხენი.

— **წყალსადენი**. დოესის (გორ. მაზრა) სათემო აღმასკომი შეუდგა წყალსადენის გამოყვანას.

◆ **სენაკის** სამაზრო აღმასკომმა გამოიმუშავა სამშენებლო მუშაობის 8 თვიანი გეგმა.

„კუთხურ" პატრიოტიზმის ჭაობში.

(ნახულევის თემი, ხონის რაიონი).

ნეტარხსენებულ ნიკოლოზის დროს სამინისტრო სკოლები დიდ ოხუნჯობის და გაუგებრობის საგანს წარმოადგენდნენ. ჯერ მარტო სახელი რად ღირდა: „სამინისტრო" სკოლა. ბევრი ასე მსჯელობდა: „ჩემი შვილი ამ სკოლიდან მინისტრი თუ არა, გენერალ-ღუბერნატორათ მაინც გამოვაო".

მაგრამ რევოლიუციას რევოლიუცია მოჰყვა, პირველმა ნიკოლოზი გაიძღვარა ისტორიის უფსკრულში და მეორემ—ნოე ნიკოლოზის ძე. გაჰქრნენ, დაიკარგნენ მათთან ერთად, „ვითა სიზმარი ღამისა", „სამინისტრო" სკოლებიც, მათ გაჰყვა ნახულევის თემის სამინისტრო სკოლაც. დღეს ამ თემში მუშათა და გლეხთა შვიდწლედი სკოლა არსებობს. მაგრამ რაღაა ასეთი არსებობა!

თემი შეპყრობილია განუკურნავ კუთხური პატრიოტიზმით. შვიდი სოფელი შედის ამ თემში: კონტუეთი, ნახულევი, საწულუკიძო, დედალაური, უბლოური, ახალბედისეული და მათხოჯი. ყველა თავისკენ იწევს თემის კულტურულ და ადმინისტრატიულ დაწესებულებებს, ყველას აშკარა მიდრეკილება ეტყობა თემურ დამოუკიდებლობისაკენ. სკოლას დიდხანს ებღაუჭენ, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი დააკლეს. ფიცრა-ფიცრათ თუ დაიტაცებენ, თორემ ისე მისი დაძყობა შეუძლებელია.

სამაგიეროდ თემში წამოიჭრა საკითხი საექიმო პუნქტის დაარსების შესახებ. აფთიაქიც ჰქონდა და ექიმიც ჰყავდა თემს; მაგრამ იმდენი იცინკლავეს სოფლებმა, რომ ერთი დახურეს და მეორე გააქციეს. აფთიაქის გამგე აღმოჩნდა მათხოჯის ორიენტაციის. აფთიაქი კი ნახულევში იყო გამართული. ერთ მოხერხებულ დღეს აფთიაქს მოადგა კარებზე ცალერი ურემი და ის იყო გამგე მედიკამენტების გამოზიდვას შეუდგა, რომ ნახულევლებმა ურემი დააკავეს.

გამგე ამას არ დაუფრთხა. არც ჩვენ, მაგრამ არც თქვენო,—გაიფიქრა მან. დამალა თუ არა, ყველა მედიკამენტებს უკრა თავი ტომარაში, წამოიგდო ზურგზე და გაუდგა გზას ქუთაისისაკენ.

ამის შემდეგ ხელახლა დაისვა საკითხი საექიმო პუნქტის დაარსებაზე. ფეხზე დააყენეს თბილისში მცხოვრები ნახულევის თემის მკვიდრნიც. საქმეში ჩაითრიეს წითელი ჯვარიც და ადგილობრივ ამ სახელწოდების საზოგადოებაც კი დაარსეს. საპაიო გადასახადიც შეკრიბეს, 500 მანეთამდე, მაგრამ ექიმს, ექიმს და პუნქტის დასაარსებელი ადგილი ვერ გამონახეს. ყველა სოფლები იმდენად სტუმართმოყვარენი აღმოჩნდნენ, რომ პუნქტს თავისაკენ ეპატიჟებოდნენ, ამ პატიჟ-პატიჟობაში საქმე დღესაც გაჩერებულია. ციებ-ცხელება კი თავისას შვრება. გაზაფხულმაც მოატანა და ის ყვითლად იფურჩქნება ნახულეველ გლეხების სახეზე.

ბოლოს და ბოლოს საქმე, როგორც საზოგადოთ ხდება, ლოღიკურ დასკვნამდე მივიდა. მათხოჯელები მოითხოვენ ცალკე თემად გამოყოფას. სხვა საშუალება ვერ მოძებნეს კუთხურ პატრიოტიზმის აღმოფხვრელად. რამდენი დაუჯდება ეს სახელმწიფო სალაროს, ან რამდენათ მოუხდება თვით თემის საქმეს, ამას არავინ დაგიდევს.

აღსანიშნავი აქ ისაა, რომ კუთხურ პატრიოტიზმის ჭაობში ყურებამდე ჩაფლულია ნახულევის თითქმის მთელი ინტელიგენცია და, ვაი სირცხვილო, პარტიული ორგანიზაციაც კი. აქედან ადვილი წარმოსადგენია, რა დახელოვნებულად და ოსტატურად სწარმოებს კუთხური კინკლაობა ამ თემში.

საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, საქმეში ჩაერიოს მაზრის ხელისუფლება და ერთხელვე ბოლო მოუღოს ნახულევლ ინტელიგენციის და მათ მიმდევარ გლეხების ერთმანეთის წეწვა-გლეჯას.

დამხვდური.

რეხელების სიდუხჭირე.

(გორის მაზრა).

სოფ. რეხა ქართველი, მიწის მუშა გლეხებით დასახლებული სოფელია, შეიცავს 220 კომლამდე. ირგვლივ ბერძნები და თათრები სახლობენ.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ეს სოფელი მთავრობის დასტურით მიწერილი იქნა გორის მაზრაზე, რადგანაც ყოველი მხრით ამ მაზრას უფრო ემხრობა. წინად ბორჩალოს მაზრის წალკის რაიონში შედიოდა. მოსახლეობას, რა თქმა უნდა, მამაპაპით კუთვნილი მიწა-წყალიც უნდა მიეზომოდა, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ მოხდა: წალკელთა მეცადინეობით, როცა გამმიჯნავი კომისია მოვიდა (ეს მოხდა რეხელების მოულოდნელად), რეხელ გლეხთა საუკეთესო სახნავ-სათესი და სათიბი, კარმიდამოზე მიკრული მიწა-მამული ჭალებითურთ ჩამოაჭრეს და სოფელ ავრანს მიაკუთვნეს, ხოლო რეხელებს მარტო ხრიოკი ადგილი დაუტოვეს.

რეხელებისათვის მიცემული ხრიოკი ადგილი, გარდა იმისა, რომ სახნავ-სათესად არ ვარგა და უბალახოა, მუდმივი სეტყვის ასპარეზიც არის. ამ გარემოებამ რეხელები უსაშინელეს მდგომარეობაში ჩააყენა: ხვნა-თესვას ვერ მისდევენ და ვერც საქონელს უვლიან ადგილობრივ, რადგან თივას ვერ იმარაგებენ,—ამ მიზეზით საქონელს სხვის ადგილებში აბალახებენ და დიდ ქირას იხდიან.

ამით კიდევ მეტ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ გლეხები: გარდა იმისა, რომ სხვა შორეულ ადგილებში საქონლის ბალახობით ყველი, ერბო და რძე უბარაქოდ ეფლანგებათ, საქონლის განავალიც სრულიად ეკარგებათ, ამით კი წივას ამზადებენ (როგორც სათბობ მასალას, რადგან აქ შეშა არ მოიპოვება). წივას უქონლობამ ხალხს სითბო და პურის საცხობი საშუალება მოუსპო.

რეხელები უმთავრესად მეურნეობის ორ დარგს მისდევენ: ხვნა-თესვას და მესაქონლეობას. ეს ორი დარგი კი ხელიდან გამოეცალათ.

გლეხებმა ჯერ კიდევ შარშან აღძრეს შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა გამოსწორებულ იქნეს ეს მდგომარეობა, მაგრამ ჯერ დადებითი პასუხი არ სჩანს.

თუ დროზე არ მიეშველენ მათ, მშრომელ გლეხობას ძლიერ დიდი ზიანი მიადგება, რომლის გამოსწორება შემდეგ ძლიერ გაძნელდება.

რეხელებს უნდა სავსებით დაუბრუნდეს თავიანთი მამაპაპური სახნავ-სათეს-სათიბი ადგილები და ჭალები (დაახლოვებით, 600 დესეტინა). ამ ადგილების გარეშე, როგორც თევზი უწყლოთ, ისე რეხელი გლეხი ვერ გასძლებს.

გარეკახელი მწყემსი.

რა გააკეთა საკრ. ამხანაგობამ.

(სუფსა, გურია).

28 მარტს შესდგა სუფსის საკრედიტო ამხანაგობის წლიური კრება. კრებას დაესწრო სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინსტრუქტორი. მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. არონ დოლიძემ, საიდანაც გამოირკვა, რომ ამხანაგობას ჰყოლია 30 წევრი, რომელიც წლის ბოლოს 296-მდე ასულა; საწევრო გადასახადი არის 1 მ. 50 კ., საპაიო კი 5 მან. ამხანაგობას ჩაუტარებია სიმინდის ოპერაციები და სხვ., საიდანაც წმინდა მოსაგები დარჩენია 1.494 მან. და 22 კ. ამ თანხიდან აუგიათ საკუთარი შენობა, სადაც მოთავსებულია საწყობი და კანტორა; შენობა დაჯდა 822 მან., დანარჩენი თანხა 672 მან. და 22 კაპ. გადარიცხულ იქნა საერთო მოგებაში. კრებამ გამგეობის მუშაობა მოიწონა.

თანახმად წესდებისა, კრებამ 300 მან. განაწილა საჩუქრად გამგეობის წევრებზე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ განაწილება არ იყო სწორი, რასაც კრებამ ვერ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. საქმე შემდეგშია: მართალია გამგეობაში სამი წევრი ითვლებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წევრი ეწეოდა მთავარ მუშაობას. ის აწარმოებდა ანგარიშიანობასაც მისთვის აუცილებლად უნდა მიეცათ მეტი ჯილდო, ვიდრე დანარჩენებისათვის.

მოკეთე.

მეფუტკრეობის კურსები

მეფუტკრეობის კურსები თბილისში

საქართველოს მიწადმოქმ. სახ. კომისარიატი მაისის პირველ რიცხვებში თბილისში მეფუტკრეთა მოსამზადებლად აწყობს მეფუტკრეობის კურსებს.

კურსები 2-ნახ. თვეს გაგრძელდება, თეორიულ პროგრამის გავლის გარდა, მსმენელები იმუშავებენ საფუტკრეში, ისწავლიან სკების და ხელოვნური ფიჭის დამზადებას.

პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყობა საბრეშუმო სადგურის საფუტკრეში და თბილისის გარეთ სახალხო მამულთა ტრესტის საფუტკრეებში.

მეცადინეობა კურსებზე უფასოა, მსმენელებისათვის თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ მიწადმოქმ. სახ. კომისარიატს უფასოდ დაუთმო 25—30 კაცის საცხოვრებელი ბინა. დანარჩენი ხარჯები თვით მსმენელს ეკისრება.

კურს დამთავრებულები სათანადო მოწმობას მიიღებენ.

უკეთუ კურსებზე ადგილებიდან მსმენელების საკმაო რიცხვი არ გამოცხადდება შეიძლება მიღებულ იქნენ თბილისში მცხოვრებნიც.

მეცადინეობა დაიწყება 7 მაისს. მსმენელები უნდა გამოცხადდენ თბილისში 6 მაისს საბრეშუმო სადგურზე (მუშტაიდში) დილის 11 საათზე.

მეფუტკრეობის კურსები ოზურგეთში

ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობის ინიციატივით 4 აპრილიდან ოზურგეთში, ამხანაგობის გამგეობის შენობაში გაიხსნა მეფუტკრეობის მოკლევადიანი კურსები.

მსმენელები არიან ის გლეხები, რომელთაც დარიგებული აქვთ დადანის სისტემის სკები.

ლექტორები კურსებზე მოწვეული არიან აგროპუნქტებიდან, ამასთანავე მოწვეულია ერთი სპეციალისტი მეფუტკრე გურიის აგრონომიულ ტექნიკუმიდან.

ამჟამად ამ კურსებზე დაიარება 25 გლეხი. თეორიული პროგრამა მათ უკვე გავლილი აქვთ და მომავალ კვირიდან დაიწყება პრაქტიკული მუშაობა სოფლებში. გლეხებს უჩვენებენ ფუტკრების გადაყვანას დადანის სკებში, რომლის შემდეგ თითოეული მათგანი ინსტრუქტორის ზედამხედველობით ჩაატარებს ამ საქმეს დამოუკიდებლივ.

◆

მელიორაცია

დიმ-როკითის ჭალების მორწყვა

მიმდინარე წლის მარტის მეორე ნახევარში განზრახული იქნა სამუშაოების წარმოება დიმ-როკითის ჭალების მოსარწყავი არხის გასაყვანად.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, დიმ-როკითის არხის გასაყვანი მუშაობა დაიწყო გასაბჭოების პირველ წელსვე. ამჟამად თითქმის დამთავრებულია მიწის სამუშაოები. არხი გაჭრილია მთელ სიგრძეზე. მთავარი მაგისტრალის სიგრძე უდრის 17 ვერსს. ამ არხით მორწყული იქნება 700 დესეტინამდე მიწა, რომელიც ნიადაგის ნოყიერებით და აგრეთვე კლიმატიური პირობებით საუკეთესო საყანე ადგილებს წარმოადგენს სხვადასხვა ძვირფასი კულტურისათვის.

დიმ-როკითის მიდამოების მორწყვა შესამჩნევათ შეამცირებს მიწის სივიწროვეს ამ რაიონში.

სამელიორაციო მუშაობა აჭარისტანში

აჭარისტანის საგეგმო ორგანოების მიერ დამუშავებული იქნა სამელიორაციო მშენებლობის დაწვრილებითი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვით, ამ უახლოესი 5 წლის სამელიორაციო მშენებლობისათვის აჭარისტანს სჭირდება 900 ათასი მანეთი. ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობად. სამუშაოების 90 პროცენტი უკვე შესრულებულია და მოთავდება მაისის პირველ რიცხვებისათვის.

აპრილის დამდეგს განახლებულ იქნა აგრეთვე მუშაობა ქალაქ ბათომის განაპირა ადგილებში ჭაობების დასაშრობად მოწყობილი კოლექტორების გასაწმენდათ. ამ საქმისათვის გადადებულია 34 ათასი მანეთი. სამუშაოდ მოწვეულნი არიან შრომის ბირჟაში აღრიცხული უმუშევრები. მუშათა რიცხვი ამჟამად 60 კაცს აღწევს.

◆

გურიის გლეხობის ბიუჯეტი

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის სტატბიურომ გამოიკვლია გურიის გლეხობის ბიუჯეტი.

ამ გამოკვლევის მიხედვით მიწის ნიადაგი გურიაში გაყოფილია 4 კატეგორიათ: 1-ში შედიან ურწყავი მიწები; მე-2-ში—მიწები, რომლებიც იმყოფებიან ბორცვებზე, მე-3-ში—ფერდობზე მდებარე და მე-4-ში—მთის კალთებზე მდებარე მიწები. ნაკვეთის მდებარეობის მიხედვით მიწის ხვნა სწარმოებს ან კავით ან და თოხნით.

სიმინდის მოსავალი ყველგან ერთნაირი არ არის. რაც უფრო მაღლა იმყოფება მიწის ნაკვეთი, მით უფრო ნაკლებია მოსავალი.

პირველი კატეგორიის მიწის ერთი დესეტინა გლეხს აძლევს: 110 ფუთ სიმინდს ღირებულს 132 მან. (1 მ. 20 კ. ფუთი), 500 კონა ჩალას ღირებულს 10 მან. (2 კაპ. კონა). ასე რომ მთელი შემოსავალი ერთ დესეტინა პირველ კატეგორიის მიწიდან უდრის 142 მ.

ამ კატეგორიის 1 დესეტინა მიწის დამუშავებაზე გლეხს ეხარჯება 66 მან. 30 კაპ. ამგვარათ გლეხის წმინდა შემოსავალი დესეტინაზე (პირველი კატეგორიის მიწა) უკეთეს შემთხვევაში 75 მ. 70 კ. უდრის.

მეორე კატეგორიის მიწის 1 დესეტინიდან გლეხს შემოუდის 93 მანეთი, ეხარჯება მის დასამუშავებლად 61 მან. 85 კაპ. პირობითი მოგება უდრის 31 მან. 15 კაპ.

მე-3 კატეგორიის 1 დესიატ. მიწიდან გლეხს რჩება 18 მან. 60 კაპ.

მე-4 კატეგორიიდან კი—14 მან. 15 კაპ.

ბაღის კულტურებიდან გურულ გლეხს ვენახი „იზაბელა" 1 დესიატინიდან აძლევს შემოსავალს (პირობითი გამონაგარიშებით) 116 მან. 75 კაპ.

ნამყენი ვაზი კი—125 მან. 50 კაპიკს. თხილის მოსავალი (1 დესიატინაზე) გლეხს აძლევს—90 მან., ჩაის კულტურა ზარალს იძლევა დესიატინაზე 2 მან. 50 კაპ., თამბაქოს კულტურა აძლევს გლეხს—236 მან. 50 კაპ. დესიატინაზე.

ამგვარად გურული გლეხისთვის ყველაზე ხელსაყრელ და მომგებიანად ითვლება თამბაქოს კულტურა.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემა გლეხებზე

გასული წლის 10 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს ცაკის დადგენილება, რომლის ძალით ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები გადაცემული უნდა ყოფილიყო გლეხებზე. ამ დადგენილების ძალით ტყეების გამოყოფა-გადაცემა უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის.

მაგრამ აღნიშნული დადგენილების შესრულება დაწყებულ ვადაში ვერ მოხერხდა. ტყეების გამოყოფა-გადაცემას ხელი შეუშალა მთელმა რიგმა დაბრკოლებებმა: ნაადრევმა ზამთარმა და დიდმა თოვლმა, უამინდობამ, ჩვენი ტყეების მთაგორიანმა პირობებმა; ამიტომ დაისვა საკითხი კიდევ ვადის გაგრძელების შესახებ, რაც საქართველოს ცაკმა შესაწყნარებლად სცნო და გააგრძელა ვადა ამ ტყეების გამოყოფა-გადაცემის დასამთავრებლად მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე; აღნიშნული ვადისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემა სავსებით დამთავრებული იქნება.

ტყეების გადასაცემად ადგილებზე შემდგარია სათან. კომისიები; დღემდე უკვე გამოიყო და გადაეცა გლეხობას 192.199 დესეტინა ტყე. ამ რიცხვიდან ყოფილი მემამულეების ტყეები—51.668 დესეტინა, ყოფ. საბანკო ტყეები—60 დეს., სამონასტრო ტყეები—3.306 დეს. და სახაზინო ტყეები—33.367 დესეტინა.

საშუალოდ თვითეულ მაზრაში გადაცემულია 9.500 დესეტინამდე ტყე; ყველაზე მეტი (24.889 დეს.) გადაცემულია შორაპნის მაზრაში და ყველაზე ნაკლები კი ოზურგეთის მაზრაში—1.750 დესეტინა. ტყეების გამოყოფა-გადაცემა დამთავრებულია 10 სატყეოში.

ტყეების გამოყოფა-გადაცემა სუსტად მიმდინარეობს სვანეთში, რასაც ხელს უშლის ამ კუთხის ბუნებრივი პირობები: ხანგრძლივი ზამთარი, უგზოობა და სხვ.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ნამდვილი შენახვის და მათი რაციონალური გამოყენების გარანტია არის მათი მოწყობა. ამიტომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს დაკვრითი წესით ჩაატაროს სათანადო მუშაობა, რომელიც დამთავრებული უნდა იქნეს 1927 წლის 1-ლ იანვრამდე.

◆

სოციალური დაზღვევა

დაზღვეულთა დახმარება

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ გამოიკვლია დაზღვეულთა დახმარების საქმე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

გამოირკვა, რომ დაზღვეულთა დახმარების საქმე ავათმყოფთა საავადმყოფოებში მოთავსების და მკურნალობის მხრივ სუსტად არის დაყენებული. ამ გარემოების მიზეზი არის საწოლების მცირე რაოდენობა საავადმყოფოებში. საერთოდ საავადმყოფოების მეტი ნაწილი ვერ არის სათანადოთ მოწყობილი და საჭირო იარაღებით და ინსტრუმენტებით აღჭურვილი. საქართველოს სამაზრო საავადმყოფოებს შორის კეთილმოწყობით და საქმის წესიერი დაყენებით პირველი ადგილი უჭირავს ჭიათურის საავადმყოფოს, რომელიც მშვენივრად არის მოწყობილი და ამასთან ერთად იქ მოიპოვება აუცილებელი ინვენტარი და ხელსაწყოები.

უკეთესი მდგომარეობაა ყველა რესპუბლიკებში დაზღვეულთა საამბულატორიო დახმარების დარგში. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ყველა მაზრებში წინა წლებთან შედარებით გაფართოებულია და ამ ჟამადაც ფართოვდება საამბულატორიო დახმარება: ამბულატორიების რიცხვი თვიდან თვეემდე იზრდება.

დიდი ნაბიჯია გადადგმული აგრეთვე პროფილაქტიურ ღონისძიებათა მიღების დარგში. საქართველოსა და აზერბეიჯანში გახსნილია მთელი რიგი ახალი დისპანსერებისა, რომელნიც თან და თან აფართოებენ თავიანთ მუშაობას.

◆

სოც. უზრუნველყოფა

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა და თბ. სამაზრო სოც.-უზრ. განყოფილებებმა უკვე დასრულეს რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფოს, რევოლიუციის და საზოგადოების წინაშე დამსახურებულ პირთა აღრიცხვა. აღრიცხვა შეეხო აგრეთვე ომისა და შრომის დასახიჩრებულებს და წითელარმიელთა ოჯახებს, რომელთა საერთო რიცხვი მთელ რესპუბლიკაში უდრის 7.566-ს.

როგორც ცენტრის, აგრეთვე სამაზრო სოც.-უზრ. ორგანოები აღრიცხვაზე აყვანილებს უწევენ ყოველი სახის დახმარებას, როგორც პენსიების და ერთდროული დახმარების გაცემის სახით, აგრეთვე საექიმო, სამგზავრო, შრომითი და სხვა ხასიათის დახმარებას.

ამ საერთო რიცხვიდან 250 კაცს ეძლევა გაძლიერებული პენსია. მთელი წარსული წლის განმავლობაში გაცემულ პენსიების საერთო ჯამი უდრის 40.000 მანეთს. ომისა და შრომის ინვალიდებისათვის და აგრეთვე ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის წარს. საბიუჯეტო წლის განმავლობაში დახმარებათ მიეცათ 109.000 მანეთი.

გარდა ამისა სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმყოფებიან აგრეთვე რესპუბლიკის საინვალიდო სახლებში მოთავსებულნი. ამ სახლებში სულ მოთავსებულია 249 დასახიჩრებული, რაც სახელმწიფოს უჯდება 80 ათასი მანეთი წლიურათ. სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატმა გარდა ამისა გახსნა დასახიჩრებულ მშრომელ ქალებისათვის ცალკე სახლი.

ბრძოლა შემთხვევებთან

ამ ბოლო დროს საქართველოში გახშირდა უბედური შემთხვევები; მაგალითად, ნახევარი წლის განმავლობაში ტყიბულში მოხდა 180 უბედური შემთხვევა, ჭიათურაში კი ამავე ხნის განმავლობაში—95.

ხშირად ეს უბედური შემთხვევები გამოიხატება მცირედენ დაშავებაში და დაჭრაში, მაგალითად ტყიბულში და ჭიათურაში.

ზაჰესში უკანასკნელ დროს მიწის მუშაობის შემცირების გამო შემცირდა აგრეთვე უბედური შემთხვევებიც, თუმცა ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვს, მძიმე ხასიათისაა; არის სიკვდილის შემთხვევებიც.

უმეტესად უბედურ შემთხვევებში დამნაშავეა ადმინისტრაცია, რომელიც არ ასრულებს შრომის დაცვის ტეხნიკურ პირობებს.

უბედურ შემთხვევებს ადგილი აქვს თბილისშიც, განსაკუთრებით ტრამვაიში და არსენალში, სადაც არ არის მიღებული თავდაცვითი ზომები; დაზგებთან არ არის მოწყობილი მოაჯირები და სხვა; ამას გარდა ხშირია უბედური შემთხვევები ტრამვაის ხაზზეც. ძველი ტიპის რონოდები მეტად სახიფათოა კონდუქტორებისათვის, რომლებსაც უხდებათ დგომა საფეხურებზე; ამ ნიადაგზე ადგილი აქვს დაჯახებას და გადმოვარდნას.

შრომის კომისარიატის ტეხნიკური ინსპექციის ზეგავლენით ხდება ძველი რონოდების გადაკეთება ახალი ტიპის რონოდებად.

საერთოდ ტეხნიკური ინსპექცია იღებს ყოველგვარ ზომებს უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად იმუშავებს სხვადასხვა ღონისძიებებს და პასუხისგებაში აძლევს დამნაშავეებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქმეების გარჩევა სასამართლოში ხშირად გვიანდება.

მუშათა ცხოვრება

ერთი წვრილმანის შესახებ

მუშათა კოოპერატივს დიდი დამსახურება მიუძღვის მშრომელი მასების წინაშე. მაგრამ, მოგეხსენებათ, უნაკლო ამქვეყნად არავინ და არაფერი არ არის. ცხადია, არც მუშკოოპი წარმოადგენს ამ შემთხვევაში გამონაკლისს.

ჩვენ, ასე ვთქვათ, ერთ წვრილმან გარემოებაზე გვინდა აქ შეჩერება, რომელიც, შეიძლება, ბევრისათვის წვრილმანზე ცოტა მეტიც იყვეს. მოგახსენებთ მუშკოოპის რძით ვაჭრობაზე.

ქალაქი მით განსხვავდება სოფლიდან, რომ აქ მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებს, მთელი 24 საათის განმავლობაში. არის წარმოება - დაწესებულებანი, სადაც მუშაობა ღამის საათებშიაც მიმდინარეობს და მუშა-მოსამსახურეთ დილის 4—5 საათზე უხდებათ სახლში დაბრუნება. გარდა ამისა სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო ქალაქის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად დაგვიანებით იძინებს. კარგი ბიჭი ხარ და მოისვენე შენს საკუთარ ბინაზე ხანგრძლივ შრომის შემდეგ დილის 8—9 საათამდე.

შემოჰკრავს თუ არა მზის სინათლე, ქუჩებში მეწვრიმალეების ჩახრენწილი ხმებით გულშემზარავი კონცერტი იწყება. მოღლილი მოქალაქის ყური ამ ხმაურობას კიდევ უძლებს, მაგრამ საქმე მუშკოოპის რძის დამტარებელია, დილის შვიდი საათიდან და ზოგჯერ უფრო ადრე, ყველა უბნებში საშინელი ბუკი და ნაღარა ისმის. ამ ხმაურობას თან აჰყვება ხოლმე გერმანელთა კოოპერატივის მერძევეების ზარის რეკა და ქუჩებში ისეთი რახა-რუხია, რომ ყოვლად შეუძლებელია მოსვენება.

რა მოხდა ამის ფასი? მოსკოვში და სხვა ქალაქებშიაც აწარმოებენ კოოპერატივები რძით ვაჭრობას, მაგრამ იქ ასეთ ორომტრიალს ქუჩებში ადგილი არა აქვს. რას უნდა მიეწეროს ეს? შეიძლება მუშკოოპისათვის უფრო მოსახერხებელია რძით ვაჭრობის ამგვარი წესი, მაგრამ რა დააშავა მოქალაქეებმა, რომელთაც მოსვენების [illegible] ამით?

მაგალითისათვის ავიღებ ბელინსკის ქუჩას. აქ, „კირპიჩნი" გადასახვევთან, დილა - გამთენიის ხანს განუწყვეტელი ბუკ - ნაღარას ცემაა. შეწუხებული მოქალაქეები აღშფოთებით გამორბიან ხოლმე აივანზე, მაგრამ ვის რა უნდა უთხრა?

მუშკოოპმა უნდა გამოძებნოს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. დიდი მადლობა მას იაფი და საუკეთესო ხარისხის რძისათვის და დიდი თხოვნა მის გამგეობას შეიბრალოს ღამისთევით დაღლილ - დაქანცული მუშა-მოსამსახურენი და არ დაუფრთხოს მათ ნორმალური ძილი და მოსვენება.

საერთოდ კი, ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა აღმასკომი იქონიებდეს მსჯელობას განსაზღვრულ საათებისათვის მაინც ქუჩაში სიწყნარის და სიმშვიდის დამყარების შესახებ. მეწვრილმანე, დამტარებელ ვაჭრებზე არა ერთი საყვედური იყო ამ მხრივ. ეს აუცილებელია კულტურულ ცხოვრების ელემენტარულ პირობების შესაქმნელად.

გლანი.

ნუ გვართმევთ სასურსათო ბილეთებს

(„უცდ." ივანოვის და „დორპროფსოჟის" პრეზიდიუმის საყურადღებოდ)

10 აპრილს გამოქვეყნდა ცირკულიარული განკარგულება, სადაც ნათქვამია: „ცენტრის განკარგულებით, რომელიც შეთანხმებულია რკინის გზის ცეკასთან, პირველ აპრილიდან სასურსათო ბილეთების გაცემის წესი შეცვლილიაო".

თუ დღემდე მუშა-მოსამსახურეებს ჰქონდა საშუალება ესარგებლათ სასურსათო ბილეთებით 300 ვერ. მანძილზე, პირველ აპრილიდან შეუმცირეს მანძილის სიდიდე და მათ მხოლოდ შეუძლიათ ისარგებლონ 130 კილომეტრის მანძილზე.

ასეთი განკარგულება, ჩვენ თბილისის მუშა-მოსამსახურეთათვის მიზანშეწონილია? სრულებითაც არა, ვინაიდან სურსათის შესაძენად მიემგზავრებიან რკინისგზელები სამტრედიაში. ახალ სენაკში, თელავში და სხვა ასე დაშორებულ სადგურებში რომლების მანძილის სივრცე ბევრად აღემატება 130 კილომეტრს. ახალი განკარგულებით—კი სურსათის შეძენა ფაქტიურად აღკვეთილია, რადგან ახლობელ სადგურებში—როგორიცაა ხაშური, სურამი, გურჯაანი, კოჯლიარი და კალაგერი (სომხეთის გზა) სურსათი არც კი მოიპოვება. აღნიშნულ სადგურებიდან თვით თბილისში ჩამოდიან იქაური მუშა-მოსამსახურეები და ჩვენ, თბილისელებმა, რაღა უნდა შევიძინოთ ამისთანა გაყვლეფილ სადგურებში.

შესაძლებელია რუსეთის სადგურებთან მდებარეობდეს ახლო მახლო სოფლები და მოქონდეთ გლეხებს თავიანთი ჭირნახული, მაგრამ ჩვენი თბილისის მუშა-მოსამსახურეები იძულებული არიან სურსათის შესაძენად იარონ სამტრედიაში. ახალ სენაკში, განჯაში და სხვა ამნაირ შორეულ სადგურებში.

ამისათვის ცენტრის ახალი განკარგულება არ არის მიზან-შეწონილი თბილისის მუშა-მოსამსახურეებისათვის და თუ ესენი გაიძახიან: „ნუ გვართმევთ სასურსათო ბილეთს" სრულებით კანონიერია მათი ჩივილი.

საჭიროა ამას გაუწიონ ანგარიში სადაც ჯერ არს.

მუშკორი ძია-ლევანი.

რკინისგზელებში

როგორც ვიცით, რკ.-გზის პროფკავშირის ცეკას გენერალურ- კოლექტიურ ხელშეკრულების მე-7-დე მუხლში გარკვევით არის ნახსენები რკ.-გზის მუშა-მოსამსახურეთა მიღებ-დათხოვნის წესი. ამ მუხლის თანახმად ადმინისტრაცია, როდესაც მას ესაჭიროება მუშა-ხელი, ვალდებულია სამი დღით ადრე შეატყობინოს კავშირს ამა თუ იმ მუშა-მოსამსახურეების მიღებაზე.

თანახმად ზემოხსენებულ ხელშეკრულებისა სამუშაოზე პირველ რიგში მიიღებიან კავშირის წევრები. აღნიშნული მუხლი გასულ წლებში მთლიანად ტარდებოდა ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ ხანებში კი ის მთლიანად ირღვევა ადმინისტრაციის მიერ. ადმინისტრაცია სამუშაოზე ღებულობს არა კავშირის წევრებს მაშინ, როდესაც საშუამავლო ბიუროში გვყავს უამრავი უმუშევრები, კავშირის წევრები, მათში ბევრი სპეციალისტებიც არიან, რომ ადმინისტრაცია სამუშაოზე ღებულობს არა კავშირის წევრებს იმას ადასტურებს: თბილისის დეპოს, მთავარ სახელოსნოს, სად. თბილისის მოძრაობის დარგის და რკ.-გზის სამმართველოს ადგილკომების ოქმები, რომლებშიაც აღნიშნული ზემოხსენებული მუხლის დარღვევა.

ადმინისტრაციის ასეთი საქციელი აფერხებს პროფკავშირის მუშაობას და აგრეთვე ზიანს აყენებს წარმოებასაც. ადგილკომებს ამ საქმეზე გამოაქვთ შესაფერი დადგენილებები და შუამდგომლობენ კავშირის უმაღლეს ორგანოების წინაშე ზომების მისაღებად, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ. ადმინისტრაცია კვლავ განაგრძობს თავის მოქმედებას.

საჭიროა აღნიშნული მუხლის დამრღვევთა საწინააღმდეგოთ არა დადგენილებების გამოტანა, არამედ მათი პასუხისგებაში მიცემა.

მუშკორი კოტე ქვენობნელი.

მბეჭდავ მუშათა ექსკურსია „ზაჰესში"

აპრილის 18-ს მბეჭდავთა კავშირმა მოაწყო თავის წევრთა ექსკურსია „ზაჰესში". დილის რვა საათი იქნებოდა, რომ თბილისის სადგურზე თავი მოიყარეს მუშებმა დაახლოვებით ორასამდე ქალმა და კაცმა. იყო აგრეთვე მბეჭდავ მუშებისაგან შემდგარი ორკესტრი.

ექსკურსიას ხელი შეუწყო ამინდმაც. ამ დღეს მშვენიერი მზიანი დღე იყო და ყველას სიხალისე-მხიარულება ეტყობოდა სახეზე

— კიდევ კარგი, კაცო! რომ ჩვენმა ადგილკომმა ნისიათ მოგვიწყო ზაჰესში წასვლა, თორემ გუშინ ჩვენმა სტამბის გამგემ თითო მანეთი დაგვირიგა ჯამაგირის ანგარიშში—წაილაპარაკა ერთმა ასოთ-ამწყობმა.

— მადლობა უნდა გადაუხადო, რომ მეტი არ მოგცა, თორემ შენ დღეს არ წამოხვიდოდი „ზაჰესში" უთხრა მეორემ სიცილით.

— მართალია! მართალი—წარმოსთქვა პაველმ და მუჭით ზემიჭვრიტა გაუწოდა ამხანაგებს.

უკვე 9 საათი შესრულდა, რომ მატარებელიც დაიძრა ზაჰესისაკენ. აგერ მივედით „ზაჰესის" უმთავრეს სადგურთან, სადაც ახალი ხიდია აგებული. შეჩერდა მატარებელი. გადმოვიდნენ მუშები და დიდის ინტერესით დაუწყეს თვალიერება აქაურობას.

მუშებმა დაათვალიერეს უმთავრესი სადგური, სადაც ტურბინებია არის მოთავსებული. და ენერგიის განმანაწილებელი სადგური. მოისმინეს განმარტებანი ელსადგურის მნიშვნელობაზე და შემდეგ გავემგზავრეთ არხის სათავის დასათვალიერებლად.

ჯერ, სანამ სათავეს დავათვალიერებდით, ვინახულეთ კლუბი-თეატრი, მოვისმინეთ ლექცია „ზაჰესის" მნიშვნელობაზე, ფოტოგრაფმა გადაიღო სურათები და გავემგზავრეთ სათავის დასათვალიერებლად. ხუთი საათი იქნებოდა, რომ სათავე დავთვალიერეთ, შემდეგ თავი მოვიყარეთ ბაქანზე და 6 საათზე თბილისში დავბრუნდით.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ექსკურსია ვერ იყო რიგიანად მოწყობილი და დიდი უორგანიზაციობა ეტყობოდა მას. მუშები მაინც ნასიამოვნები დარჩნენ ამ დიდი საქმის ნახვა-გაცნობით, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ და გამარჯვებით ათავებს კიდეც.

იმედია, მბეჭდავთა კავშირი შემდეგში კიდევ უფრო ორგანიზაციულად მოაწყობს სხვადასხვა ადგილების დათვალიერებას და ამით ხელს შეუწყობს თავის კავშირის მუშების გათვითცნობიერებას.

მუშა ა—ცი.

სამაგალითო ექიმი

მე-9-რე რაიონის ბავშთა შინაგან ავადმყოფობის ექიმი ამხ. კასუმოვი კეთილსინდისიერი და ენერგიული შრომით, რაც გამოიხატება ავადმყ. ბავშვთა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაში, თავის დროზე ავადმყოფებთან მისვლაში, და სხვ. დიდი მადლობის ღირსია. საჭიროა მხოლოდ შეატყობინოთ ამხ. კასუმოვს, რომელიმე ბავშვის ავადმყოფობა და ის ყოველ დროს, განურჩევლად დღის და ღამისა, მზადაა ინახულოს ავადმყოფი. განსაკუთრებულ შემთხვევაში მისთვის სულ ერთია პაციენტს აქვს ხელზე აღებული ორდერი თუ არა მას ის არ დაეძებს და საჭიროებისდაგვარად ნახულობს ავადმყოფს და აძლევს რჩევა-დახმარებას.

ექიმი კასუმოვი ღირსია დიდი პატივის ცემისა და მუშური მადლობის.

ი. ალ.—ლი.

ეს ნაკლიც უნდა გამოვასწოროთ

ჩოხატაურის რაი-დაზღვეულთა სამეული აერთიანებს 110-მდე დაზღვეულს, რომლებიც საექიმო დახმარებით სარგებლობენ ოზურგეთის დამზღვევ სალაროდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ განსაკუთრებული დაბრკოლება არა (ადგილობრივ აფთიაქში წამლის უქონლობა და სხვა) დაზღვეულნი წესიერად სარგებლობენ, ამ მხრივ.

მაგრამ აქაც არის ერთი დიდი დაბრკოლება. ეს არის კბილის ექიმის უყოლობა, რომლის მოთხოვნილება ერთობ დიდია და ურომლისოდ დაზღვეულნი დიდ გაჭირვებას განიცდიან.

ვფიქრობ რომ ოზურგეთის დამზღვევი სალარო ანგარიშს გაუწევს ამ ერთობ სერიოზულ საკითხს და ეცდება დროულად მის მოგვარებას და უზრუნველყოფს დაზღვეულთა ინტერესებს.

დაზღვეული.

მეტი ყურადღება მუშათა შენიშვნებს

მუშა კორესპონდენტების მიერ სისტემატიურად იწერება საქმიანი შენიშვნები ამა თუ იმ მოუგვარებელ საკითხის შესახებ; იწერება ყოველგვარ ბოროტ-მოქმედების და ბიუროკრატიზმ-სიმულიაციის წინააღმდეგ; აგრეთვე ხულიგნობისა და აყალ-მაყალის შესახებ. ზემოაღნიშნული საკითხებს შორის ყურადღების მიქცევა ეძლევა მილიციას და უნდა ითქვას, რომ ქალაქის ადმინისტ. განყოფილება—ჯეროვან ყურადღებას აქცევს ასეთ შენიშვნებს და რამოდენიმე თვის შემდეგ შენიშვნის გამომქვეყნებელი ვკითხულობთ პასუხს: „ეს კითხვა მოგვარებულია", „სახლის პატრონს ჭკუა ასწავლეს", „ხულიგნები აღაგმულია" და სხვა.

მაგრამ არის საკითხები. უფრო საქმიანი და სასარგებლო თავის შინაარსის მიხედვით: წარმოება-დაწესებულებების უყოფო მდგომარეობის ან სიმულიაციის წინააღმდეგ და სხვა, რომელსაც ხშირად ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს და ზოგიერთ შემთხვევაში, მაზინჯი ადმინისტრატორები დაინტერესებულიც არიან საკითხის მიჩქმალვაში და მიფუჩეჩებაში; მაშინ გამოდის რომ შენიშვნა დაიწერა ყველა მკითხველის საყურადღებოდ და არა იმ წარმოება დაწესებულების, წყლულის და ტკივილების მოსამუშებლად, რომელიც შექმნილია ამა თუ იმ ობიექტიურ ან სუბიექტიურ პირობების გამო; რომელსაც აუცილებლად გამოსწორება ესაჭიროება.

აქედან ჩვენი პრაქტიკული წინადადებაა: საჭიროა ყველა ფაბრიკა-ქარხნებისა და ადგილკომებთან დაარსდეს სპეციალური კომისიები, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ყველა შენიშვნის თავის დარგის (წარმოების) გარშემო. იკვლევს საფუძვლიანად შენიშვნების სინამდვილეს და სათანადო მიმართულებას აძლევს საქმეს. ასეთი კომისია არსებობს თბილისის ტყავის კავშირთან და გამოცდილება ამტკიცებს, რომ ასეთ კომისიებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია წარმოება-დაწესებულებებისათვის, საგრძნობლად აღიდებს მუშკორების პასუხისმგებლობას შენიშვნების წერაში. კომისია თვალყურს ადევნებს კედლის გაზეთსაც.

მუშკორი პ. ჩხიკვაძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ესეც თქვენი „იურისკონსულტი"**. „ზაჰესი"-ს სამუშაოებზე მემანქანის თანამდებობაზე მუშაობდა ამხ. ლუარსაბ სამანაძე და ხელფასს კი იღებდა—როგორც მზეთავი მცირეს. მუშა-მემანქანემ მოითხოვა მემანქანის ხელფასი. ადმინისტრაციამ მისი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა. საკონფლიქტო კომისიაში შეთანხმება არ მოხდა და საჩივარი გადაეცა შრომის სახკომატის საკონფლიქტო განყოფილებას, რომელმაც დანიშნა სხდომა რამოდენიმე ჯერ. პირველ სხდომაზე გამოცხადდა „ზაჰესკომის" იურისკონსულტი და საქმის გარჩევა გადაადებინა. სხვა სხდომებზე იგი არ გამოცხადებულა. მუშის საჩივარი გაგრძელდა ორი თვის განმავლობაში და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება.

ვინ ასწავლის ჭკუას ამ ბიუროკრატს.

მუშკორი გონიერი

— **ამ „მუშაკს" წესრიგი ასწავლეთ**. საბჭოთა ქ. სახლი № 59-ში ცხოვრობს ვინმე ბესიაძე, რომელიც ეწევა გარყვნილებას უზნეო ქალებთან, თუმცა ცოლ-შვილიანია. ცოლი ძალზე შეწუხებული ჰყავს. 17 აპრილს საბრალო ქალი ძლივსღა გადავარჩინეთ სიკვდილს. იგი რევოლვერით დასდევდა მოსაკლავად სოფლიდან ჩამოსულ თავის მეუღლეს. საერთოდ ეს ვაჟბატონი იკლებს იქაურობას და მეზობლებს ძალზე აწუხებს.

მილიციავ, ამ თავხედს ჭკუა ასწავლე.

მეზობელი.

— **კავშირის წევრებმა რაღა დააშავეს**. შავი ზღვის რკინიგზის მომუშავეთ ჰყავს თავისი ადგილკომი რომელიც მტკიცედ უნდა იცავდეს კავშირის წევრთა ინტერესებს, მაგრამ სამწუხაროდ ეს ეგრე როდი ხდება, სამუშაოებზე იღებენ სისტემატიურად არა კავშირის წევრებს მაშინ, როდესაც კავშირის უმუშევარი წევრები ძალზე ბევრი გვყავს. ადგილკომი კი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ადგილკომო, რაღ დაგავიწყდა შენი პროფმოვალეობა!?

მუშკორი კარგი.

— **ავადმყოფობის დროის დახმარება გაუნახევრეს**. შემოქმედის თემში (ოზურგეთის მაზრაში) სოფლის მასწავლებლად ირიცხებოდა ამხ. გერასიმე თავაძე. ამხ. თავაძე, როგორც მძიმე ფორმით ჭლექით ავადმყოფი, როგორც იყო გაგზავნა ადგილობრივმა დამზღვევმა სალარომ სოხუმის სანატორიუმში. მაგრამ ვაი, იმისთანა გაგზავნას! მას ისედაც მცირე ხელფასი ჰქონდა თვიურად (30 მანეთი) და ორი თვის ავადმყოფობის გამო მიცემულ შვებულებაში მას უნდა მიეღებოდა 60 მანეთი, მას კი მისცეს მხოლოდ 30 მანეთი.

რაშია საქმე დამზღვევ სალარო?!

მუშკორი გონიერი.

მუშათა ქრონიკა

— **შესაკეთებელი ვაგონები**. სადგურ სამტრედიის საწარმოო თათბირმა მიმართა სამასალო დარგს შეიძინოს სამასალო საწყობებისათვის ქლიბები და ხერხები.

— **შეკეთება**. სადგ. სამტრედიის საწარმოო თათბირმა მიმართა ადმინისტრაციას შეაკეთოს ნახშირის საწყობი.

პასუხად „რვა კაცს".

(იხ. წერ. „კომუნისტი"-ს 1 ნოემ. ნომერში)

გაზეთ „კომუნისტ"-ის პირველ ნოემბრის ნომერში მოთავსებული იყო პატარა წერილი. „მოსთხოვეთ პასუხი ცბიერ ადამიანს", —სათაურით. ხსენებული წერილის შინაარსი არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ ბეროზაშვილის მოწაფების მშობლები, კატეგორიულად ვაცხადებთ ამას და დიდ მადლობას ვუძღვნით მასწავლებელ ბეროზაშვილს, რომელმაც უმნიშვნელო ქირაში მოამზადა ჩვენი შვილები, რის გამო ყველამ თამამად დაიჭირა გამოცდები სხვადასხვა სასწავლებელში.

ბეროზაშვილი, პირიქით კეთილსინდისიერი მუშაკია და ზოგიერთ ჩვენ შვილებს ასეთ ცილის წამებისათვის დიდ საყვედურს ვუცხადებთ.

ხელს აწერს 17 კაცი.

კოოპერაცია

საკრედიტო კოოპერაცია

კონკურსი საუკეთესო სას.-სამ. საკრედიტო კოოპერატივზე საქართველოში

საქართველოს სას.-სამ. საკრედიტო სისტემაში, რომელსაც სათავეში უდგას საქ. სას.-სამ. ბანკი, ამჟამად ირიცხება 121 საკრედიტო ამხ-ბა.

გასულმა პერიოდმა გამოააშკარავა საკრედიტო ამხ-ბათა მუშაობის მიღწევები და დეფექტები, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვედა საკრედიტო ქსელს ერთ-ერთი პირველ-ადგილთაგანი უჭირავს საკავშირო სას.-სამ. საკრედიტო სისტემაში თავისი განვითარების სწრაფი ტემპით, გარკვეულ მუშაობით, აქტივის და პასივის ანგარიშების სწორი შეფარდებით და სხვა მხრივ; მაგრამ ეს ჯერ არ გვაძლევს უფლებას ამითი დავკმაყოფილდეთ და შევჩერდეთ. საჭიროა ძალების მაქსიმალური დაჭიმვა, რომ განვაგრძოთ ქვედა ქსელის ხარისხის გაუმჯობესება არსებულ რთულ ფინანსიურ კონიუნქტურის პირობებში. ერთ-ერთ ამგვარ ზომათაგანს შეადგენს კონკურსის ჩატარება საუკეთესო საკრედიტო კოოპერატივზე. ამ კონკურსის ჩატარებას კისრულობს საქართველოს სას.-სამ. ბანკი. საკონკურსო კომისიაში შედიან: თავმჯდომარეთ—ბანკის გამგეობის წევრი და წევრებათ—წარმოკავშირის, მიწათმოქმედების კომისარიატის და ბანკის ინსპექციის წარმომადგენელნი.

კონკურსის ჩატარების კამპანია დაიწყო 1-ლ მარტს და დამთავრდება 15 ივნისს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებათ ჩაეწერა 23 ამხ-ბა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. მასალები მათი მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ წარდგენილი იქნება კომისიაში არა უგვიანეს 15 მაისისა.

ჯილდოთ საქ. სას.-სამ. ბანკის მიერ დაწესებულია სამი პრემია:

პირველი პრემია—უპროცენტო სესხი—3.000 მ.—5 წ. ვადით, მეორე პრემია—უპროცენტო სესხი—2.000 მ. 5 წ. ვადით, მესამე პრემია—უპროცენტო სესხი—1.000 მ. 5 წ. ვადით.

აღნიშნული სესხები ჩაერიცხებიან დაჯილდოებულ ამხ-ებს ძირითად თანხებში დამატებით ყველა გაცემულ სესხებისა.

ამას გარდა კონკურსში მონაწილე სამაგალითო ამხ-ბებს აგრეთვე სათანადო ყურადღება მიექცევა ჩვეულებრივ წესით კრედიტის გაცემის დროს.

დაჯილდოებულ ამხ-ბათა გამგეობებს მიეცემათ მოწმობები როგორც სას.-სამ. კოოპერაციის კრედიტის დარგში საუკეთესო მუშაკებს.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკი თავის მხრივ 1-ლ ივლისის შემდეგ აწყობს კონკურს ა.-კავკასიის მასშტაბით და მიუსჯის სამ საუკეთესო ამხ-ბას დამატებით სამ შემდეგ პრემიას.

პირველი პრემია—უპროცენტო სესხი—5.000 მ. 5 წ. ვადით, მეორე პრემია—უპროცენტო სესხი 3.000 მ. 5 წ. ვადით, მესამე პრემია—უპროცენტო სესხი—2.000 მ. 5 წ. ვადით.

ცენტრ. სას.-სამ. ბანკს დაჯილდოებაში წილი ექნება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კონკურსი რეალურ შედეგს მოგვცემს და საქართველოს ნორჩი საკრედიტო კოოპერაცია, რომელიც მომავალში ეცდება მუშაობის მხრივ გაუთანასწოროდეს სამაგალითო ამხ-ბებს, გაამართლებს მოკლე ხანში მოპოვებულ ფართო მასსების ნდობას და თავის წვლილს შეიტანს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღორძინების, ინტენსიფიკაციის და კოლლექტივიზაციის საქმეში, რისთვისაც მოიხმარს არა მარტო სახელმწიფო საშუალებებს, არამედ გლეხობის წვრილად დაქსაქსულს საშუალებასაც.

ს. გ.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო სამეურნეო ამხანაგობები

ამ ჟამად ქვემო იმერეთში (ქუთაისის მაზრა) აღრიცხულია 10 სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა. ყველა ამხანაგობები აერთიანებენ 3.916 წევრს, გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში ამხანაგობებში ჩაატარეს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დასამზადებელი კამპანია. ამხანაგობების მიერ დამზადებულ იქნა თხილი, ნიგოზი, ღვინო, ბამბა, სიმინდი, კვერცხი, აბრეშუმის პარკი—გარდა ამისა. ამხანაგობები იძენდენ გლეხებზე დასარიგებლათ ვერმორელის სარწყავ აპარატებს, სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანებს და სხვას.

სავაჭრო საშუამავლო ოპერაციებს გარდა, ამხანაგობები ეწეოდენ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას თავიანთ წევრებს შორის: ეწყობოდა ლექცია-მოხსენებები და ვრცელდებოდა სასოფლო სამეურნეო ლიტერატურა.

სასოფლო - სამეურნეო იარაღები გლეხობას

სასოფლო სამეურნეო ბანკის სიღნაღის განყოფილებას გლეხებისათვის დასარიგებლათ დამატებით გაეგზავნა კიდევ 7 ტრაქტორი და 20 ვაგონი შაბიამანი. ამ ჟამად სიღნაღის მაზრაში მუშაობს 32 ტრაქტორი.

სასოფლო სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო გლეხებისათვის დასარიგებლათ სასოფლო სამეურნეო იარაღები: სეპარატორები, კულტივატორები, სასხლავი დანები, სახნისები, ცელები და სხვა. მიღებულია აგრეთვე თითო-თითო ტრაქტორები სვირისთვის, საჩხერისა, ზესტაფონისა, ახალ აბაშისა, ახალსენაკისა, ზუგდიდისა და დარჩელისთვის.

პროფკავშირებში

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში კავშირის მიერ გაფართოებულ იქნა მუშაობა ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი დეფექტები, რომლებსაც წინეთ ადგილი ჰქონდა—ამჟამად აღმოფხვრილია.

საორგანიზაციო მუშაობა

უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში, კავშირის წევრთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. კავშირის წევრთა რიცხვი უდრის—7519 კაცს. ამ ხნის განმავლობაში კავშირმა თავის გარშემო შემოკრიბა მთელი კადრი პროფმუშაკებისა, რომელთა რიცხვი ამჟამად უდრის—1148 წევრს.

მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებათა ადგილებზე პროფმუშაობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით ჩატარებულ იქნა სამაზრო პროფბიუროების მუშაობის გამოკვლევა.

მუშაობა უმუშევართა შორის

ამ ბოლო დროს შემჩნეულია კავშირის უმუშევარ წევრების რიცხვის ზრდა. უმუშევართა რიცხვი საქართველოს მასშტაბით ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში უდრის 649 კაცს. მუშავდება გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია უმუშევართა კადრის შემცირება.

კულტმუშაობა

კავშირის მე-5 ყრილობის შემდეგ კულტურულ ფრონტზე მუშაობას ეტყობა საგრძნობი გაუმჯობესება. კავშირს აქვს 7 კლუბი. წევრების 30% ჩაბმულია საკლუბო მუშაობაში. ამჟამად კლუბის წევრებათ ითვლება—1550 კაცი. კავშირმა უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში დამატებით გახსნა 4 წითელი კუთხე. იკითხება ლექცია-საუბრები მნიშვნელოვან საკითხებზე. იდგმება კინო-წარმოდგენები. საანგარიშო ხნის განმავლობაში გაიმართა 21 წარმოდგენა, 5 ლექცია, მოეწყო 10 კინო-სეანსი. მუშები ლექციების და წარმოდგენებს მრავლად ესწრებიან. ეტყობათ დიდი ინტერესი გონებრივი საზრდოს მიღებისადმი. მუშები დიდი ყურადღებით ეპყრობიან სხვადასხვა წრეების მუშაობას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წრეების საქმიანობაში. პროფწრეში ირიცხება—173 მსმენელი, პოლიტწრეში—66 მსმენელი, დრამწრეში—47 და მუსიკალურ წრეში—31 მსმენელი. აღსანიშნავია, რომ წრეების მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს მაზრებშიაც და მუშაობაში ჩაბმულია მუშების დიდი რაოდენობა. გაფართოებულ იქნა აგრეთვე ავტო-კლუბის მუშაობა. კლუბთან მოეწყო შოფერების კურსები, რომელშიაც ირიცხება 70 მსმენელი. მოეწყო რადიო. გაიზარდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების რიცხვი. ბიბლიოთეკებში მოიპოვება—7746 წიგნი. წერა-კითხვის არამცოდნეთა და მცირემცოდნეთა რიცხვი უდრის—3171 კაცს. მიღებულია ზომები, რათა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე განხორციელებული იქნეს ილიჩის ლოზუნგი—წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის შესახებ. კავშირი სცემს კედლის გაზეთს ქართულ-რუსულ და სომხურ ენებზე. კულტმუშაობა სწარმოებს აგრეთვე უმუშევრებსა და პიონერებს შორის.

შრომის ხელფასი

სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებთან ახლად დადებული კოლექტიურ ხელშეკრულებებში შემჩნეულია შრომის ხელფასის ზრდა. კოლხელშეკრულებების დადების დროს დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე შრომის დაცვის მოწესრიგების საქმეს.

საექსკურსიო მუშაობა

კავშირის მიერ ჩატარებული იქნა კამპანია ექსკურსიების მნიშვნელობის გასაცნობად მუშებისათვის.

დღეს ყოველ მუშას შეგნებული აქვს ექსკურსიების უდიდესი მნიშვნელობა მათი კულტურული დონის ასაწევად. მუშების მიერ დათვალიერებული იქნა რევოლიუციონური მუზეუმი, ზოოლოგიური მუზეუმი და სხვა. მიუხედავათ ამისა, ამ მიმართულებით მუშაობა მაინც მოიკოჭლებს.

საექსკურსიო სეზონი მოახლოვებულია და კავშირის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს საზაფხულო დასასვენებელი და კვირა-უქმე დღეები გამოიყენოს ამ მიზნისათვის. მოეწყობა ექსკურსიები მთელი რიგი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

კ—ე—ლია.

პროფმუშაობის ქრონიკა

თელავის სამპროფბიუროში

— **თელავის სამპროფბიურომ** შუამდგომლობა აღძრა საქ. პროფსაბჭოსა და რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს წინაშე შუამთაში დასასვენებელ სახლის გახსნის შესახებ.

— **თელავის სამპროფბიურო** შეეკითხა პროფსაბჭოს: ფაბ-ქარხ-ადგილკომები, რომლებსაც ექვსი თვე უკვე შეუსრულდათ, უნდა ხელახლად იქნენ არჩეული თუ მათი არჩევის ვადა ერთ წლამდე გაგრძელდესო. პროფსაბჭოს საორგ. განყ. ამაზე განმარტა, რომ ფაბქარხადგილკომები უნდა იქნენ გადარჩეული.

— **თელავის სამპროფბიურომ** შუამდგომლობა აღძრა რეს. სოც. დაზღვევის სამმართველოსთან თელავის მაზრიდან გამოგზავნილ დაზღვეულ ავადმყოფების საავადმყოფოში (თბილისში) დაჩქარებით მიღების შესახებ.

შორაპნის სამპროფბიუროში

— **სამპროფბიურომ გადაწყვიტა** ამ მოკლე ხანში მოჯამაგირეთა სამუშაო ხელფასის შესწავლა.

— **ჩამოსულ ექსკურსანტებისათვის** შორაპნის სამპროფბიუროსთან მოეწყობა ბინა.

ბორჯომის საქალაქო პროფბიუროში

— **ბორჯომის მუშა-მოსამსახურეთა** საერთო კრებაზე მოსმენილი იქნება მოხსენება ბორჯომში მომუშავე დამზღვევ სალაროს ექიმებისა და დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა დამოკიდებულების შესახებ.

— **მილიციის არსებობის** ხუთი წლის თავის აღსანიშნავად ბორჯომის პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

— **პროფკავშირთა სრ. საქართვ. მე-5 ყრილობასა** და პროფკავშირთა ამიერ-კავკასიის მესამე ყრილობაზე ბორჯომში კამპანიის ჩატარება უკვე დაიწყო.

კომუნალური მეურნეობა

ტრამვაი

უკვე დამთავრდა ტრამვაის ახალი მეორე ხაზის გაყვანა დიდუბემდე. ახალი ხაზი გაყვანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის (რომელიც დიდუბეში ეწყობა) საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მაისის 9-დან, ე. ი. გამოფენის გახსნის დღიდან ვაგონები თავისუფლების მოედნიდან უშუალოდ ივლიან გამოფენის ადგილამდე. დღის დღეებში 3 ტრამვაი ამ ხაზზე მუშაობს.

დამთავრდა აგრეთვე მეორე ხაზის გაყვანა თავისუფლების მოედნიდან ფუნიკულიორამდე. ფუნიკულიორის ქვედა მოედანზე გაშენებული იქნა ბაღი-ვაგონის მომლოდინე მგზავრებისათვის. ბაღი დაიტევს 2000-მდე კაცს. აქვე მოწყობილია საბავშო და სასპორტო მოედნები. ბაღი გახსნილ იქნება 1-ლ მაისს.

წყალსადენი

ამჟამად თბილისის აღმასკომის წყალსადენის სამმართველო აწარმოებს დაკვირვებას ნატახტარის წყაროებზე იმ მიზნით, რომ გამოიკვლიოს ამ წყაროების წყლის სიღრმე და წარმოშობა. უკვე დადგმულია საბურღი იარაღი, რომელიც არკვევს წყაროების წარმოშობას და წყლის მიმართულებას წიადაგში. ამ იარაღის საშუალებით გამოირკვა, რომ წყალი მიწის წიადაგში ძალიან ღრმად მდებარეობს. 35—68 მეტრის სიღრმეში ამოღებულ იქნა წყლით მოტანილი სილის ფენები. წყალი ამოჰქუხს 70 მეტრის სიღრმიდან და აღწევს მიწის ზევით 6 მეტრის სიმაღლეზე. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში არტეზიანული წყლის აღმოჩენაზე. სპეც. ინჟენრების აზრით ნატახტარის წყაროები მეტად ღრმა წიადაგიდან მომდინარეობენ და შეიცავს წყლის დიდ რაოდენობას.

◆

სამეცნიერო დაწესებულებებში

თბილისის აღმასკომის მუზეუმი

რამოდენიმე თვის წინად თბილისის აღმასკომის მუზეუმს განაგებდა და ხელმძღვანელობდა განათლების განყოფილება. ამჟამად მუნიციპალური მუზეუმი კომუნალურ განყოფილებას ექვემდებარება.

მუნიციპალურ მუზეუმს ბევრი მნახველები ჰყავს. თითქმის ყოველ დღე მუზეუმს ათვალიერებენ სკოლის მოწაფეთაგან შემდგარი ექსკურსიები, რომლებისათვის იმართება საუბრები კომუნალური მეურნეობის თვითეული დარგის და მისი ისტორიის შესახებ.

დღით-დღე მუზეუმს ემატება ახალ-ახალი ექსპონატები. მუზეუმს ბინის სივიწროვე საშუალებას არ აძლევს გამოაფინოს დაგროვილი ექსპონატები. მუნიციპალური მუზეუმი შესდგება რამოდენიმე განყოფილებისაგან. ყველაზე მეტად მდიდარია კომუნალური განყოფილება, სადაც გამოფენილია ექსპონატები, რომელნიც ახასიათებენ კომუნალურ მეურნეობას ახლო წარსულში. აქ ნახავთ ძველი წყალსაქაჩავების ქართულ სახაზაზოს, თულუხჩების და სხვა მოდელებს.

ამჟამად მუზეუმს შეკვეთილი აქვს ავჭალის წყალსადენის მოდელი, რომელმაც უნდა გამოსახოს წყალსადენი ყველა მისი მხარეებით (ფილტრებით, აუზებით, წყლის განმანაწილებელი შტოები და სხვა).

ქალაქის ქუჩებში გაყვანილი მაგისტრალები წარმოდგენილი იქნება სქემებით. ეს მოდელი საინტერესოა იმ მხრივ, რომ წარმოადგენს ძველი სისტემის წყალსადენის ნიმუშს.

ამ მოკლე ხანში ავჭალის წყალსადენის არსებული (ძველი) სისტემა შეცვლილი იქნება უფრო გაუმჯობესებული ახალი სისტემით.

ამჟამად მუნიციპალური მუზეუმის გამგეობა აწარმოებს მუშაობას ახალ-ახალ ექსპონატების შესაძენად ქალაქის მეურნეობის ყოველ დარგიდან. მიღებულია აგრეთვე ზომები სხვადასხვა განყოფილებათა შესავსებად ახალი ექსპონატებით.

მუზეუმის სიმდიდრის გამოფენას ძალიან აბრკოლებს შენობის სივიწროვე, რის გამოც ბევრი საყურადღებო მასალა სარდაფებში ინახება.

◆

საექიმო დახმარება მაზრებში

ახალი ამბულატორიები და კაბინეტები

ამ დღეებში ბათომში გაიხსნება ახალი ამბულატორია, რომელიც მოწყობილ იქნა საექიმო დახმარების გასაწევად ღარიბესი მოსახლეობისათვის. ღარიბი მცხოვრებლები ამ ამბულატორიით ისარგებლებენ უფასოდ.

აჭარისტანის 5 მაზრაში დამთავრდა კბილის სამკურნალო პუნქტების მოწყობა.

რკინისგზელთა ამბულატორიისათვის ქუთაისში შეკეთებულ იქნა შენობა, რომელიც მოთავსებულია სადგურ ქუთაისის სარკინისგზო უბნის ცენტრში.

დამთავრდა მუშაობა ბათომის მთავარი საავადმყოფოს შენობის შესაკეთებლად და გასაფართოვებლად.

აფხაზეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გაგრაში მოაწყო კლინიკა 7 კაბინეტით.

ამ ჟამად შენდება შენობა ზღვის ვანების მისაღებად.

ინფლუენცა და სხვა ავადმყოფობანი

ქუთაისსა, ფოთსა, ბათომში და აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფლებში მარტის დამლევს ძალიან გახშირდა ინფლუენციით დაავადმყოფების შემთხვევები. ამ მიზეზის გამო საგრძნობლად გაიზარდა ამბულატორიებში მომართვათა რაოდენობა. დახმარება უფასოდ ეძლევათ დაზღვეულებს და ღარიბეს მცხოვრებლებს.

ამებიან დიზენტერიით დაავადმყოფობამ ბათომში მიიღო ეპიდემიური ხასიათი. ძალიან დაძნელებულია მკურნალობა, რადგან არ მოიპოვება საჭირო მედიკამენტები.

ამ ჟამად გუდაუთის მაზარში მძვინვარებს პარტახტიანი ტიფის ეპიდემია. ჯანსახკომმა გადასდო ტიფთან საბრძოლველად 1.000 მანეთი. გუდაუთის საავადმყოფოსთან გაიხსნა განყოფილება გადამდებიანი ავადმყოფებისათვის.

◆

რადიო-მშენებლობა

რადიო-წრეები.

ამჟამად ამიერ-კავკასიაში აღრიცხულია სულ რადიომოყვარულთა 400 წრე. აქედან მხოლოდ თბილისში არსებობს 200 რადიო-მოყვარეთა წრე. უკანასკნელ ხანებში რადიო-წევრთა რიცხვი თანდათან მატულობს.

რადიო-მიმღები სადგური ზუგდიდში.

კომერციულ დეპეშათა სააგენტოს ამიერ-კავკასიის განყოფილებამ ზუგდიდში დადგა ძლიერი რადიო-მიმღები სადგური, რომლის შენობა 300 კაცს იტევს. პირველი ცდები რადიოცნობების და კონცერტების მისაღებად კარგათ ჩატარდა. კარგათ ისმის კონცერტების გადმოცემა კომინტერნის სახელობის სადგურიდან. განსაკუთრებით გარკვევით ისმის თბილისის სადგურის გადმოცემა. დამაკმაყოფილებელია საკავშირო სააგენტოს „ინფორმაციის“ და აგრეთვე „დევიტრი“-ს (ინგლისის და ბერლინის) სადგურების გადმოცემა.

რადიო-მიმღები სენაკში.

სენაკის პროფკავშირთა ბიურო ამავე ქალაქის ცენტრალურ კლუბში აწყობს რადიო-მიმღებ სადგურს, რომლის აუდიტორია დაიტევს 300 კაცს. ყველა ხელსაწყოები უკვე გაგზავნილ იქნა თბილისიდან და ადგილობრივ უკვე შეუდგენ მუშაობას სადგურის დასადგმელად.

სამტრედიის რადიო-სადგური.

სამტრედიაში ჯერ კიდევ შარშან მოეწყო ერთი რადიო-სადგური, ახლა რკინისგზელთა კლუბის გამგეობა თავისივე შენობაში სდგამს ახალ რადიო-მიმღებ სადგურს. კლუბის დარბაზი, სადაც სადგური იდგმება, იტევს 300 კაცს. კლუბს უკვე მიღებული აქვს მთელი არმატურა და ყოველგვარი ხელსაწყოები, რაც კი საჭიროა ფართო მოამბე რადიო-სადგურის მოსაწყობად.

ციხის-ძირის პლანტაციებზე უკვე ერთი თვეა მოეწყო რადიო-მიმღები სადგური, რომელიც კონცერტებს იღებს ყველა სადგურებიდან.

წითელ ჯარში

შვებულებებში

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის უნცროსი კურსი გაშვებულ იქნა შვებულებაში ორი კვირით.

კურსანტებს დაევალათ შვებულების დროს გაეცნონ ადგილობრივ ხელისუფლების და პარტიულ და ახკომკავშირის ორგანოების მუშაობას. კურსანტები აგრეთვე ვალდებულნი არიან მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საპირველმაისო კამპანიის ჩატარებაში. შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ ყოველი კურსანტი წარმოადგენს წერილობით მოხსენებას მუშაობის ჩატარების შესახებ.

ვ.

მე-2-ე საფეხურის სამოქალაქო სკოლების გასამხედროება

საკავშირო რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მიერ გაცემულ იქნა თანხები სამხედრო საქმის სწავლებისათვის სამოქალაქო ცხრაწლედებსა და მეორე საფეხ. სკოლებში. ამასთან დაკავშირებით უმაღლეს სასწავლებლების სამმართველომ დაუგზავნა ოლქებს დაწვრილებითი მიმართვა სკოლებში სამხედრო სწავლების ჩატარების შესახებ.

უმაღლეს სასწავლებლების სამმართველო წინადადებას იძლევა დახმარება გაუწიონ პირველ რიგში იმ სკოლებს, რომლებმაც, ასე თუ ისე, უკვე დაიწყეს საკუთარი თაოსნობით გასამხედროების საქმე.

სკოლებში სამხედრო საქმის სწავლება, გარდა სკოლაში მეცადინეობისა, ითვალისწინებს საველე მეცადინეობასაც ზაფხულობით.

სკოლებში გასამხედროების საქმეზე მიწვეულ იქნება სამწყობრო ნაწილებისა და ნორმალურ სკოლების სამხედრო მეთაურთა შემადგენლობა.

სკოლებში სპეციალურ სამხედრო კაბინეტების მოწყობამდე, მოსწავლეები ისარგებლებენ ადგილობრივ გარნიზონის ნაწილებს და მეთაურთა სკოლების სამხედრო კაბინეტებით.

ე. ხუციშვილი.

წითელი არმიის და ფლოტის სახლის ქართული სექცია

ქართული სექცია წითელი არმიის და ფლოტის სახლთან ჩამოყალიბდა გასული წლის ივლისში.

იგი ემსახურება როგორც საკადრო, ისე ტერიტორიალურ ნაწილების წითელ არმიელთ და აგრეთვე უფპოლიტშემადგენლობას. მუშაობა ზაფხულობით სწარმოებს იმ ქართულ ნაწილებს შორის, რომლებიც არ გადიან საბანაკოდ და რჩებიან თბილისში.

ქართულ სექციასთან არსებობს საგარნიზონო იურიდიული რჩევა-დარიგების ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს დივიზიის ტრიბუნალიდან მიმაგრებული ამხანაგი. ბიურო აწარმოებს ფართე მუშაობას, აძლევს წითელ არმიელებს რჩევა-დარიგებას სხვადასხვა საკითხებზე, როგორიც არის შეღავათი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და სხვა.

ზამთრის პერიოდის განმავლობაში სექციასთან მუშაობდა [illegible] ქართული დრამატიული დასი. თითქმის ყოველ კვირა იმართებოდა უფასო წარმოდგენები ქართული ნაწილებისათვის.

ეწყობოდა ლექციები სანიტარიიდან და ასტრონომიიდან. სახლთან მოწყობილია პოლიტსაგანმანათლებლო და სკოლის გარეშე მუშაკის კაბინეტები, სადაც თავმოყრილია მრავალი სახელმძღვანელო მასალა. კაბინეტში იმართება ქართულ ნაწილებში მომუშავე ამხანაგების მეთოდიური თათბირები.

ეწყობა დრო გამოშვებით ნაწილების კედლის გაზეთების გამოფენა. სექციის მიერ მოწყობილია რამდენიმე ექსკურსია ფაბრიკა-ქარხნებში და მუზეუმებში გამოცდილი ამხანაგების ხელმძღვანელობის ქვეშ.

მომავალში განზრახულია მასიურ მუშაობის გაფართოება და ტერიტორიალურ ნაწილებს ჩაბმა სკოლის გარეშე მუშაობაში.

ე—ზ.

◆

განათლების ფრონტზე

საზღვარგარეთ მივლინება

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა სამეცნიერო მიზნით მიავლინოს საზღვარგარეთ—(გერმანიაში) სახელმწიფ. უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კლინიკის ასისტენტი გ. ვაწაძე, 2 წლის ვადით.

სახელმძღვანელოები

განათლების კომისარიატმა სახელმწიფო გამომცემლობას დაავალა, მომავალ სასწავლო წლისათვის დამზადოს სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების დამხმარე წიგნები. კომისარიატმა აგრეთვე წინადადება მისცა სოციალური აღზრდის მთავარმმართველობას წარმოადგინოს დასამტკიცებლად არა უგვიანეს პირველი მაისისა ახალ და ხელმეორედ გამოსაცემ სახელმძღვანელოების სია. კომისარიატს საუკეთესო სახელმძღვანელოების და ბავშვთა საკითხავი წიგნების შესადგენად განზრახვა აქვს ჩაატაროს კამპანია პრესის საშუალებით.

კონკურსი

განათლების კომისარიატმა დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი საუკეთესოთ შედგენილ სახელმძღვანელოებსა და ბავშვთა საკითხავ წიგნებზე.

მასწავლებელთა გადამზადება

განათლების კომისარიატს განზრახვა აქვს წელს მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები მოაწყოს საკურორტო ადგილებზე.

სკოლის ასაგებათ

სოფ. დედოლიურში (ხონის რაიონი) შრომის სკოლის საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლად განათლების კომისარიატმა გადასდო 100 მან.

დახმარება ნოვოგიორგიევსკის ქართველებს

განათლების კომისარიატმა გადასდო საჭირო თანხა ნოვოგიორგიევსკში მცხოვრებ ქართველებისათვის ჟურნალ-გაზეთების მისაწოდებლად.

ქრონიკა

აეროპლანების მოდელების შეჯიბრება

ამ რამდენიმე დღის წინედ საქართველოს ავიაქიმის თბილისის საბჭომ დიდუბეში მოაწყო აეროპლანების მოდელების შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის ოთხივე რაიონმა და წარმოდგენილი იყო 29 მოდელი.

შეჯიბრების დროს შუადღისას ამოვარდა ძლიერი ქარი, რომელმაც ხელი შეუშალა შეჯიბრებას და ამის გამო იგი სასურველად ვერ დამთავრდა.

მოდელთა პირველი კატეგორიიდან ყველაზე შორს ვაფრინდა ამხ. კალინინის მოდელი, რომელმაც გაიარა 274 მეტრი. მეორე კატეგორიის მოდელებიდან აღსანიშნავი არიან მოდელები მიკირტუმოვისა და საფაროვის. გაუთამაშებელი დარჩა 5 პრიზი. ისინი გათამაშებულ იქნებიან მოდელების შემდეგ შეჯიბრებაზე, რომელიც მოეწყობა მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებში.

70 ათასი მანეთი ჯანსახკომს.

საზოგადოება „ჩემო“-მ საქართველოს ჯანსახკომს გადასცა 70 ათასი მანეთი, რომლიდანაც 50 ათასი მანეთი მოხმარდება წყალტუბოს გზის გაყვანას და 20 ათასი მანეთი კი სოფლის საექიმო პუნქტების მოწყობას.

ამხ. კუთაიძის გამგზავრება ევროპაში.

საქართველოს ჯანსახკომი ამხ. კუთაიძე ამა წლის 24 აპრილს მიემგზავრება საზღვარგარეთ (პარიზში) საერთაშორისო სანიტარულ კონფერენციაზე.

დაჯილდოება.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ბრძანებით, ენერგიული მუშაობისა და სიმამაცისათვის საპატიო იარაღით დაჯილდოებული იქნა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი ამხ. **მარკოზია.**

ნავთის გატანა.

უკანასკნელი თვის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურით გატანილ იქნა 155.000 ფუთი ნავთი.

შაქარი.

შაქრის ტრესტის ცნობით, ამჟამად ამიერ-კავკასიისათვის მომარაგებულია 6 თვის საყოფი შაქარი.

მარგანეცის გატანა.

„საქართველოს მარგანეცმა“ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში საზღვარგარეთ გაიტანა 250.000 ტონა მარგანეცი.

ქინაქინის დამზადება.

სახმედვაჭრობას განზრახული აქვს თბილისში მოაწყოს ქინაქინის დამამზადებელი ქარხანა. ქინაქინი დამზადებული იქნება ქინაქინის ხის ქერქისაგან.

სამკურნალო მცენარეულობა.

სახმედვაჭრობამ შეადგინა კომისია სამკურნალო მცენარეულობის დამზადების ხელმძღვანელობის გასაწევათ.

სახ. ვაჭრობის კომისარიატმა

გადასწყვიტა კოჯორში მოაწყოს ნავთის, [illegible]შირის და სხვა სათბობ-გასანათებელ მასალების სავაჭრო.

საბინაო მშენებლობა.

ახალი სახლი. ქუთაისის მაუდის ქარხნის მუშათა საბინაო ამხ-ბას საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა გადასცა 2000 მან.

საბინაო ფონდი. 1 მარტამდე საბინაო მიზნობრივ გადასახადის სახით მთელ რესპუბლიკაში აკრეფილ იქნა და გადაირიცხა საბინაო-საამშენებლო ფონდში 388.069 მან.

ტროცკის და ცხაკაიას მუშათა საბინაო ამხანაგობებს საბინაო-მშენებლობის კომიტეტმა გადასცა 10.000 მან.

საბინაო მშენებლობა. საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტის გეგმით წელს განზრახულია 110 ბინის აგება თბილისში.

ჯანსახკომში.

მალიარიასთან ბრძოლა. ჯანსახკომმა დაადგინა წელს მთელ სამეგრელოში მოაწყოს მალიარიასთან ბრძოლის კამპანია.

ჯანსახკომმა გადასწყვიტა გამოსცეს ცალკე წიგნაკად კბილის ექიმთა ყრილობის ანგარიშები.

საქონლის გასაღება.

ხიზილალა. სტამბოლში სახ. ვაჭრობის სამმართველომ გაგზავნა 546 ათასი მანეთის ხიზილალა.

აბრეშუმის პარკი. მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ უცხოეთში გაასაღა 252.400 მანეთის პარკი.

ძვირფასი ჯიშის ხეები. ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველო ამჟამად ამიერკავკასიაში აწარმოებს ძვირფასი ჯიშის ხეების დამზადებას საზღვარგარეთ გასატანად.

საქონლის გასაღება. მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ მეოთხედში სახ. ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთ გაიტანა გასასაღებლად 3.120.000 მანეთის საქონელი.

სატყეო მეურნეობა.

სვანეთის ტყეების მოწყობა. მიწათმოქმედების კომისარიატი მიმდინარე გაზაფხულზე შეუდგება სვანეთის ტყეების მოწყობა-გამოკვლევას.

ტყეების გადაცემა. დღემდე მთელ საქართველოში გლეხებზე გადაცემულია 150.000 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

სანერგე. სატყეო განყოფილება საგარეჯოს თემში აწყობს წიწვიანი ჯიშის ხეების სანერგეს.

ტყეების მოწყობა. გასულ საანგარიშო წელში მიწათმოქმედების კომისარიატმა მოაწყო 100.000 დესეტინა ტყე.

საქონლის ჭირი.

საქონლის ჭირი მოისპო ახალციხის და სიღნაღის მაზრებში და აჭარისტანში. ახალქალაქის მაზრაში ამ დღეებში მოიხსნება კარანტინი.

შრატი. საევტერინარო სამმართველომ გორის მაზრაში, სოფ. ძეგვში, გაგზავნა 40 ლიტრო საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

ტაბახმელის საშრატე სადგურმა დამატებით შეიძინა 10 სული მსხვილფეხა ჯიშიანი საქონელი შრატის დამზადების საჭიროებისათვის.

საევტერინარო სამმართველომ გამოსცა ექ. ლეონიძის წიგნი: „საქონლის ექიმის საუბარი გლეხთან“.

სხვადასხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც დაბადებულნი არიან 1904 წ., ვალდებულნი არიან 3 დღის განმავლობაში წარადგინონ სამხედრო [illegible] მოწმობა ფორმა № 4-ის დედანი თავთავიანთ ფაკულტეტის საქმის მწარმოებელთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჰკარგავენ შეღავათით სარგებლობის უფლებას.

„ბუჰგალტერთა უფლებრივი მდგომარეობა“. კვირას, 25 აპრილს დილის 11 საათზე, ს. პ. კ. საბჭოს მცირე დარბაზში საქ. საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირთან არსებულ მონაგარიშეთა ვაერთიანების ბიურო აწყობს მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„ბუჰგალტერთა უფლებრივი მდგომარეობა“.** მოხსენებას გააკეთებს ამხ. გალპერინი რუსულ ენაზე. ყველა დაწესებულებებისა და წარმოებების ანგარიშის მუშაკთა დასწრება სავალდებულოა.

ხელოვნება

ნიკო ფიროსმანის საღამო.

კვირას, 25 აპრილს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება სახალხო მხატვარის **ნიკო ფიროსმანის** საღამო. მოხსენებებს წაიკითხავენ: ტიციან ტაბიძე—„ნიკო ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება“, კირილე ზდანევიჩი—„ნიკო ფიროსმანის აღმოჩენა“; სიტყვებს იტყვიან: გრიგოლ რობაქიძე, ვერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, პაოლო იაშვილი, ალ. აბაშელი, გიორგი ლეონიძე, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, იაკობ ნიკოლაძე, აკადემიკ. ე. ე. ლანსერე, პროფ. ნ. პ. გორდეევი, ბ. მელიკოვი. ნიკოლოზ ჩერნიავსკი წაიკითხავს დიალოგს რუსი ფუტურისტებისას, კირ. და ილია ზდანევიჩებისას და იაგორ ტერენტიევისას.

ზეპირი რეცენზია საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემულ მონოგრაფიაზე „ნიკო ფიროსმანი“. წაკითხული იქნება ლექსები, დაწერილი ნიკო ფიროსმანზე გრიგოლ რობაქიძისა, სანდრო შანშიაშვილისა, ვალერიან გაფრინდაშვილისა, რაჟდენ გვეტაძისა და ნინო თარიშვილისა.

დარბაზში მოწყობილი იქნება ერთდღიანი გამოფენა ნიკო ფიროსმანის სურათებისა, ეროვნულ გალერეისა, ხელოვნების სასახლისა და მმათა კ. და ი. ზდანევიჩების კოლექციიდან.

ქართული მწერლობის ანთოლოგია.

მწერალ ია ეკალაძის რედაქტორობით და გამომცემლობით ამ დღეებში დაიწყება ბეჭდვა ქართული მწერლობის დიდი ანთოლოგიის. ანთოლოგიაში დაიბეჭდება საუკეთესო ნიმუშები ყველა ქართველი მწერლის მეთორმეტე საუკუნიდან—დღემდე. ანთოლოგია გამოვა ორ 600-გვერდიან ტომად. მწერლები დაბეჭდილი იქნებიან მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით და პორტრეტებით, მასალები დალაგდება სხვადასხვა დროისა და ჯგუფის მწერლებისა ცალცალკე—ორი მთავარი განყოფილებით: ძველი დროის და ახლის. ყოველ განყოფილებაში იქნება ოთხი ჯგუფი მწერლების. პირველი ტომის ბეჭდვის დაწყება განზრახულია მაისის პირველ რიცხვებიდან, ორივე ტომი გამოვა შემოდგომაზე. ხელისმოწერა დაიწყება ამ დღეებში.

ხელოვნების ქრონიკა.

კონსერვატორიის დარბაზში 24 აპრილს რუსეთში გამგზავრების წინ გაიმართება მომღერალ ქალის ა. დანელიანის კონცერტი.

ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა. 25 აპრილს დრამატიულ სტუდიის დარბაზში გაიხსნება ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა.

ბარბალე ალექსი-მესხიშვილის საგასტროლოდ შაბათს, 24 აპრილს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „შოკოლადის გამყიდავი ქალი“.

„ჯაყოს ხიზნები“. ამხ. „შრომა“ უკვე შეუდგა ბეჭდვას და ამ მოკლე დროში გამოვა მიხ. ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“—შესწორებული და შევსებული რედაქციით.

ავლაბრის მუსიკალურ მუშფაკში. წარსულ სამოსწავლო წლის ბოლოში ავლაბარში დაარსებულ იქნა ახალი მუსიკალური მუშფაკი, რომელშიაც ეხლა ხუთი განყოფილებაა: როიალის, ვიოლინის, ჩელოსი, სიმღერის და თეორია—სოლფეჯიოს; არის 70 მოწაფე რომელთაგან 58 კაცი მუშების, გლეხების და მოსამსახურეების შვილებია. მიმდინარე სამოსწავლო წელში გამართული იქნა ორი კონცერტი.

კინო

სავურ საფლავი.

რეჟისორ ი. პერესტიანმა დაამთავრა სურათი „სავურ საფლავის“ მონტაჟი. სურათი წავა 9 ნაწილად. მთავარ როლებს ასრულებენ—**ჟოზეფი, ლიუქსი, ბიხოვა, ესიკოვსკი, ხუტირინი, კადორ-ბენ-სალიბი** (ჯაკონი). სურათი გადაიღო ოპერატორ დიმელლომა.

„ნამუსი“.

რეჟისორ ბეკ-ნაზაროვმა დაამთავრა სურათი „ნამუსი“, რომელიც საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობამ დასდგა სომხეთის სახელმწიფო ფოტო-კინოსათვის. „ნამუსი“ პირველი სურათია სომხეთის ცხოვრებიდან. სცენარი შემუშავებულია შირვანზადეს ცნობილი რომანის მიხედვით. მთავარ როლს ასრულებს სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მსახიობი **აბელიანი.** მიწისძვრის სცენა გადაღებულია ერევანში. სურათი გადაიღო ზაბოზლაევმა.

ერევანში სურათის გასინჯვის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობას გაეგზავნა დეპეშა მადლობის გამოცხადებით სურათი „ნამუსი“-ს დადგმისათვის, რამაც საფუძველი ჩაუყარა სომხეთის კინემატოგრაფიას. თბილისში „ნამუსი“ ნაჩვენები იქნება „დათვის ქორწილის“ შემდეგ ერთდროულად აპოლოში, სოლეიში და არფასტოში.

„მეცხრე ტალღა“.

დამთავრდა სურათი „მეცხრე ტალღა“-ს დადგმა. მთავარ როლებს ასრულებენ: **მ. ტენაზი, ზ. ჟევინსკაია, მ. გელოვანი, პ. მორსკოი.** რეჟისორი ბარსკი, ოპერატორი პოლიკევიჩი.

კინომრეწველობის რეორგანიზაცია.

საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის ხანგრძლივი გამოკვლევის შედეგათ, საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოების კომისიამ მოახდინა საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის აპარატის რეორგანიზაცია. დირექციის ადგილას მოეწყო გამგეობა უფრო ფართე ფუნქციებით. გამგეობაში შედიან: თავმჯდომარე **ე. ლვამიჩავა,** თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. გოგიტიძე** და გამგეობის წევრი **კ. ანდრონიკაშვილი.**

გამოკვლევის შედეგათ გამოირკვა, რომ საქართველოს კინომრეწველობის ნორმალურ ზრდისათვის სახელმწიფო კინომრეწველობას არა აქვს საკმაო კაპიტალი. საზოგადოების კაპიტალი 300.000 მანეთიდან 600.000-მდე იქნა გადიდებული საქართვ. სამეურნეო ორგანოების — სახელმწიფო სპირტის ტრესტის, საქართველოს სატყეო ტრესტის, სახალხო მამულების ტრესტის, თამბაქოს ტრესტის და კომუნალურ ბანკის ჩაბმით. საზოგადოების საბჭო შესდგება 7 პირისაგან ამხ. **კანდელაკის** თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის თანაშემწეთ არჩეულია ამხ. **დუმბაძე.**

◆

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი სამგზავრო აეროპლანი

გერმანიაში ააგეს ახალი დიდი სამგზავრო აეროპლანი. აეროპლანი მოძრაობაში მოჰყავს 4 ას ძალიან მატორს. აეროპლანს მიჰყავს მფრინავი, ორი მექანიკოსი და 8 მგზავრი. გაფრენის საშუალო სისწრაფე უდრის 170 ვერსს საათში. ეს აეროპლანი 20 იანვრიდან ფრენს მიუნჰენსა და რომს შორის.

ლაქების რიცხვის გადიდება მზეზე

მზის ზედაპირზე ჯერ კიდევ გალილეიმ შეამჩნია ლაქები. ამ ლაქების რიცხვი მზეზე ყოველთვის ერთნაირი არ არის, არამედ პერიოდულად იცვლება. ლაქების რიცხვის ცვალებადობას 11 წლიანი პერიოდი აქვს. განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში (6 წელიწადი) ლაქების რიცხვი მზეზე იზრდება, შემდეგ თანდათანობით კლებულობს (პერიოდი 4 წელიწადი). ამ თერთმეტ წლიან პერიოდს ვოლფის პერიოდს ეძახიან. უკანასკნელი მაქსიმუმი იყო 1917 წ. უკანასკნელი მინიმუმი 1922 წ. ამრიგად შემდეგი მაქსიმუმი 1928 წ. იქნება.

მაქსიმუმის მოახლოვება უკვე ახლა დაეტყო ჩვენს დღის მნათობს: არაჩვეულებრივათ გაძლიერდა ფიზიკური მოქმედება მის ზედაპირზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს მოქმედება წარსული წლის დამლევს და მიმდინარე წლის დასაწყისში: მზეზე ზედიზედ გამოჩნდენ უზარმაზარი ლაქები, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა. ლაქების პირველი ჯგუფი, რომელთა დანახვა თვალით შეიძლებოდა წარსული წლის 14-26 ოქტომბერს გამოჩნდა. უზარმაზარი ლაქები მოჩანდენ ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში და თებერვალში. განსაკუთრებით მძლავრი იყო ორი ჯგუფი ლაქებისა, რომლებმაც მზის მერიდიანი გაიარეს წ. წ. 2[illegible] დეკემბერს.

ეჭვს გარეშეა, რომ მზის ზედაპირი ჩქარა არ დაწყნარდება. მიმდინარე წლის გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში შესაძლებელია ლაქების წარმოშობის პროცესების კიდევ უფრო გაძლიერება.

პროფ. სვიატსკის აზრით მზეზე ლაქების რიცხვის გამრავლებასთან დაკავშირებულია წვიმიანი დღეების რიცხვის გამრავლება. ამიტომ მიმდინარე წლის ზაფხულში დიდი წვიმებია მოსალოდნელი.

ცხვირი სპილოს ძვლიდან

ვენის საექიმო ჟურნალი იუწყება, რომ ავსტრიაში წარმატებით სარგებლობენ სპილოს ძვლით ცხვირის სხვადასხვა დეფექტების გასასწორებლად.

სპილოს ძვალს წინასწარ ასველებენ და არბილებენ განსაკუთრებული ხსნილით. ასე შემზადებული ძვალით ცვლიან ცხვირზე დეფექტიან ადგილს (სპილოს ძვალი ხრტილის მაგიერობას სწევს).

ნარევი

ალექსანდრე მაკედონელის განძის ძებნა

მიმდინარე წლის ზაფხულში თურქესტანის სამეცნიერო მუშაკები აწყობენ ექსპედიციას ალექსანდრე მაკედონელის განძის აღმოსაჩენათ. ეს განძი ზოგიერთების აზრით დამალული უნდა იყოს შუა აზიაში მრავალთ გაბნეულ ერთ-ერთ სამარხში.

ამ ექსპედიციის საკითხი ირჩეოდა მატერიალური კულტურის აკადემიაში ბუნებისა და ხელოვნების დამცველ შუა-აზიის კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.

გამოირკვა, რომ უკანასკნელ დრომდი თურქესტანის არქეოლოგიურ გამოკვლევას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

შუა-აზიის სამარხებში აუარებელი განძეულობა უნდა იყოს გადამალული. აქ გაუვლია ალექსანდრე მაკედონელს თავისი ჯარებით. აქ ბანაკდებოდენ ეს ჯარები, დატვირთული აუარებელი ნადავლით.

აქ მოჰქონდა თემურლენგს თავისი ზღაპრული სიმდიდრეები—ხარკი დამორჩილებული ხალხებისგან.

აქ, დაბოლოს, ბატონობდა სასანიდების დინასტია, განთქმული თავისი უთვალავი განძეულობით.

ამ დინასტიის დაცემის შემდეგ განძეულობის დიდი ნაწილი დაიკარგა. როგორც გამოირკვა, ოქროსა და სხვა სიმდიდრეების დიდი ნაწილი ჩაფლული იქნა მიწაში სხვადასხვა ადგილას.

ეს განძეულობა დღემდი აღმოუჩენელია. იმედი აქვთ, რომ ექსპედიცია, რომელიც ახლა ეწყობა, აღმოაჩენს ამ დაკარგულ განძეულობას.

ჩრდილოეთის უძველესი მცხოვრებნი

წარსული წლის ზაფხულში ირკუტსკიდან ციმბირის ტაიგის სიღრმეში გაემგზავრა ექსპედიცია, რომელიც მოაწყო წითელი ჯვარის ადგილობრივმა განყოფილებამ და ჩრდილოეთის ერების ხელის შემწყობმა კომიტეტმა. ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ყარაგასის ტომის ზნეჩვეულებათა და ყოფა-ცხოვრების შესწავლა.

ტულუნიდან (ირკუტსკის გუბერნია) ექსპედიცია ცხენებით გაემგზავრა დაბა სასირსკამდე, რომელიც მდ. იჯეის ერთ-ერთი შესართავის პირას მდებარეობს.

ყარაგასები ძლიერ პატარა ტომია. ტომის მეთაურების გამოანგარიშებით მათი რიცხვი არ აღემატება 405 (ძუძუმწოვარა ბავშვების ჩათვლით). ყარაგასები ცხოვრობენ ირკუტსკის გუბერნიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და უჭირავთ მდ. უდის, იუს და ბისოუსის სათავეები.

ყარაგასები ამ მხარის უძველეს მცხოვრებს წარმოადგენენ. მეცნიერების ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი ენათესავებიან სამოედებს, რომლებიც წინათ იქ ცხოვრობდენ და შემდეგ ნაწილობრივ განდევნილ იქნენ აზიის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ნაწილობრივ კი შეუერთდენ თურქთა ტომებს (ყარაგასები ლაპარაკობენ ერთ-ერთ თურქულ კილოკავზე).

იურიდიული დახმარება

მიწის ყოფილი პატრონი მიწას მართმევს, როგორ მოვიქცე?

კითხვა

ვარ სოფლის მასწავლებელი. არა მაქვს სამოსახლო მიწა. მყავს ცოტა ფუტკარი. ჩემი თხოვნით ს. ზემო-ბახვანის აღმასკომმა მომცა საფუტკროდ და სამოსახლოდ მამული, რომლის სივრცე ნახევარ დესეტინაზე ნაკლებია. ეს მამული წინად ეკუთვნოდა რამოდენიმე ოჯახს, რომლებმაც მას თავი დაანებეს 1920 წელს. როდესაც აუარებელი შრომით შეძლო ამ მამულის დამუშავება და ახლა როცა მოველი მისგან ჩემი შრომის ანაზღაურებას, მოვიდა ერთ-ერთი ყოფილი პატრონთაგანი და მართმევს მამულს.

აქვს მას ამის უფლება თუ არა?

სიღნაღის მაზრის მცხოვრები **ელისაბედ კობეშავიძე.**

პასუხი

მიწა-წყალი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში, თანახმად მიწის კოდექს. მუხ. 2-სა, შეადგენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას. კერძო საკუთრება მიწაწყალზე გაუქმებულია სამუდამოდ. (იხ. იქავე მუხ. 1); აქედან ცხადია, რომ არავითარ შემთხვევაში კერძო პირს, (მით უმეტეს ყოფილ მემამულეს) არა აქვს უფლება ან ჩამოართვას ან უკანონოდ ჩაერიოს მიწის მოსარგებლის (ამ შემთხვევაში თქვენი) მეურნეობის საქმეში. თქვენი უფლების დასაცავად თქვენ უნდა მიმართოთ, თანახმად მიწის კოდექსის მუხლ. 24-ის, ადგილობრივ სახალხო მოსამართლეს სათანადო განცხადებით.

სახლის პატრონთან დადებული ხელშეკრულების შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ ვარდისუბნის ქ., № 17, და მიჭირავს ერთი თვალი ოთახი, სივრცით 25 კვ. არშინი. დაქირავების დროს სახლის პატრონს წინდაწინ მივეცი 3 თვის 45 მან. შინაური ხელწერილით, რომლის ძალით თვეში უნდა მეძლია 15 მანეთი. მაგრამ ეხლა არ ძალმიძს ვიხადო ყოველთვიურად 15 მან., ვინაიდან თვეში ვღებულობ ჯამაგირს 31 მ. და 50 კაპ.

მყავს შესანახი ორი სული: ცოლი—უმუშევარი (კავშირის წევრი) და ბავშვი—მოწაფე. ვარ კავშირის წევრი (წიგნაკის № 11487).

გთხოვთ ახსნა-განმარტებას: 1) მაქვს თუ არა უფლება დავარღვიო ჩემ მიერ იძულებით დადებული ხელწერილი, 2) რამდენი უნდა გადავიხადო თვიურად და 3) მაქვს თუ არა უფლება გამოუქვითო წინდაწინ მიცემულ ფულში მომავალი ქირები.

ბ. ლასხიშვილი.

პასუხი

თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33-სა, ასეთ ხელშეკრულებათა გაბათილება შედის მხოლოდ და მხოლოდ საბინაო და სახალხო სასამართლოს კომპეტენციაში რომელსაც თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით. ბინის ქირად თვიურად იხდით თითოეულ კვად. არშინზე ორ კაპ. რაოდენობით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 23 აპრილს, დილის 10 საათზე შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

ვინ არის წინააღმდეგი?

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის მე-2-ე კომუჯრედის პრეზიდიუმში აქვთ შემოტანილი განცხადება პარტკანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: ქოხონელიძე გიორგი სპირიდონის ძე, მანსოვი პეტრე კარაპეტის ძე, პერკინი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე, კაკაბაძე ივანე პორფილეს ძე, ხუსკივაძე ვასილი ილარიონის ძე.

ზემოაღნიშნულ ამხანაგების მიმართ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს—გთხოვთ გვაცნობოთ არა უგვიანეს 5 მაისისა ზემოაღნიშნულ უჯრედის პრეზიდიუმში.

მე-6-ე ლეგიონის კოლექტივის ბიუროში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მისაღებად შემდეგ ამხანაგებს: აბაზაძე მიხეილ ივანეს ძე, ბერიძე ვლადიმერ მაქსიმეს ძე, ჯაიანი ალექსანდრე ილიას ძე, ჯავახიშვილი ვლადიმერ გიორგის ძე, ნიკოლეიშვილი გიორგი ალექსის ძე, როსნაძე პლატონ ერასტის ძე.

თუ ვინმე წინააღმდეგია ზემო ჩამოთვლილ ამხანაგების პარტიაში მიღების—გთხოვთ აცნობოთ მეექვსე ლეგიონის ბიურო-კოლექტივში.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ 23 აპრილს (პარასკევს), საღამოს 5 საათზე, მოწვეულია კომუჯრედთა ბიუროს გაერთიანებული არაჩვეულებრივი კრება.

„რემედას“-ის მეორე რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 24 აპრილს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხანოვის პრ., № 96) გაიხსნება **„რემედას“-ის მეორე რაიკონფერენცია.**

სავალდებულოა ყველა დელეგატების დასწრება დაუგვიანებლად.

მწუხარებაში მყოფნი ცოლისდები ნადეჟდა ყორღოლიანისა, ლუბა პაპავასი და თამარა და სონია რუხაძეები და მეგობრები მიხეილ ნიკოლოზისძე ყორღოლიანი და ალექსანდრე თადეოზისძე პაპავა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 25 აპრილს გადახდილი იქნება ორმოცი დღის აღსანიშნავად

გიორგი სიმონისძე სვანიძის

სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე

1—1 ნ. 1195

გულდამწვარნი: მეუღლე ვერა სიმონის ასული, შვილი გივი და მამა სიმონ ბეჟანისძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 25 აპრილს, დილის 11 საათზე დანიშნულია

გიორგი სიმონის ძის სვანიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე ნ. 1198

დღეს და ყოველდღე

აპოლლო
არფასტო
სოლეი

მეჟრაბპომ-რუსის საუკეთესო სურათი
გამოშვებული 1926 წ.

დათვიური ქორწინება

მხატვრული დრ. 7 ნაწილად, პროლოგით.
პირველი კვირის განმავლობაში თეატრი ვერ იტევდა სურათის ნახვის მსურველებს.

ანონსი: ამ დღეებში კინო-თეატრებში **აპოლლო, სოლეი და არფასტო** **„ნამუსი“** შირვან-ზადეს რომანის მიხედვით
ნ. 972 0—19

ახალი ფორმის **საანგარიშო წიგნაკები** შეერთებული **დაზღვევის წიგნაკებთან** დაიბეჭდა და იყიდება
წიგნის მაღაზიაში
რუსთაველის პროსპექტზე № 28 კინო არფასტოს გვერდზე
3—1 ნ. 1197

ღვინო-გასტრონომიული მაღაზია
კ. ბაქრაძის—რუსთაველის გამზ. № 18
აუწყებს პატივცემულ თავის მყიდველებს, რომ 18 აპრილიდან 1 მაისამდე ვაჭრობის დარგის შეცვლის გამო, მოხდება ყველა ფორმის მაგარი სასმელების **იაფი** გაყიდვა 15 პროც. შეღავათ. თ.
ნ. 1178 1—1. კ. ბაქრაძე.

მუშკოოპის გამგეობა
25 აპრილს დილის 11 საათზე სავაჭრო განყოფილების შენობაში ქორესის ქ. № 7 (ყოფ. კირკის) ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას
კვასის მისაწოდებლად.
ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდარი—250 მანეთი.
პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე სავაჭრო განყოფილებაში კომერციულ მდივანთან.
ნ. 1196 1—1. გამგეობა.

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი
აცხადებს, რომ ა. წ. აპრილის 27 დღეს 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის იოსებ მაჩხალოვს და იმყოფება 1-ლი მილიციის უბ. ოლღის ქ. № 82 და შესდგება ბარ-რესტორან „ფანტაზია“-ს მოწყობილობიდან როგორიც არის: სკამები, მაგიდები, სარკეები, ჭურჭლეული, მაგარი სასმელები და სხვ. შეფასებულია 267 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვაჭრობა დანიშნულია მეორეთ ამის გამო დაიწყება აგრეთვე შემოძლეული ფასიდანაც.
ქონება აწერილია სახ. კვების კავშირის და სხვ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 24 ნოემბრის 1925 წ. თარიღით № 3710 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.
საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნაჩვენ მისამართზე სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს.
2262 1—1

СУДЕБНЫЙ ИСПОЛН. НАРСУДА 4 РАЙОНА Г. ТИФЛИСА К. ПОТЕМКОВСКИЙ
Сим об'являет, что 28 с/г. апреля, в $11\frac{1}{2}$ час. дня, в квартире Искул. Арутиновой по Песковской ул. д. № 34, им будут продоватся с 1-го публичнаго торга нижеследуюшия вещи Сергея Мелкумова, оцененныя для продажи в 152 руб.: буфетный шкаф, ножная швейная машина, камод, джеджим, 3 блюдо и 29 тарелок.
2237 1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

ექიმი ი. დ. თოფურიძე
№ 3ა. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—1

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი
ამით აცხადებს, რომ ის 28 აპრილს 1926 წ. შუადღის 2 ს. სახლში № 75 ანდრეევის ქ. (მე-10 სამილიციო უბანში) საჯარო ვაჭრობით გაყიდის იმ სახლებს, რომელიც ეკუთვნის ლაზარე ლეიზერ არონის-ძე შტეინბერგს, ზეთსახდელ და საპნის ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად, ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 თებერვლის 1926 წ. თარიღით, № 372, გაცემულ სასამართლოს ბრძანების ძალით. ეს სახლები არის ქვითკირის, სამსართულიანი, დახურული თუნუქით და აშენებულია ქალაქის მიწაზედ ზომით 198 ოთხკ. საჟენი. პირველ სართულშია ოცდასამი (23) საცხოვრებელი ოთახი თერთმეტი (11) სამზარეულოთი, მეორე სართულში ოცდაოთხი (24) საცხოვრებელი ოთახი შვიდი (7) სამზარეულოთი და მესამე სართულში ოცდასამი (23) საცხოვრებელი ოთახი ექვსი (6) სამზარეულოთი. სახლებს აქვს სარდაფები, წყალსადენი და კანალიზაცია. შეფასებულია შვიდიათასხუთას მანეთად (7500 მან.) **საჯარო ვაჭრობა მეორეა** და დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებიდან ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას, არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილებს არა აქვთ ქ. თბილისში სახლები და უნდა მისცენ ხელწერილი მასში, რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას.
2267 1—1

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ინგლაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—8

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—1

ფასი 45 კაპეიკი
ავტომატიური სწრაფად დამთვლელი მანქანა.
დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, სამეცნიერო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებლთა და სკოლების მოსწავლეთა, კანტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოთ. ყველასათვის ადვილად მისაწვდომი ენერგიის დაუხარჯავათ; არ სჭირდება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფად. საუცხოვოა სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. გ მოიგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 45 კაპეიკის მიღებისთანავე. შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.
გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნას 15 კაპეიკი.
შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, პოკროვსკის ბაღი, სახ. № 14 | 8. ბინა 8. ავტორს
ა. ი. ცუკერშტეინს.
ნ. 1165 30—1.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—18

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი—ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—17

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—1

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა №18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)
25—20

ავადმყოფების მიღებას პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი
(ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე, დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7 დან 8-დე.
25 | 1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი.
25—25

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 4—7 ს-დე. ქალების 6—7 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—1

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

პროფ. გრ. მუხაძემ
ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 53, ტელეფონი № 5—77
25—7

დაკარგა დაზღვევის წიგნაკი **გიორგი პეტრეს ძე კვარაცხელიას** სახელზე, გაცემული თბილისის დამზღვევ სალაროდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგა პირადი წიგნაკი № 1531 სტეფანე წიწიკაშვილის სახელზე ჩ. გ. 2255

დაკარგა თბილისის ლომბარდის გირავნობის ქვითარი № 22047 მ. სამადალეშვილის სახ., ჩ. გ. 2261 1—1

დაკარგა „ტრანსპორტის“ კავშირის საწევრო წიგნაკი № 1379, დაზღვევის წიგნაკი № 9127, პირადობის მოწმობა და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი პეტრე რაჟდენის ძე ავალიშვილის სახ., ჩ. გ. 2258 1—1

დაკარგა პასპორტი ეფემია ბუთხუზის სახელზე, ჩ. გ. 2260

დაკარგა პირადობის მოწმობა, ივანე ლევანის ძე ხატიევის სახელზე, ჩ. გ. 2263 1—1

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 81 მოცემული თბილისის ტრანსპორტის კავშირის მიერ და პირადობის მოწმობა „ზაკპოგრუზის“ მიერ, ილიკო კონსტანტინესძე გუჯაბიძის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2263

დაკარგა ბორჯომის სამისამართო მაგიდის საბინაო დავთარი № 222 პავლე მეტრეველის სახელზე. ჩ. გ. 2266

დაკარგა პირადობის მოწმობა № 125 მოცემული რაჭის მაზრის ქ. ონის აღმასკომის მიერ ანეპოდისტე ჯანუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2264

დაკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი № 673 გაცემული ქარელის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ გიორგი მიხეილისძე კოპაძეს სახელზე, ჩ. გ. 2265

დაკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 13328, კლუბის საწევრო წიგნაკი და პირადობის მოწმობა ალექსანდრე ლეჟავას სახელზე. ჩ. გ. 2236

დაკარგა დაზღვევის წიგნაკი **დავით ვარდენის ძე დუმბაძის** სახელზე, გაცემული თბილისის დამზღვევი სალაროდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს კომუნი ამის ქუჩა, 68